საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 აპრილი **სამშაბათი** 2011

№095 (13392) ფასი 80 თეთრი

## ორ-ორი ვერცხლ-ბრინჯაო და გაორებული გრძნობა

13



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფეხბურთი გალახზე ჭუჭყიანია

## ფორმას გარეცხავ, ზნეს რას უზამ?



## რისი ბრალია, რომ ყველას ბრალია?



2-4

შაბათს რუსთავში. მსაჯის გადაწყვეტილებებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



მამუკა ქანთარიას ფოტოები

ფოთში პოლიციამ იმარჯვა და მსაჯები გადაარჩინა

# შალკე მთვარეზე



## ინგლისში ნასტუდენტარი გერმანელის ოცნება სერ ალექსის გაცნობაა

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი. შალკე-მანჩესტერის წინათქმა

8





11

## კობიაშვილის ბუნდესდაბრუნება

დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

# ბოლო წუთის მ(ს)აჯისცემა



## რიონისპირელებმა ნიშანი დაწერეს: ვადაჭკ-ორიანი

23.04. ფოთი. ფაზისი.
1 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 1 |
| ტორპედო | 1 |

1:0 მდივნიშვილი (41. ჯანაშიას პასით), 1:1 გოცირიძე (54).

| კოლხეთი | ტორპედო |
|---|---|
| 4-1-3-1-1 | 4-4-2 |
| ძაგანია | მიგინეიშვილი |
| ცხვიტარია | დ. ფოფხაძე |
| მახვილაძე | ს. თოლუა |
| ინწკირველი | ფარულავა |
| გავაშელიშვილი | ჩიკვილაძე |
| გოგონაია | გ. დოლიძე |
| ჯანაშია | დილმელაშვილი |
| გვალია | გ. დათუნაიშვილი |
| სიჭინავა | სეთურიძე |
| კვერენჩხილაძე | რ. გოცირიძე |
| მდივნიშვილი | ვ. კვარაცხელია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფილია | გ. გიგაურიძე |

**კოლხეთი**

53. ჯანაშია - **ნიქარიშვილი**
65. სიჭინავა - **გულუა**
90. მდივნიშვილი - **გელაჭეიშვილი**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, მოისწრაფიშვილი, გეგელია, ლემონჯავა*

**ტორპედო**

70. დოლიძე - **თარხნიშვილი**
85. კვარაცხელია - **ლ. ქებაძე**
*სათადარიგოები: ქვილითაია, გიგაური, მაჭავარიანი, ბაკურაძე, გუგუჩია*

**არბიტრი:** გ. ვადაჭკორია (თბილისი)

სათაურმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ — შაბათს „ფაზისზე" მსაჯები არ უცემიათ, თუმცა ბევრიც არაფერი დაუკლიათ და ცემის დიდი შანსიც იყო. უბრალოდ, **გიორგი ვადაჭკორია** 'გასახდელამდე მშვიდობით მიღწევას... ლაინსმენ **ირაკლი უკლებას** უნდა უმადლოდეს. სამაგიეროდ, დიდი იყო ბოლო წუთის მაჯისცემა: თემიდის მსახურები ერთ წუთში ორჯერ მოექცნენ აღშფოთებული მობურთალეების ალყაში, ნამატჩევს კი მათთან საქმეს ორივე გუნდი ერთდროულად არჩევდა.

ეს ყველაფერი კი ბოლო დამატებულმა წუთმა „დაიტია": მეოთხე მსაჯის მიერ ნაჩვენები სამი წუთი იწურებოდა, როცა „კოლხეთმა" მწვავე კონტრშეტევა განახორციელა, რომლის დამაგვირგვინებელ ფაზაში **მანუჩარ ნიქარიშვილი**, სტუმართა მეკარესა და მცველს უნდა გასცდენოდა და ცარიელ კარში გატანაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ფორვარდმა ბურთამდე ველარ მიაღწია — მისი საჯარიმოში დაცემა კი არბიტრმა პენალტად არ შეაფასა. ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ მეკარემ ნიქარიშვილის ნაქცევა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, ეს მცველმა მოახერხა.

რა თქმა უნდა, კოლხები მსაჯს მისცვივდნენ და პასუხს სთხოვდნენ, თუმცა შეხვედრა გრძელდებოდა და უარესიც მოხდა: უკვე მეოთხე (!) დამატებული წუთიც ამოწურული იყო, როცა ქუთათურებმა გოლი გაიტანეს: შეცვლაზე შესული **თარხნიშვილის** თავური ბადეში გაეხვია. ვადაჭკორია უკლებამ სწორედ მაშინ „გადაარჩინა" - მეტად საჩოთირო და, ჩვენგან ისე ჩანდა, არარსებული თამაშგარე დააფიქსირა, რითაც არბიტრზე „დარტყმა" თავის თავზეც „გადაინაწილა".

როგორც კი არბიტრმა საფინალოდ ჩასტვინა, ორივე გუნდის მობურთალეები მსაჯებს მისცვივდნენ - ფოთელები ვადაჭკორიას, ქუთათურები - უკლებას. „დაგედო პენალტი და ასეთ სისულელეებს აღარ გააკეთებდი"; „პენალტი არ დადე, მაგრამ დაამთავრე ბარემ თამაში, დრო ამოწურულია და რას იგონებ?", „საიდან მოიფიქრე თამაშგარე, ლამის ხაზზე იდგნენ მეკარე და მცველები"; „არდანიშნული პენალტის გამოსწორება გოლის არჩათვლაა?" — ალბათ, მიხვდებით რომელ მხარეს ეკუთვნის კონკრეტული ფრაზა, რომლებსაც, რა თქმა უნდა, უწმაწური სიტყვები ჩამოვაშორეთ. მხარეები ერთ რამეზე შეთანხმდნენ: ბოლო წუთზე მსაჯებმა ორი უხეში შეცდომა დაუშვეს — ორივე გუნდი რომ უკმაყოფილო გეყოლება, მაგას მსაჯობა არ ჰქვიაო...

არადა, მატჩის 92 წუთი ისე მიიწურა, არც მსაჯობის მიმართ ჰქონდა ვინმეს სასაყვედურო და მობურთალეებმაც საინტერესო ფეხბურთი შესთავაზეს გულშემატკივრებს. აშკარა იყო, ქუთათურებმა ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს და მოგების გაცილებით მეტი შანსი ჰქონდათ, თუმცა, ან დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ, ან კოლხი მცველები თამაშობდნენ საიმედოდ. ცალკე აღნიშვნის ღირსია **ლაშა ძაგანიას** თამაში — მასპინძელთა მეკარე შეხვედრაში უდავოდ საუკეთესო გახლდათ.

უკვე მეათე წუთზე, **დოლიძის** ჩაწოდებულს ახლო მანძილიდან თავი **კვარაცხელიამ** დაუხვედრა და ძაგანიამაც პირველად მაშინ ითამაშა საიმედოდ. ტაიმის შუაში კი იმავე დოლიძეს ახლოდან გატანა მართებდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ვერ შეძლო. იქვე ქუთათურთა ახალწვეულმა ფლანგიდან სახიფათო გადაცემა გააკეთა, ბურთი მასპინძელი მცველებისგან კარში მიდიოდა და „კოლხეთი" მეკარემ გადაარჩინა.

რა თქმა უნდა, ამ დროს ფოთელები მხოლოდ დაცვაზე არ ფიქრობდნენ, თავიდან გადაცემების სიზუსტეში კი მოიკოჭლებდნენ, მაგრამ **სოსო ფილიას** შეგირდებმა თანდათან თამაში დაალაგეს და ლამის პირველი ხეირიანი შეტევა გოლით დაასრულეს - 41-ე წუთზე ქუთათურებს კი ეგონათ, ბურთი მოედნიდან გავიდაო, მაგრამ **კვერენჩხილაძემ** მისი თამაშში დატოვება შეძლო, **ზამირ ჯანაშიამ** კი **მდივნიშვილს** საგოლედ უპასა - 1:0.

ქუთათურებს გასათანაბრებლად დიდი დრო არ დასჭირვებიათ — ძაგანიამ ახლოდან დარტყმული სასწაულებრივად კი უკუაგდო, მაგრამ მცველები ველარ მიეშველნენ და **რეზო გოცირიძეს** გატანა არ გასძნელებია - 1:1.

მალევე ქუთათურები პენალტს ითხოვდნენ, შემდეგ კი რამდენჯერმე დასჭირდა ოსტატობის ჩვენება ძაგანიას.

ვადაჭკორია და კომპანია მოედნიდან სამშვიდობოს პოლიციამ და სტადიონის უსაფრთხოების სამსახურმა გაიყვანა. გასახდელთან ახლოს თავმოყრილი ქომაგების შეკავება კი პოლიციის კორდონმა მოახერხა.

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

# რა სჭირდება
## ერთი დიდი სამრეცხაო:



# ახალი ჩემპიონის მოლოდინი

რუსთაველთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილმა ძარიას დარტყმული ვერ მოიგერია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

23.04. რუსთავი. ფოლადი.
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 1 |
| ზესტაფონი | 2 |

0:1 გელაშვილი (1. ონიანის პასით), 0:2 ძარია (34), 1:2 მურველაშვილი (68, რაზმაძის პასით)

| ოლიმპი | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-3-2-1 | 4-1-3-2 |
| ბედიაშვილი | რ. კვასხვაძე |
| მურველაშვილი | ალადაშვილი |
| კვახაძე | გ. ონიანი |
| რეხვიაშვილი | ხიდეშელი |
| დობროვოლსკი | ელიავა |
| ტყემალაძე | დაუშვილი |
| რაზმაძე | აფციაური |
| ი. მაისურაძე | ძარია |
| პავლიაშვილი | გრიგალაშვილი |
| გენაძე | დვალი |
| მოდებაძე | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. მაისურაძე | გ. გეგუჩაძე |

**ოლიმპი**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ქავთარაძე, იაშვილი, ბახტაძე, გ. ჭელიძე, ჯაფარიძე, კანდელაკი*

**ზესტაფონი**

65. აფციაური - **ბაბუნაშვილი**
75. გელაშვილი - **წინამძღვრიშვილი**
84. დვალი - **ბენაშვილი**
*სათადარიგოები: მამალაძე, ფოფხაძე, გრუიცა, ჭანკოტაძე*

გაფრთხილება: დობროვოლსკი (55), ონიანი (57), ალადაშვილი (64), მურველაშვილი (78), მოდებაძე (81), კვახაძე (90)
გაძევება: რაზმაძე (90), კვახაძე (90)
არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

### ყველაფერი ჟურნალისტების ბრალი ყოფილა...

სეზონის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი „ოლიმპი" ერთპიროვნულ ლიდერ „ზესტაფონს" უკვე 9 ქულით ჩამორჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ სასწაული არ მოხდა, ძალიან მალე რუსთავული კლუბი ექსჩემპიონად უნდა მოვიხსენიოთ. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ ხუთ ტურში „ზესტაფონმა" ამხელა უპირატესობა გაფლანგოს; თან, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სეზონში ჩემპიონობას თუ რომელიმე გუნდი იმსახურებს, სწორედ „ზესტაფონი" — ორი კვირის განმავლობაში ორივე უშუალო კონკურენტსაც მოუგო და საერთოდაც, უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთსაც უჩვენებს. აღარაფერს ვამბობთ იმ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორზე, რასაც მთავარი მწვრთნელისა თუ ფეხბურთელების კვალიფიკაცია ჰქვია — **გია გეგუჩაძე** ორწელიწადნახევარია, კლუბის ხელმძღვანელობისგან სრული ნდობით სარგებლობს და ამ სეზონში მართლაც საჩემპიონო შემადგენლობა ჰყავს.

იმერული კლუბის მოსალოდნელ ტრიუმფზე მომავალშიც დავწერთ, ისევე როგორც იმ მიზეზებზე, თუ რატომ ვერ შეძლო „ოლიმპმა" ჩემპიონობის შენარჩუნება; თუმცა ამ შემთხვევაში ბევრი რამის თქმა ახლავე შეიძლება: სეზონის განმავლობაში მწვრთნელს სამჯერ რომ შეცვლის, ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე 13 შეხვედრაში ხუთჯერ რომ დამარცხდება (აქედან სამჯერ — ზედიზედ) და ნებისმიერ წარუმატებლობას მსაჯების მიკერძოებას დააბრალებს, ის გუნდი ჩემპიონობას ნამდვილად არ იმსახურებს! თანაც, როგორ ფიქრობთ, მხოლოდ მსაჯების „შეთქმულებაა" რუსთავული კლუბის ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზი? თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ჟურნალისტების ბრალიც ყოფილა, ამ ბოლო დროს „ოლიმპს" უმოწყალოდ რომ „ჩაგრავენ"; და კიდევ: „ოლიმპის" ფეხბურთელები ყოველ მატჩში ყვითელ და წითელ ბარათებს რომ იღებენ და ამ გუნდის სასარგებლოდ მსაჯები პენალტს რომ არ ნიშნავენ, ყოველივე ამას ჟურნალისტებს ნურავინ დააბრალებს. საერთოდაც, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, წაგებასაც ღირსეულად ატანა სჭირდება; ყველას დასანახად მსაჯებს რომ ჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებ, მერე ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობაც გექნება და ამის გამო ფეხბურთელებს წითელი ბარათით დასჯიან, ესეც ჟურნალისტების ბრალია? ან, იქნებ იმაში დაგვადანაშაულონ ქართული მასმედია, უპრინციპულეს მეტოქესთან, ფაქტობრივად, საჩემპიონო მატჩში ანგარიში 1:2 რომ გახდა, „ოლიმპს" მოწინააღმდეგის კართან ერთი ხიფათიც რომ არ შეუქმნია; ან, შესაძლოა, მეორე არანაკლებ უცნაური ფაქტია ჟურნალისტების ბრალი: „ოლიმპი" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყო, მაგრამ არც ერთი ცვლილება არ განხორციელებულა...

### ლოგიკა და ზედმეტი ემოცია

...მშვენიერი ამინდი, წინა მატჩებთან შედარებით არცთუ ცოტა გულშემატკივარი და, რაც მთავარია, ჩემპიონობის ორი კანდიდატის შეხვედრა — ფაქტობრივად, ყველა წინაპირობა არსებობდა იმისთვის, უკომპრომისო პაექრობა რომ გვენახა, თუმცა მეტოქეები აშკარად სხვადასხვა განწყობით მოვიდნენ ამ პრინციპულ და გადამწყვეტ დაპირისპირებამდე: „ზესტაფონს" თექვსმეტმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, „ოლიმპმა" კი უკანასკნელი ოთხი შეხვედრიდან სამი წააგო და მხოლოდ ერთი მოიგო. კიდევ ერთი, თანაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც უნდა ვახსენოთ: „ზესტაფონი" ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე, მასპინძლებს კი, როგორც „ტრადიციასავით" ექცათ მეორე ეტაპზე, კვლავაც აკლდათ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები (**რევაზ ქემოკლიძე, დავით ბოლქვაძე**). თუმცა, „ოლიმპს" მატებაც ჰქონდა: გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი მარჯვენა მცველი **გიორგი მურველაშვილი** და საყრდენი ნახევარმცველი **ლუკა რაზმაძე** დაუბრუნდნენ. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ორივემ ჩინებულად ითამაშა: რუსთაველთა გუნდის 22 წლის დებიუტანტი მურველაშვილი მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა; 27 წლის ლუკა რაზმაძეც ერთ-ერთი გამორჩეული იყო ენერგიული თამაშით და, ცოტა არ იყოს, გასაკვირიც იყო ამ ფუტკარივით მშრომელი ნახევარმცველის ზედმეტი ემოციები მატჩის დასასრულს, რის გამოც წითელი ბარათი დაიმსახურა. არანაკლებ გასაკვირი იყო „ოლიმპის" კიდევ ერთი ლიდერის, გუნდის კაპიტნის, 26 წლის **ალექსანდრე კვახაძის** მეტისმეტი ემოციურობა (უფრო აგრესიას რომ წააგავდა) მსაჯების მიმართ იმ ეპიზოდში, როცა რაზმაძე მოედნიდან გააძევეს. ჰოდა, ამ უპრინციპულესი მატჩის ახალგაზრდა არბიტრმა ერთწუთიან მონაკვეთში მოედანი კვახაძესაც დაატოვებინა! არადა, კვახაძე მეშვიდე სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში, რაზმაძე — მეცხრეს, და ვერ გაგვიხსენებია შემთხვევა, ამ ორ გამოცდილ, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გამორჩეულ ფეხბურთელს მსაჯების მიმართ ასეთი აგრესია გამოეხატოთ. მოკლედ, მასპინძლებმა მატჩი 9 ფეხბურთელით ჩაამთავრეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა: „ზესტაფონმა" დამსახურებულად გაიმარჯვა და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. იმერულმა გუნდმა (ზესტაფონიდან ჩამოსული ერთგული გულშემატკივრების ქომაგობა რუსთავშიც არ აკლდა) ძლიერი მოწინააღმდეგე პირველ ტაიმში აშკარად დაჯაბნა (რაც ორ გატანილ გოლში გამოიხატა), მეორე ტაიმის დასაწყისშიც რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, შემდეგ აბსოლუტურად ეფექტიანი ტაქტიკური შეცვლებით თამაშის ტემპიც დააგდო და საბოლოოდ საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

### სოლიდური ჰანდიკაპი

...ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის მატჩი რამდენიმე წამის დაწყებული იყო, სეზონის ერთ-ერთი უსწრაფესი გოლი რომ ვიხილეთ!

>> მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

# მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: ** იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ ფეხბურთს? არა მხოლოდ ტალახისგან განსაწმენდად

## ახალი ჩემპიონის მოლოდინი

« მე-2 გვერდიდან

არადა, შეტევა „ოლიმპმა“ წამოიწყო, თუმცა სტუმრებმა ეს იერიში განმუხტეს და **გიორგი ონიანმა** გრძელი პასით **ნიკოლოზ გელაშვილმა** მოძებნა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ორთაბრძოლაში მეურვე **გიორგი რეხვიაშვილს** აჯობა და „ოლიმპის“ საჯარიმოში შეჭრილმა კარში ზუსტადაც დაარტყა. არადა, ამ ეპიზოდში რიკოშეტი იყო, თორემ **გრიგოლ ბედიაშვილს** შეეძლო ეს ბურთი მოეგერიებინა. სტუმრებმა თავიდანვე სოლიდური ჰანდიკაპი შექმნეს და ასეთი შოკისმომგვრელი დასაწყისის გამო „ოლიმპის“ ფეხბურთელებს გარკვეული დროც დასჭირდათ თამაშის „დასალაგებლად“. მოედანზე ხისტი თამაში გაჩაღდა, თუმცა **თორნიკე გვანცელაძე** პირველ ტაიმში ფეხბურთელებს მხოლოდ სიტყვიერად აფრთხილებდა. მსაჯი შემთხვევით არ გვიხსენებია: ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მასპინძლები ორჯერ ითხოვდნენ პენალტს, მაგრამ არბიტრმა ორივე ეპიზოდში რუსთაველთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. **ირაკლი მაისურაძის** დარტყმული ბურთი, მასპინძელთა აზრით, გიორგი ონიანს ხელზე მოხვდა (ოღონდ, ეს უფრო საჯარიმოს მისადგომებთან იყო), მაგრამ მსაჯი იქვე იმყოფებოდა და „ოლიმპის“ ფეხბურთელთა თხოვნა-პროტესტი ამაო გამოდგა. ისე, როგორც მომდევნო ეპიზოდში, როცა მეტოქის საჯარიმოში გიორგი ონიანისა და **ვაკო ტყემალაძის** ორთაბრძოლისას ეს უკანასკნელი წაიქცა, მაგრამ...

ამასობაში კი „ზესტაფონი“ სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდა და განსაკუთრებით **შოთა გრიგალაშვილი** აქტიურობდა; სტუმართა 24 წლის ნახევარმცველმა მარცხენა ფლანგიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბედიაშვილმა საიმედოდ ითამაშა; აი, გრიგალაშვილის მომდევნო აქტიურობას კი სტუმართა მეორე გოლი მოჰყვა, თანაც, გოლსაც ხომ გააჩნია?!. გრიგალაშვილის მორიგი დარტყმა ბედიაშვილმა კუთხურზე მოიგერია, ჰოდა, სწორედ ეს სტანდარტული გამოდგა მასპინძელთათვის კატასტროფის ტოლფასი: საჯარიმოდან გადმოვარდნილი ბურთი **ირაკლი ძარიას** მიუვიდა და იმ საღამოს „ზესტაფონის“ შემადგენლობაში ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა 30 მეტრიდან შორეულ „ცხრიანში“ უდავოდ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო გოლი გაიტანა! „ზესტაფონი“ ამით არ დაკმაყოფილებულა და პირველი ტაიმის ბოლომდე სტუმრებმა კიდევ ერთი, ფაქტობრივად, ასპროცენტიანი მომენტი შექმნეს: ძარია-გელაშვილის ჩინებულ კომბინაციას **თორნიკე აფციაური** აგვირგვინებდა, მაგრამ სტუმართა კაპიტანმა ახლო მანძილიდან ბურთის ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხა. მანამდე „ოლიმპს“ ჰქონდა გატანის კარგი შანსი, მაგრამ ენერგიულმა **ილია პავლიაშვილმა** დაახლოებით ათი მეტრიდან არაზუსტად დაარტყა. ტაიმის მიწურულს კი მასპინძლებმა შტურმი მოაწყვეს და ორი ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს: ტყემალაძის ეფექტური პასის მერე რაზმაძე სტუმართა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ **როინ კვასხვაძემ** თავისი კლასი ამ ეპიზოდშიც დაამტკიცა. ამას კი **ირაკლი მოდებაძის** მცირეოდენ სახიფათო თავური მოჰყვა, არაზუსტი რომ გამოდგა.

### არბიტრი ყურადღების ცენტრში!

... მეორე ტაიმის დასაწყისიც კინაღამ პირველის მსგავსი აღმოჩნდა: სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და აფციაურის ჩინებული პასის მერე **ჯაბა დვალი** მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. დვალს კიდევ ერთ ეპიზოდში შეეძლო თავის გამოჩენა, როცა გრიგალაშვილის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩა; გრიგალაშვილის შორეული დარტყმაც აღსანიშნავია, სტუმართა ორიგინალურად გათამაშებულ სტანდარტულს რომ მოჰყვა. ფაქტობრივად, მეორე ტაიმის საწყისი 15 წუთი მოედანზე სტუმრები დომინირებდნენ და ამადაც იყო გასაკვირი, „ოლიმპის“ შემადგენლობაში ვერც ერთი ცვლილება რომ ვერ ვიხილეთ. რა თქმა უნდა, მწვრთნელ(ებ)-ის კომპეტენციაში ჩარევას არ ვაპირებთ, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ფეხბურთელთაგან რამდენიმეს (**გიორგი ქავთარაძე, გიორგი ჭელიძე, სანდრო იაშვილი**) თამაშის გამწვავება რომ ეხერხება, ფაქტია. თუმცა „ოლიმპს“ სამარქაფოების დახმარება არ დასჭირვებია და დაახლოებით მე-60 წუთიდან უკვე სრულ უპირატესობას დაეუფლა. მასპინძლებმა ჯერ შორეული დარტყმებით სცადეს გოლის გატანა: **დენის დობროვოლსკის** დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ალექსანდრე კვახაძემ კი სტუმართა მეკარეს ვერ აჯობა. ასეთი აქტიურობა მასპინძლებს მალე დაუფასდათ კიდეც: მეტოქის საჯარიმოში მყოფი რაზმაძე კარგად გაერკვა სიტუაციაში და ბურთი მურველაშვილს დაუგდო, ამ უკანასკნელმაც საკმაოდ რთული მდგომარეობიდან ზუსტი თავურით „ოლიმპს“ თამაშის გადარჩენის შანსი მისცა! მატჩის დამთავრებამდე 22 წუთი რჩებოდა, მაგრამ ყველას გასაოცრად „ოლიმპს“ მეტოქის კართან რაიმე ხიფათის მაგვარიც კი არ შეუქმნია; ერთადერთხელ იყო, **რევაზ გეწაძემ** შორიდან რომ დაარტყა და მორჩა! სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ყურადღების ცენტრში არბიტრი მოექცა; თორნიკე გვანცელაძის ზოგიერთი გადაწყვეტილება, შესაძლოა, მართლაც საკამათო იყო, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მათ მოსაზრებას, ვინც მიიჩნევს, რომ არბიტრის შეცდომებმა მატჩის შედეგზე გავლენა იქონია.

... მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი იყო, მოედნის ცენტრში ლუკა რაზმაძისა და ბუბა დაუშვილის ორთაბრძოლას მასპინძელთა დაჯარიმება რომ მოჰყვა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს უმტყუნა ნერვებმა ჯერ რაზმაძეს, მერე კი — კვახაძეს...

**გია ტუხაშვილი**





ოლიმპის ერთადერთი გოლი გიორგი მურველაშვილმა გაიტანა

23.04. ბოლნისი. თ. სტეფანია
400 მაყურებელი

**სიონი 1**
**სპარტაკი 1**

0:1 მეტრეველი (51. მ. ბარაბაძის პასით), 1:1 დიდავა (71. პენალტით)

| სიონი 4-3-3 | სპარტაკი 4-3-3 |
|---|---|
| ბოგლიაშვილი | გრიშიკაშვილი |
| კობაური | ჭაფოძე |
| სვანიძე | მგელაძე |
| დიდავა | ბოიომო |
| ორბელაძე | მანჩხავა |
| ლ. ნოზაძე | მამუჩიშვილი |
| რეხვიაშვილი | თ. შონია |
| გოგოხერიშვილი | ჯიშკარიანი |
| ჩირიკაშვილი | მ. ბარაბაძე |
| ადამაშვილი | ჯაკობია |
| რ. ჯიქია | მეტრეველი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ხ. ქასრაშვილი | ბ. კვარაცხელია |

**სიონი**

46. ადამაშვილი - **დ. ლომაია**
53. რეხვიაშვილი – **შალამბერიძე**
55. ჩირიკაშვილი – **ისიანი**

სათადარიგოები: ზუხბაია, ლ. ჩხეტიანი, გ. თარგამაძე, ნ. კვასხვაძე.

**სპარტაკი**

53. ჯიშკარიანი - **დეკანოიძე**
69. შონია - **კილასონია**
78. მ. ბარაბაძე - **ბუზალაძე**

სათადარიგოები: დაუშვილი, სეფიაშვილი, უგრეხელიძე, ზერეკიძე.

გაფრთხილება: მანჩხავა (29), რეხვიაშვილი (35), კობაური (60), ბოიომო (70), ბუზალაძე (89)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 31 | 20 | 6 | 5 | 57 | 16 | 66 |
| 2 | დინამო | 30 | 17 | 8 | 5 | 44 | 16 | 59 |
| 3 | ოლიმპი | 31 | 17 | 6 | 8 | 43 | 26 | 57 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 30 | 13 | 3 | 14 | 30 | 33 | 42 |
| 5 | ტორპედო | 31 | 10 | 12 | 9 | 22 | 19 | 42 |
| 6 | ბაია | 31 | 11 | 5 | 15 | 28 | 41 | 38 |
| 7 | სიონი | 31 | 9 | 9 | 13 | 24 | 35 | 36 |
| 8 | კოლხეთი | 31 | 8 | 9 | 14 | 19 | 38 | 33 |
| 9 | სპარტაკი | 31 | 6 | 9 | 16 | 28 | 38 | 27 |
| 10 | სამტრედია | 31 | 6 | 7 | 18 | 23 | 56 | 25 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 16 |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 13 (2) |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 12 (1) |
| ნინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 12 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |

## შეუსრულებელი ბოლნისური მისია

„სპარტაკი“ არცთუ იოლად შესასრულებელი ამოცანის წინაშე იდგა – ბოლნისში აუცილებლად უნდა მოეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს ლიგაში დარჩენის ისედაც მწირ შანსებს კიდევ უფრო შეიმცირებდა. „სიონს“ კი კომფორტული სატურნირო მდგომარეობა აქვს და ბოლნისელთათვის შაბათის შედეგი კატასტროფული არ უნდა იყოს.

სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ტაიმნახევარი მათი კარნახით წარიმართა და „სიონი“ მატჩის დასკვნით ნაწილშიღა გააქტიურდა და ყველაზე დასამახსოვრებელი ამბებიც მაშინ მოხდა.

„სიონმა“ თამაში ერთი ცენტრფორვარდით დაიწყო, **რევაზ ჯიქია** სტუმრებმა სრულად გაანეიტრალეს და თავიდანვე შეეცადნენ დაწინაურებას. მე-7 წუთზე **მეტრეველის** თავურისას ბურთი მცირედით ასცდა ბოლნისელთა კარს. მალე კი მასპინძლები უკვე **ჯაკობიას** დარტყმას გადაურჩნენ; შესვენებამდე სტუმრებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე მცდელობა: **ჯიშკარიანის** ოსტატურად შესრულებული ჯარიმისას **ბობლიაშვილმა** რთული ბურთი კუთხურზე მოიგერია, რამდენიმე წუთში კი მისივე დარტყმული მცირედით ასცდა ბოლნისელთა კარს. 41-ეზე **ბარაბაძის** დარტყმული ასცდა მიზანს, რის შემდეგაც „სიონის“ ჯერი დადგა და **გოგოხერიშვილის** დარტყმულს **გრიშიკაშვილი** გადაეფარა.

მეორე ტაიმიც „სპარტაკის“ უპირატესობით დაიწყო. **ბადრი კვარაცხელიას** გუნდის პირველივე მწვავე შეტევას ჯერ კუთხური, მერე კი გოლი მოჰყვა. ბარაბაძის ჩაწოდებული ბურთი მეტრეველმა თავით კარში გადაგზავნა - 0:1.

ამის შემდეგ **ხვიჩა ქასრაშვილმა** შეცვლებით „გააცოცხლა“ „სიონი“ და ხიფათი უკვე ორივე კართან იქმნებოდა. 65-ეზე გრიშიკაშვილმა **გივი დიდავას** დარტყმისას იმარჯვა.

ორიოდ წუთში „სპარტაკს“ უპირატესობის განმტკიცება შეეძლო, მაგრამ ჯაკობიას პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ბარაბაძემ ჩინებული შანსი ვერ გამოიყენა - ბობლიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამის შემდეგ კი ყველაზე საინტერესო ეპიზოდების ჯერი დადგა. გამეორების ნახვის გარეშე ძნელია რაიმეს მტკიცება, ამიტომაც დარწმუნებით ვერ ვიტყვით, დაირღვა თუ არა წესი „სპარტაკის“ საჯარიმოში, მაგრამ ფაქტია, რომ არბიტრმა პენალტი არ დანიშნა, რასაც მასპინძელთა ემოციური პროტესტი მოჰყვა. თუმცა 71-ე წუთზე მსაჯმა მაინც გაიშვირა ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ - **ბოიომოზე** ხელით თამაში დაფიქსირდა. გამოცდილმა დიდავამ წონასწორობა აღადგინა.

შეხვედრის ბოლო წუთები მთლიანად მასპინძელთა კარნახით წარიმართა. გრიშიკაშვილმა კარი გოგოხერიშვილისა და **შალამბერიძის** დარტყმებისგან იხსნა, ერთხელ კი მისი როლი ბოიომომ იტვირთა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი



ზვიად მეტრეველი (ბურთით) მცველთა გარემოცვაში ფოტო: ს.კ. სპარტაკის პრესსამსახური

## გია გეგუჩაძე: ჩვენი მიზანი მხოლოდ ჩემპიონობაა

**სტუმრად** უშუალო კონკურენტთან გამარჯვებით „ზესტაფონმა“ ჩემპიონობისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მას „ოლიმპი“ ცხრა ქულით ჩამორჩა, თბილისის „დინამო“ კი - შვიდით. ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ ტურებში რუსთაველებმა ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება მოახერხონ, თბილისელებს შანსი კიდევ შემორჩათ, მაგრამ თუ რაიმე საოცრება არ მოხდა, ოქროს მედლები პატარა იმერული ქალაქის კლუბმა უნდა მოიპოვოს.

„ზესტაფონმა“ გამარჯვება რთულ ბრძოლაში მოიპოვა და მატჩის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე თავისიანების თამაშით კმაყოფილი იყო – მას მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.



**- თამაშის ხარისხით კმაყოფილი ხართ?**

- რთულ შეხვედრაში ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ გასული სეზონის ჩემპიონთან და უშუალო კონკურენტთან. ამიტომ გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა. მთლიანობაში, „ოლიმპმა“ კარგად ითამაშა, ჩვენ კი ნერვიულობა გვეტყობოდა. ბედმა გაგვიღიმა, პირველივე ტაიმში ორი გოლი რომ გავიტანეთ და მოგება შევინარჩუნეთ. იმის გათვალისწინებით, რომ რთული სათამაშო გრაფიკი გვაქვს და თამაში ყოველ ოთხ დღეში გვიწევს, მთლიანობაში ურიგო ხარისხის ფეხბურთს არ ვაჩვენებთ.

**- ამითაც იყო გამოწვეული, მეორე ტაიმი, პირველის მსგავსად, დამაჯერებლად რომ ვერ ჩაატარეთ?**

- ალბათ, მიზეზი ესეც იყო, თუმცა მხოლოდ ესეც არა.

**- „ზესტაფონს“ უკვე ჩემპიონობას ულოცავენ.**

- რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა და მას ვერ დავაკნინებ, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის და ჩემპიონობაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**- ასეთი შემადგენლობით გუნდი საქართველოს ჩემპიონობისთვის მზად კი არის, მაგრამ ევროპულ ტურნირებზე ღირსეული გამოსვლისთვის საკმარისი რესურსია?**

- ჯერ ჩვენ საქართველოს ჩემპიონატზე ვფიქრობთ. ევროტურნირებზე ფიქრს ზაფხულისთვის დავიწყებთ.

**- „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ადრე ჩემპიონობას არც ითხოვდა. წლეულსაც სულ ერთია, ევროპის ლიგაზე გახვალთ თუ ჩემპიონები გახდებით?**

- არა, რატომ არის სულ ერთი, წლეულს ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა და უპირატესობა აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

23.04. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე.
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| დინამო | 2 |

1:0 კვარაცხელია (49), 1:1 სიხარულია (61), 1:2 კვარაცხელია (78)

| ბაია | დინამო |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| სომხიშვილი | ლორია |
| აფაქიძე | თომაშვილი |
| აქუბარდია | ჰომოლა |
| რ. ონიანი | კაკუბავა |
| ქვარცხავა | ხმალაძე |
| ნ. შონია | კოშკაძე |
| შ. ლომია | გ. კვარაცხელია |
| სიხარულია | რობერტინიო |
| წურწუმია | არზიანი |
| ეხვაია | კახელიშვილი |
| ქობალია | ფანცხავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ძოძუაძე | კ. კაჭარავა |

**ბაია**

72. ეხვაია – **ვართაგავა**
79. ლომია – **რიგვავა**
88. ნ.შონია - **სამუშია**
*სათადარიგოები: მაქაცარია, სვირავა, ჩანგელია, გამრეკლიძე*

**დინამო**

46. არზიანი – **კვეკვესკირი**
69. კახელიშვილი – **ჯუისი**
90. რობერტინიო – **ტატანაშვილი**
*სათადარიგოები: ზარქუა, ლონლაძე, მაროვიჩი, თექთურმანიძე*

გაფრთხილება: ქვარცხავა (6), **არზიანი (41), რობერტინიო (56), წურწუმია (56), აქუბარდია (73), რ. ონიანი (78), ვართაგავა (80)**
არბიტრი: **ხ. გაგნიძე**



დინამომ გია კვარაცხელიას დუბლით გაიმარჯვა

## ...გადააგდეს ტლაპოში

მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. უამინდობამ მინდორი უვარგისი გახადა და ფეხბურთელებს ბრძოლა ტალახში უწევდათ. ამის მიუხედავად, მეტოქეებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს ერთმანეთს.

მე- 17 წუთზე **წურწუმიამ** ტექნიკურად ჩამოიცილა მეურვე და ზუსტი პასით **ეხვაია** პირისპირ შეატოვა **ლორიას,** თუმცა ზუგდიდელმა ბურთი ძლიერად გაიგდო წინ და დაკარგა. რამდენიმე წუთში იმავე წურწუმიას ძლიერად დარტყმული ბურთი ერთ-ერთ დინამოელს მოხვდა - მასპინძლებმა ხელით თამაშზე მიანიშნეს არბიტრს, თუმცა **გაგნიძემ** თამაშის გაგრძელება ბრძანა, რასაც ტრიბუნებსა და მინდორზე დაძაბულობა მოჰყვა. ცოტა ხანში "ბაიას" ფორვარდმა **ქობალიამ** ორჯერ დაარტყა კარში. ალნიშვნის ღირსია **სიხარულია,** რომელიც მერე ერთი საუკეთესო გოლის ავტორად მოგვევლინა. ამასობაში უხეში თამაშისთვის ყვითელი ბარათი **არზიანმა** მიიღო და ამ საჯარიმოთი მასპინძლებმა კიდევ ერთი ხიფათი შექმნეს. **ონიანის** მიერ საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი ერთ-ერთ დინამოელ მცველს თავზე მოხვდა და **ლორიას** კარისკენ წავიდა, მეკარემ რეაგირება მოასწრო.

მეორე ტაიმში სტუმრები სწრაფი გოლით დაწინაურდნენ. 49-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **კვარაცხელიამ** თავით გადაგზავნა კარში. მალე **რობერტინიომ** ძლიერად დაარტყა "ბაიას" კარში, **სომხიშვილმა** აკრობატული ნახტომით მოიგერია ბურთი. ნელ-ნელა მასპინძლებმა თამაშის დალაგება შეძლეს. **სიხარულიას** გააზრებული პასებით ზუგდიდელებმა შეტევებს უხშირეს. "დინამოს" კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. სიხარულიამ უნაკლოდ შეასრულა იგი და ეროვნული ნაკრების მეკარეს შანსი არ დაუტოვა. გამთანაბრებელმა გოლმა დაძაბულობაც გაზარდა.

პირველი აჟიოტაჟი **აფაქიძესთან** უხეშ თამაშს მოჰყვა, როცა მსაჯმა თამაშის გაგრძელება ანიშნა, "ბაიას" ფეხბურთელები კი დინამოელის ყვითელი ბარათით დასჯას ითხოვდნენ. არეულობა დინამოელთა მეორე გოლსაც მოჰყვა. მოედნის ცენტრში **ქვარცხავა** და **შონია** ერთმანეთს შეეჯახნენ, რასაც ერთ-ერთი დინამოელის წაქცევაც მოჰყვა, **გაგნიძემ** ჯარიმა დანიშნა და ამ საჯარიმოდან **კვარაცხელიამ** თავურით მეორე გოლი გაიტანა. ზუგდიდელებმა სწორედ ეს ჯარიმა გააპროტესტეს ხმაურიანად. დაძაბულობის მუხტმა ჯერ ტრიბუნებს გადაუარა, როცა "ბაიასა" და "დინამოს" ქომაგები წაკამათდნენ, მერე კი "ბაიას" ფეხბურთელების პროტესტი მსაჯთან კამათში გადაიზარდა და მთავარი არბიტრის მინდორზე წაქცევაც ვიხილეთ. მსაჯთან უხეშობა ნებისმიერ მომენტში მკაცრად უნდა ისჯებოდეს, მაგრამ გაგნიძეს მისი წაქცევისთვის მინდვრიდან არავინ გაუძევებია და ეს არც ოქმში შეუტანია.

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

## განრისხებულნი: რა გიხარიათ...

23.04. სამტრედია. ე. მანჯგალაძე.
1 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

0:1 ლანიაშვილი (90)

| სამტრედია | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-1-4-1 | 4-2-3-1 |
| ჯინჭარაძე | ძაძამია |
| დვალიშვილი | ხურცილავა |
| თ.შალიკაშვილი | კასრაძე |
| ხუმარაშვილი | ადამაძე |
| გოგია | ლანიაშვილი |
| ცხადაია | მაისაშვილი |
| ალავერდაშვილი | გურ. გურეშიძე |
| ხვადაგიანი | ბექვაია |
| მიქაბერიძე | ჯანელიძე |
| ჩხიკვაძე | კორიფაძე |
| გოგიშვილი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ.ანჯაფარიძე | ზ. ბერიძე |

**სამტრედია**

67. გოგიშვილი - **კირთაძე**
89. ალავერდაშვილი - **კეკელიძე**
*სათადარიგოები: ა.შენგელია, ახობაძე, ხაჭაპურიძე, ენდელაძე*

**ვიტ ჯორჯია**

78. ბექვაია-**ზაქრაძე**
*სათადარიგოები: მიქაბერიძე, გიორ. გურეშიძე, ვასაძე, ჯ. გოგიაშვილი, ჭანკვეტაძე, გაბრიჭიძე*

გაფრთხილება: მაისაშვილი (70), ვასაძე (თამაშის დასრულების შემდეგ)
გაძევება: ჯინჭარაძე (90)
არბიტრი: მ.ბეუქლიშვილი

**„ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული დებიუტი გამოუვიდა ზურაბ ბერიძეს. დედაქალაქელებს ყოველთვის უჭირდათ სამტრედიიდან ქულის წაღება. მაგრამ** ბერიძის შეგირდებმა მოახერხეს ნავსის გატეხვა. პირველად სტუმრებს მიეცათ გოლის გატანის შანსი, მაგრამ **გიგა ბექვაიას** მიზანმა უმტყუნა. შემდეგ სამტრედიელი **გიორგი ალავერდაშვილი** გადიოდა მეკარსთან პირისპირ, მაგრამ **ძაძამიამ** მდგომარეობა განმუხტა. ოღროჩოღრო, ატალახებული მოედანი ფეხბურთელებს შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალებას არ აძლევდა. სახიფათო შეტევებიც თითებზე ჩამოსათვლელი იყო - 22-ე წუთზე **მიქაბერიძის** დარტყმის მოგერიება ძაძამიას არ გასჭირვებია. სამიოდე წუთში კი **ხურცილავამ** აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც **ჩიმაკაძემ** გამჭოლი გადაცემა გააკეთა, მაგრამ სტუმართაგან ვერავინ მოახერხა ბურთის კარში გადაგზავნა. პირველ ტაიმთან შედარებით მეორეში გუნდები გაცილებით სახიფათოდ უტევდნენ. 50-ე წუთზე **მაისაშვილმა** საჯარიმოს გარედან ხარიხას გადააცილა ბურთი. ვიტელთა მორიგი შეტევისას ჩიმაკაძემ კარგი პოზიციიდან ძალზე უზუსტოდ დაარტყა. 57-ე წუთზე კვლავ ჩიმაკაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან უზუსტოდ დაარტყა. 62-ე წუთზე ალავერდაშვილმა მარჯვენა ფლანგზე მცველები ჩამოიცილა და მეკარის ბაქანთან სახიფათო გადაცემა გააკეთა, მაგრამ სამტრედიელთაგან ბურთს კარში ვერავინ მიუჩინა ადგილი. ორიოდე წუთში **გოგიშვილი** გადიოდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ძაძამიამ დაასწრო და კარი გოლისგან იხსნა.

შეხვედრის ბოლო 20-მა წუთმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა. 71-ე წუთზე **ცხადაიამ შემობრუნებით დაარტყა და ხარიხას მცირედით ააცილა. საპასუხოდ ხურცილავამ ფლანგზე გაილაღა და სა**ჯარიმოში ჩიმაკაძეს ჩააწოდა, მაგრამ მან მცველებს ვერ აჯობა. მე-80 წუთზე ვიტელთა მეკარე შეცდა ბურთი **მიქაბერიძის** მისამართით მოიგერია, მაგრამ **ძაძამიამ** შეცდომა თავადვე გამოასწორა. ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც თითქოს ნულოვან ფრეს იყვნენ შეგუებულნი, როცა **ჯანელიძემ** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ჩიმაკაძე, **ჯინჭარაძეს** ისღა დარჩენოდა, საჯარიმოს გარეთ ხელით ეთამაშა და ამის გამო წითელი ბარათიც დაიმსახურა. **ანჯაფარიძე** იძულებული გახდა, მოედნიდან გიორგი ალავერდაშვილი გაეყვანა და მის ნაცვლად მეკარე დავით კეკელიძე შეეყვანა. არის შემთხვევები, როცა ფეხბურთელებს ძალიან არ უმართლებთ და ასე დაემართა კეკელიძესაც. მის კარში პირველივე დარტყმული გოლად იქცა - **ლანიაშვილის** დარტყმული ბურთი ჯერ ახალშემოსულ მეკარეს მოხვდა, შემდეგ ძელს და კარში ისე შევარდა - 0:1 „სამტრედიას" მატჩის გადარჩენისთვის დროც აღარ დარჩა. ვიტელებმა ამდენი წარუმატებლობის შემდეგ მოგებით ძალიან გაიხარეს, რითაც ადგილობრივი „ქომაგების" განრისხება გამოიწვიეს - *„რა გიხარიათ, „სამტრედიას" გავარდნით ქართული ფეხბურთი წააგებს..."* არადა, ვეტერინართა სიხარული ბუნებრივი იყო, მათ ხომ ამ მოგებით დაკარგული პოზიცია აღიდგინეს (მე-4 ადგილი) და მნიშვნელოვანი მატჩების წინ (27 აპრილს „დინამოსთან" გადადებული შეხვედრა) კარგი განწყობაც შეიქმნეს. რაც შეეხება „სამტრედიას", სამწუხაროდ, ამ სიმპათიურ და მებრძოლ გუნდს გავარდნისგან სასწაულიღა თუ იხსნის.

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

ექსკლუზივი — წერილი [illegible]

## მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში



ყრილობისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. იანვრის ბოლოს, ერთ-ერთ სხდომაზე საერთო გადაწყვეტილებით ყრილობის დღედ გამოვაცხადეთ 15 თებერვალი. საკავშირო ჩემპიონატის მომხრეებმა ეს დღე იმიტომ აირჩიეს, რომ საკავშირო ფედერაციაში „დინამოს" განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა 22 თებერვალი იყო და ფიქრობდნენ, რომ 15-ში ყველაფერს მოითავებდნენ, შემდეგ მიხედავდნენ საკავშირო პირველობისთვის მზადებას. ჩვენთვისაც მისაღები იყო 15 თებერვალი. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას აპრილის დასაწყისში ვგეგმავდით და წინ თვენახევარი იყო — სრულიად საკმარისი დრო იმისთვის, რომ მოსამზადებელი სამუშაოები ჩაგვეტარებინა და ჩემპიონატი ორგანიზებულად დაგვეწყო. საკავშირო პირველობის მომხრენი ამბობდნენ, ჩვენ ეტაპობრივი ვარიანტის მომხრენი ვართო. ეს ვარიანტი ითვალისწინებდა 1990 წელს მეორე ლიგის 8 გუნდის გადმოსვლას საქართველოს პირველობაზე, მომდევნო წელს კი დანარჩენი 5 გუნდიც გადმოვაო. როგორც ჩანს, ეს გეგმა არა მარტო საქართველოს ხელისუფლებასთან, არამედ მოსკოვთანაც შეთანხმებული იყო. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ მათი ჩანაფიქრი ასეთი იყო: „ეს ერთი წელიწადია გადასატანი, თორემ გაისად ყველაფერი გარკვეული იქნება, ან ამ „ეროვნულებს" მოუვლიან, ან „ეროვნული" დამკვიდრდება და ასარჩევიც არაფერი იქნებაო. ბუნებრივია, საბჭოთა ძალის შემხედვარენი პირველს უფრო ფიქრობდნენ. მართლაც, მაშინ ბრძოლის ქარცეცხლში ვის ახსოვდა, ახლა კი, რომ ვაცნობიერებ, მხოლოდ „გიჟებს" შეიძლება ებრძოლათ ისეთი მონსტრის წინააღმდეგ, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო...

ყრილობის დარბაზი ისეთი უნდა შეგვერჩია, რომ მრავალი დელეგატი დაეტია. საორგანიზაციო კომიტეტის პირველივე სხდომაზე განვაცხადე, რომ ფეხბურთი არ ეკუთვნით მარტო ფეხბურთელებს და ფეხბურთში მომუშავეთ, ფეხბურთი თანაბარწილად ეკუთვნის იმ ხალხს, რომელსაც უყვარს ეს თამაში, სწორედ მათთვის თამაშობენ ფეხბურთელები. ჩვენი წინადადება იყო, მანდატების 50 პროცენტი განაწილებულიყო ფეხბურთის სამყაროზე, 50 პროცენტი კი საზოგადოების წარმომადგენლებზე. ასეთ განაწილებას იმითაც ვხსნიდით, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი მუშა ყრილობა, ეს იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელზეც ისტორიული მნიშვნელობის საკითხები უნდა განხილულიყო. საკავშირო ჩემპიონატის მომხრეთა მხრიდან იყო გარკვეული პროტესტი ჩვენს წინადადებასთან დაკავშირებით, მაგრამ დროთა განმავლობაში დაგვეთანხმნენ, თუმცა ერთმა შემთხვევამ გარკვეულწილად შეცვალა მდგომარეობა. საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც მანდატების განაწილების საკითხს შევეხეთ, ვეტერანმა ფეხბურთელმა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთ-ერთმა აქტივისტმა მერაბ იაშვილმა განაცხადა, რომ ყრილობაზე ყველა მანდატი მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებს უნდა გაუნაწილდეთო, 50 პროცენტი კი არა, ერთი მანდატიც არ უნდა მივცეთ საზოგადოების წარმომადგენლებსო. მახსოვს, ამ განცხადებაზე კახი ასათიანს გაელიმა და მითხრა, გაარკვიეთ ერთმანეთშიო. არ მინდოდა, ამ საკითხზე კამათი დამეწყო. იაშვილს ვუთხარი, შენ უცებ ვერ გაერკვიე, რაშია საქმე, ცალკე აგიხსნი-მეთქი. არ მივეცი საშუალება, მისი მოსაზრება გავრცელებულიყო კომიტეტის წევრებში. საბოლოოდ, იმ წინადადებამ მაინც ითამაშა უარყოფითი როლი. მანდატების მხოლოდ 33 პროცენტი, ანუ მესამედი გამოიყო საზოგადოების წარმომადგენლებზე. მე მაქსიმუმისათვის, 50 პროცენტისათვის ვიბრძოდი, მაგრამ ისეც მქონდა გათვლილი, რომ მესამედიც სერიოზული რაოდენობა იყო. პირველი შეხვედრიდან, 16 იანვრიდან ერთ კვირაში დავით კვინიკაძეს ვუთხარი, ნოდარ ახალკაცთან ავიდეთ, პირდაპირი პასუხი მინდა მისგან, უნდა ფედერაციის პრეზიდენტობა, იბრძოლებს ჩვენთან ერთად ეროვნული ჩემპიონატისთვის-მეთქი? მეორედ ნოდარ ახალკაცთან 23 იანვარს ავედით. ახალკაცმა შესვლისთანავე ფედერაციის წესდებაზე დაგვიწყო ლაპარაკი. დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ ახალკაცს ვკითხე, რამდენად პერსპექტიულად მიაჩნდა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება და როგორ უყურებდა საკუთარ პრეზიდენტობას. მან განაცხადა, საბჭოთა კავშირში გარდა რუსებისა, მხოლოდ უკრაინა და საქართველო შესძლებენ საკუთარი ჩემპიონატის ჩატარებასო, რაც შეეხება პრეზიდენტობას, მართალია რაღაცები მაწუხებს, ცოტა ვავადმყოფობ, მაგრამ თუ ჩემს ერს სჭირდება, რაზეა ლაპარაკიო. იმ საღამოს იმედიანად განვეწყვე, ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა ძალზე პერსპექტიული ჩანდა...

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებზე მუდმივმა პაექრობამ ჩვენს მოწინააღმდეგეებს გაუჩინა ასეთი აზრი, ვეკამათებით არა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, არამედ რიგით წევრებს, მოდი ეს საკითხი ლიდერებთან მოვაგვაროთ და მერე ყველაფერი დალაგდებაო. საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე არ თქმულა, ისე, კულისებში გავიგე, რომ 6 თებერვალს სპორტკომიტეტში მაშინდელმა თავმჯდომარემ ბატონმა ნუგზარ ენდელაძემ მიიწვია ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რათა ჩვენი მრავალრიცხოვანი სახელოვანი სპორტსმენები შეხვედროდნენ და მხარდაჭერა გამოეხატათ ჩვენი ეროვნული მოძრაობისთვის. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს შეხვედრა აუცილებლად იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ფეხბურთის საკითხი გადაეწყვიტათ, ისე, როგორც ხელისუფლებისგან იყო დავალებული. მაშინ ჩვენმა ოპონენტებმა აიტაცეს აბსოლუტურად აბსურდული მოსაზრება, ყველა ერთხმად იმეორებდა: „მიგვიღოს ფიფამ და გამოვალთ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციიდან". ამაზე ჩვენ, რა თქმა უნდა, გვქონდა ლოგიკური პასუხი: „პროცედურა სრულიად საწინააღმდეგო მოქმედებას მოითხოვს, ჯერ უნდა გამოხვიდე საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციიდან, უნდა გამოაცხადო დამოუკიდებლობა, ჩაატარო ეროვნული ჩემპიონატი და ამის შემდეგ უნდა მიმართო ფიფას განცხადებით მიღების თაობაზე". მე და ჩემი მეგობარი ლევან ტატიშვილი, რომელიც სახალხო ფრონტის სპორტის კომისიის თანათავმჯდომარეც იყო ჩემთან ერთად და ყრილობაზე ჩვენი გამარჯვების საქმეში ლომის წილიც ეკუთვნის, მაშინვე დავფაცურდით. საჭირო იყო როგორმე ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის აგვეხსნა, რატომ ეწყობოდა შეხვედრა სპორტკომიტეტში, რა მიზანი ჰქონდათ მომწყობებს, რა ტყუილი უნდა ეთქვათ ფიფაში გაწევრიანების თაობაზე და, საერთოდ, რა სახის ბრძოლა მიმდინარეობდა ქართულ ფეხბურთში. არც მე და არც ლევან ტატიშვილი ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადად არ ვიცნობდით და ისე ხომ ვერ მივადგებოდით. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩემი მეგობარი რეზო ფხაკაძე შეგვხვდა მეტრო „რუსთაველთან". როდესაც ჩვენი გასაჭირი გაიგო, გვითხრა, მე ვიცნობ კარგად ბატონ ზვიადს, პრობლემა არ არის, წამოდით და შეგახვედრებთო. ავედით კოლხურ კოშკში, ბატონმა ზვიადმა ცალკე ოთახში მიგვიღო მე და ლევან ტატიშვილი. როდესაც ჩვენი სათქმელი ვუთხარით, ბატონი ზვიადი დაგვეთანხმა, როგორ შეიძლება, დამპყრობელს ფეხბურთი ეთამაშო, თქვენ აბსოლუტურად მართლები ხართ. ეროვნული ჩემპიონატი დაუყოვნებლივ უნდა ჩავატაროთ და გამოვეყოთ რუსებსო! ის ტყუილიც განვუმარტეთ, ფიფაში გაწევრიანებას რომ ეხებოდა. ამაზეც დაგვეთანხმა, რა თქმა უნდა, თუ შენ საბჭოთა კავშირის ფედერაციის ნაწილი ხარ, ვინ მიგიღებს დამოუკიდებელ წევრადო. საუბრის ბოლოს გვკითხა, რომ გამოვეყოფით რუსებს, ამხანაგური თამაშები ხომ შეიძლება მათთან, უკრაინელებთან და სხვებთანო. ჩვენ ვუთხარით, რომ მთავარია, დამოუკიდებელი ფედერაცია დავაფუძნოთ, ეროვნული ჩემპიონატი ჩავატაროთ და შემდეგ ვისთანაც გვინდა, იმასთან ვითამაშოთ ამხანაგური მატჩები, გინდა რუსებთან და გინდა უკრაინელებთანო.

კმაყოფილები წამოვედით ბატონ ზვიად გამსახურდიასგან, ჩვენს პოზიციებში თანხვედრა იყო.

**ზურაბ პეტრიაშვილი**
*გაგრძელება სამშაბათობით*

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

# ფერგის პირველობა, ფერნანდოს პირველი და არსენის ვაი

იცით, რა თქვა სერ **ალექს ფერგიუსონმა** „ევერტონთან“ დრამატული გამარჯვების შემდეგ? ასე ბრძანა, თავს უკვე ჩემპიონებად ვგრძნობთო. „ოლდ ტრეფორდზე“ მასპინძლებმა გამარჯვების გოლი საკმაოდ გვიან, 84-ე წუთზე შეაგდეს — თავი მექსიკელმა ვარსკვლავიჭუნა **ჩიჩარიტომ** ანუ იმავე **ხავიერ ერნანდესმა** გამოიჩინა. სწორედ ამ გოლმა მისცა სერ ალექსს ასე ლაპარაკის საფუძველი:

*„ახლა მხოლოდ ოთხი თამაში დარჩა და თავს უკვე ჩემპიონებად ვგრძნობთ. ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვთ. როდესაც ვუყურებ, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ თავიანთი საქმისადმი და რა შემართებით იბრძვიან, ვხვდები, რომ ჩემპიონობის დიდი შანსი გვაქვს“.*

ჩიჩარიტოს თავურმა „იუნაიტედს“ მართლაც უდიდესი შანსი მისცა. შემდეგი ორი თამაში მანჩესტერელებს მდევრებთან, „არსენალთან“ და „ჩელსისთან“ აქვთ და თუ ორივეში გაიმარჯვეს, დარჩენილ ორ ტურს აზრი აღარ ექნება.

ფერგიუსონმა განაგრძო: *„ძალიან არ მომწონს, როდესაც ხალხი ამბობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ დასამარცხებელი გვყავს „არსენალი“ და „ჩელსი“. ისეთი ტონით ამბობენ, გეგონება ამას ვერ გავაკეთებთ. მე ფეხბურთელები გავაფრთხილე, რომ ლიდერობამ მაინცდამაინც არ გაახაროს. მათ საქმის კეთება ჩვეულებრივად უნდა განაგრძონ“.*

არადა, შაბათს შეხვედრის ბოლო მონაკვეთამდე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზედიზედ მეორე, უფერული 0:0-ის წინაშე იდგა. ჩიჩარიტომ, „იუნაიტედის“ შემადგენლობაში თავისი მე-19 და პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში მე-12 გოლის შემდეგ თქვა:

*„პრემიერლიგაში პირველ სეზონს ვატარებ და პირდაპირ ტიტულის მოპოვება უდიდესი ბედნიერება იქნება“.*

ფერგიუსონი: *„ჩვენ გვეგონა, რომ პირველი წელიწადი ჩიჩარიტოს ინგლისურ ფეხბურთთან შესაგუებლად დასჭირდებოდა, ის კი პირდაპირ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა“.*

„ჩელსიმ“ კი მორიგი თამაში მოიგო და რაც მთავარია, **ფერნანდო ტორესმა** გოლი გაიტანა. ეს გახლდათ „ლივერპულისგან“ 50 მილიონ ფუნტად ნაყიდი ფორვარდის პირველი გოლი „ლურჯების“ შემადგენლობაში. კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეული ესპანელი მას სამი თვე, უფრო ზუსტად 14 მატჩის განმავლობაში, კიდევ უფრო ზუსტად კი 732 სათამაშო წუთს ელოდა. ეს იყო „ჩელსისა“ და „ვესტ ჰემის“ შეხვედრის მეორე გოლი — ინგლისის ჯერ კიდევ ჩემპიონმა 3:0 მოიგო. მატჩის შემდეგ ტორესმა თქვა:

*„როდესაც „ჩელსიში“ გადავდიოდი, მეგონა, კარიერა სულ სხვანაირად გაგრძელდებოდა, მაგრამ ასე სცოდნია იანვარსა და თებერვალში გუნდის გამოცვლას. თუმცა, გული არ გავიტეხე, მუშაობა განვაგრძე და თანაგუნდელების დიდი დახმარებით დღეს გოლიც გავიტანე. ამიერიდან, ძველებური ზეწოლის ქვეშ აღარ ვიქნები. უკვე შემიძლია ფეხბურთის თამაშით ვისიამოვნო“.*

ტორესმა ლურჯი მაისურით გატანილი თავისი პირველი გოლი „ჩელსის“ გულშემატკივრებს მიუძღვნა.

*„ფანებმა ჩემს მიმართ უდიდესი მოთმინება გამოიჩინეს. იმედი მაქვს, რომ „ვესტ ჰემის“ კარში გატანილ გოლს ბევრი სხვა მოჰყვება“.*

კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ ტორესისთვის ამიერიდან ახალი ცხოვრება იწყება, ხოლო **დიდიე დროგბამ**, რომელიც ესპანელმა 76-ე წუთზე შეცვალა და ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად მის კონკურენტად ითვლება, თქვა, რომ ტორესის გოლი არ უნახავს, რადგან გასახდელში იყო შესული, მაგრამ ისე გაუხარდა, რომ კინაღამ მოედანზე გავარდა და დანარჩენ ფეხბურთელებთან ერთად იხტუნა.

თვალშისაცემი გახლდათ არგენტინელი **მაქსი როდრიგესის** ჰეთ-თრიკი „ლივერპულისა“ და „ბირმინგემის“ შეხვედრაში. მეოთხე და მეხუთე **დირკ კუიტმა** და **ჯო კოულმა** გაიტანეს. მერსისაიდელთა გახარებულმა მწვრთნელმა **კენი დალგლიშმა** როდრიგესს, რომელიც ბოლო შეხვედრებში სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა, ჭკვიანი ფეხბურთელი უწოდა.

„ტოტენჰემისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ შეხვედრაში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ **საიმონ კოქსის** მიერ თამაშის ბოლოს გატანილმა გოლმა ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი შეუმცირა. კიდევ, **ჯერმაინ დეფომ** პრემიერლიგაში თავისი მე-100 გოლი გაიტანა.

კვირას კი „არსენალმა“ უხეირო შედეგებს კიდევ ერთი მიამატა, ჩემპიონობაზე ფიქრს თავი დაანება და მისმა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** თქვა, რომ ყველაფერი მისი ბრალია. ეს ამბავი „ბოლტონში“ მოხდა, სადაც მასპინძლებმა „მეთოფეებს“ პირველ ტაიმშიც გაუტანეს და მეორეს ბოლოწამსაც, თუმცა ანგარიშის გაზრდა მანამდე, შესვენების შემდეგვე შეეძლოთ, როდესაც **ვოიცეხ შჩესნიმ კევინ დევისს** პენალტი (ოღონდ, ტყუილად დანიშნული) აუღო. ვინც ამ შეხვედრის რეპორტაჟი ნახა, გაუჩნდებოდა კითხვა: ვის მიუძღვნა ბოლტონელთა მეორე გოლის ავტორმა, მოედანზე ოთხი წუთის შესულმა **ტამირ კოენმა** გოლი? ვისი გამოსახულება ჰქონდა ქვედა მაისურზე? კოენმა თავისი წარმატება დეკემბერში, მოტოკატასტროფაში დაღუპულ მამას, „ლივერპულის“ ყოფილ ფეხბურთელ **ავი კოენს** უძღვნა.

ვენგერმა კი თქვა: *„თუ ვინმე დამნაშავეა, ეს მე ვარ. მე შევარჩიე შემადგენლობა და მე დავარიგე ფეხბურთელები. ახლა, ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად აღარ გვაქვს, მაგრამ ბრძოლას მაინც განვაგრძობთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

### გადადებული მატჩები.

26 აპრილი. სტოკ სიტი-ვულვერჰემპტონი. 27 აპრილი. ფულჰემი-ბოლტონი.

### XXXV ტური

30 აპრილი. ბლექბერნი-ბოლტონი, ბლექპული-სტოკი, სანდერლენდი-ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა, უიგანი-ევერტონი, ჩელსი-ტოტენჰემი;

1 მაისი. ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი, ლივერპული-ნიუკასლი, არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი, მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.

### მანჩესტერ იუნ.-ევერტონი 1:0

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ვან დერ სარი - ფაბიო, ევანსი, ფერდინანდი, ო'ში (57. ევრა) - ვალენსია, ანდერსონი, გიბსონი (74. გიგზი), ნანი (63. ოუენი) - ერნანდესი, რუნი.

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - კოულმენი (75. გუეიე), როდუელი, ფ. ნევილი, ოსმანი, ბელიალეტდინოვი (45. ტ. კეჰილი) - ბეკფორდი (45. ენიჩიბე).

**გოლი**: 1:0 ერნანდესი (84)

**გაფრთხილება**: ანდერსონი - ტ. კეჰილი, ჰოვარდი

**კუთხური**: 13-1; **ჯარიმა**: 10-9; **კარში დარტყმა**: 21-5 (6-3); **თამაშგარე**: 2-0; **ბურთის ფლობა**: 60%-40%

**მაყურებელი**: 75 300

### ასტონ ვილა-სტოკი 1:1

**ასტონ ვილა** (4-4-2): ფრიდელი - უოქერი, კოლინზი, დანი, ლ. იანგი - ე. იანგი, რიო-კოკერი, ს. პეტროვი, დაუნინგი (67. ოლბრაიტონი) - ჰესკი (79. აგბონლაჰორი), ბენტი.

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, უილსონი - პენანტი, დილეპი (75. ფულერი), უილანი, ეზერინგტონი (73. უაიტჰედი) - კ. ჯონსი (88. დიაო), უოლტერსი.

**გოლები**: 0:1 ჯონსი (20), 1:1 ბენტი (43)

**გაფრთხილება**: უილსონი, უილანი, ბეგოვიჩი (ყველა სტოკი)

**კუთხური**: 7-8; **ჯარიმა**: 14-9; **კარში დარტყმა**: 7-4 (4-3); **თამაშგარე**: 1-5; **ბურთის ფლობა**: 56%-44%

**მაყურებელი**: 35 235

### ბლექპული-ნიუკასლი 1:1

**ბლექპული** (4-3-3): გილკსი - ერდლი, ივეტი, ბეპტისტი, კრეინი - საუთერნი, ადამი, ვუგანი - ფილიპსი (83. ვერნი), ტეილორ-ფლეტჩერი (89. პანჩიონი), დი ჯეი კემპბელი.

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული - სიმპსონი, კოლოჩინი, უილიამსონი, ენრიკე - ბარტონი, ნოლანი (86. პერჩი), ტიოტე, ხონასი - ამეობი (90. კუქი), ლოვენკრანდსი (62. აირლენდი).

**გოლები**: 0:1 ლოვენკრანდსი (17), 1:1 დი ჯეი კემპბელი (32)

**გაფრთხილება**: ივეტი - ტიოტე

**კუთხური**: 4-4; **ჯარიმა**: 17-8; **კარში დარტყმა**: 14-6 (5-3); **თამაშგარე**: 3-1; **ბურთის ფლობა**: 49%-51%

**მაყურებელი**: 16 003

### ლივერპული-ბირმინგემი 5:0

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - ფლენაგანი, შკრტელი, კარაგერი, რობინსონი (79. შილვი) - მეირელეში (84. ჯ. კოული), სპირინგი, ლუკასი, მაქსი როდრიგესი (89. ნ'გოგი) - სუარესი, კუიტი.

**ბირმინგემი** (4-5-1): ფოსტერი (40. დოილი) - კარი, რ. ჯონსონი, ჟირანეკი, რიჯუელი - ლარსონი, ბოიერი, გარდნერი (73. ფილიპსი), ჰლები (67. ბენტლი), ფეჰეი - ჯერომი.

**გოლები**: 1:0 მაქსი როდრიგესი (7), 2:0 კუიტი (24), 3:0 მაქსი როდრიგესი (66), 4:0 მაქსი როდრიგესი (73), 5:0 ჯ. კოული (86)

**გაფრთხილება**: რობინსონი (ლივერპული)

**კუთხური**: 5-2; **ჯარიმა**: 7-12; **კარში დარტყმა**: 14-8 (11-8); **თამაშგარე**: 1-2; **ბურთის ფლობა**: 54%-46%

**მაყურებელი**: 44 734

### სანდერლენდი-უიგანი 4:2

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე - ალ მუჰამადი, ონუოჰა, ტერნერი, ბერდსლი (10. ა. ფერდინანდი) - ჰენდერსონი, კოლბეკი, კეტერმოლი, სესენიონი - უილბეკი (25. მოლბრანკი), ასამოა (64. მუნტარი).

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი (75. სტამი), ალკარასი, კოლდუელი, გოჰური - მაკარტი (68. მოზესი), უოტსონი, დიამე - ნ'ზოგბია (84. დი სანტო), კლივერლი, როდალეგა.

**გოლები**: 0:1 დიამე (52), 1:1 ასამოა (55), 2:1 ჰენდერსონი (66), 3:1 სესენიონი (73-პენ), 4:1 ჰენდერსონი (76), 4:2 დი სანტო (90)

**გაფრთხილება**: კეტერმოლი - კოლდუელი, ალკარასი

**კუთხური**: 7-3; **ჯარიმა**: 12-10; **კარში დარტყმა**: 15-10 (6-5); **თამაშგარე**: 1-0; **ბურთის ფლობა**: 44%-56%

**მაყურებელი**: 39 650

### ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი 2:2

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში - ქაბული, დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო (7. სანდრო) - ვან დერ ვაარტი, ჰადლსტოუნი (63. ლენონი), მოდრიჩი, ბეილი - პავლიუჩენკო (88. კრაუჩი), დეფო.

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): კერსონი - რიდი (45. ხარა), ოლსონი, მეიტე, შორი - ბრანტი, მულუმბუ, შარნერი (77. კოქსი), ტომასი (70. მორისონი) - ველა, ოდემვინგე.

**გოლები**: 0:1 ოდემვინგე (5), 1:1 პავლიუჩენკო (27), 2:1 დეფო (68), 2:2 კოქსი (81)

**გაფრთხილება**: დოუსონი - შარნერი

**კუთხური**: 11-1; **ჯარიმა**: 8-13; **კარში დარტყმა**: 24-11 (3-3); **თამაშგარე**: 0-3; **ბურთის ფლობა**: 61%-39%

**მაყურებელი**: 36 160

### ვულვერჰემპტონი-ფულჰემი 1:1

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი - სტირმენი, ბერა, კრედოკი, უორდი - გუედიოურა (85. ნაითლი), ო'ჰარა, ჰენრი, მილიაში (59. მენსიენი), ჯერვისი - ფლეტჩერი (77. ებანკს-ბლეიკი).

**ფულჰემი** (4-5-1): შვარცერი - ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალსიდო - ს. დევისი, სიდუელი, მერფი (70. კაკუტა), გუდიონსენი (69. ზამორა), დემპსი (80. ე. ჯონსონი) - დემბელე.

**გოლები**: 1:0 ფლეტჩერი (22), 1:1 ე. ჯონსონი (80)

**გაფრთხილება**: სტირმენი, კრედოკი - ბეირდი, ჰანგელანდი

**კუთხური**: 3-5; **ჯარიმა**: 17-20; **კარში დარტყმა**: 11-19 (4-5); **თამაშგარე**: 3-3; **ბურთის ფლობა**: 42%-58%

**მაყურებელი**: 28 825

### ჩელსი-ვესტ ჰემი 3:0

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ლუიზი, ე. კოული - ესიენი (56. ბენაიუნი), მიკელი, ლემპარდი - კალუ (70. ანელკა), მალუდა, დროგბა (76. ტორესი).

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - იაკობსენი, და კოსტა, გებიდონი, ბრიჯი - სპექტორი, ნობლი (60. კინი), ჰიტცლშპერგერი - სირსი (82. ობინა), ბა, კ. კოული (79. პიქვიონი).

**გოლები**: 1:0 ლემპარდი (44), 2:0 ტორესი (84), 3:0 მალუდა (90)

**გაფრთხილება**: ივანოვიჩი - ჰიტცლშპერგერი, ბა

**კუთხური**: 5-7; **ჯარიმა**: 7-13; **კარში დარტყმა**: 20-18 (10-6); **თამაშგარე**: 4-1; **ბურთის ფლობა**: 68%-32%

**მაყურებელი**: 41 656

### ბოლტონი-არსენალი 2:1

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი - ლი, ელმანდერი (90. კლასნიჩი), მუამბა (72. მ. დევისი), ტეილორი - კ. დევისი, სტარიჯი (85. კოენი).

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, კოშელნი, ჯჯუ-რუ, კლიში - უოლკოტი (73. არშავინი), უილშირი (84. რემსი), სონგი (65. შამახი), ნასრი - ფაბრეგასი, ვან პერსი.

**გოლები**: 1:0 სტარიჯი (38), 1:1 ვან პერსი (48), 2:1 კოენი (90)

**პენალტი ვერ გაიტანა**: კ. დევისი (47-ბოლტონი)

**გაფრთხილება**: მუამბა, ტეილორი, კ. დევისი, კოენი - სონგი, უილშირი, შამახი

**კუთხური**: 3-9; **ჯარიმა**: 14-14; **კარში დარტყმა**: 12-19 (7-6); **თამაშგარე**: 2-0; **ბურთის ფლობა**: 32%-68%

**მაყურებელი**: 26 881

### ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი 0:1

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – სალგადო, სამბა, ფ. ჯონსი, ჟივე (85. მ.ბ. დიუფი) – ემერტონი, ჯ. ჯონსი, დანი (63. როჩინა), ოლსონი – რობერტსი, ბენჯანი (70. კალინიჩი)

**ევერტონი** (4-5-1): ჰარტი- საბალეტა, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – ა. ჯონსონი (72. ჯეკო), დე იონგი, ი. ტურე, ბერი, სილვა (90. ბოიატა) – ბალოტელი (83. ბალოტელი)

**გოლი**: 0:1 ჯეკო (75)

**გაფრთხილება**: ჯ. ჯონსი, ემერტონი – ბერი, ბალოტელი, დე იონგი

**კუთხური**: 4-6; **ჯარიმა**: 16-15; **კარში დარტყმა**: 10-9 (3-6); **თამაშგარე**: 0-0; **ბურთის ფლობა**: 46%-54%

**მაყურებელი**: 23 529

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 71-32 | 73 |
| 2. ჩელსი | 34 | 20 | 7 | 7 | 64-27 | 67 |
| 3. არსენალი | 34 | 18 | 10 | 6 | 67-36 | 64 |
| 4. სიტი | 33 | 17 | 8 | 8 | 51-30 | 59 |
| 5. ტოტენჰემი | 33 | 14 | 13 | 6 | 49-41 | 55 |
| 6. ლივერპული | 34 | 15 | 7 | 12 | 51-39 | 52 |
| 7. ევერტონი | 34 | 11 | 14 | 9 | 47-42 | 47 |
| 8. ბოლტონი | 33 | 12 | 10 | 11 | 48-44 | 46 |
| 9. ნიუკასლი | 34 | 10 | 11 | 13 | 49-48 | 41 |
| 10. სანდერლენდი | 34 | 10 | 11 | 13 | 39-49 | 41 |
| 11. ასტონ ვილა | 34 | 10 | 11 | 13 | 43-55 | 41 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 34 | 10 | 10 | 14 | 49-64 | 40 |
| 13. ფულჰემი | 33 | 8 | 15 | 10 | 37-36 | 39 |
| 14. სტოკი | 33 | 11 | 6 | 16 | 40-43 | 39 |
| 15. ბირმინგემი | 34 | 8 | 14 | 12 | 34-51 | 38 |
| 16. ბლექბერნი | 34 | 9 | 8 | 17 | 40-55 | 35 |
| 17. ბლექპული | 34 | 9 | 7 | 18 | 48-70 | 34 |
| 18. უიგანი | 34 | 7 | 13 | 14 | 34-57 | 34 |
| 19. ვულვზი | 33 | 9 | 6 | 18 | 37-57 | 33 |
| 20. ვესტ ჰემი | 34 | 7 | 11 | 16 | 39-61 | 32 |

**ბომბარდირები**: 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 15 - ბენტი (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი)



ფერნანდო ტორესი ჩელსიში გატანილ პირველ გოლს ზეიმობს

## ინგლისი. ჩემპიონატი

### XXXXIV ტური

**კარდიფი-ქუინზ პარკი 2:2**

გოლები: 1:0 ბოთროიდი (6), 1:1 ტაარაბტი (10), 2:1 ბელამი (35), 2:2 ტაარაბტი (71)

**დერბი-ბარნლი 2:4**

| ბეროე-ლევსკი | 2:3 |
| ლოვეჩი-რაკოვსკი | 4:0 |
| მონტანა-ცსკა | 1:4 |
| მინიორი-პირინი | 1:0 |
| სლავია-ჩერნომორეცი | 0:1 |
| სლივენი-ჩერნო მორე | 1:3 |
| კალიაკრა-ლოკომოტივი (პ) | 1:3 |

## ხორვატია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| დრაგოვოლიაცი-სიბალია | 0:0 |
| სლავენი-ჰაიდუკი | 1:2 |
| კარლოვაცი-ზაგრები | 2:1 |
| ვარტეკსი-ლოკომოტივა | 0:1 |
| რიეკა-ისტრა | 2:0 |
| დინამო-ოსიეკი | 1:0 |
| სპლიტი-შიბენიკი | 1:0 |
| ზადარი-ინტერი | 1:0 |

## კოლუმბია

XIII ტური

| | |
|---|---|
| იტაგუი-ატ. უილა | 3:3 |
| კუკუტა-ატ. ხუნიორი | 0:0 |
| ონსე კალდასი-სანტა ფე | 2:2 |
| ინდეპენდიენტე-ამერიკა | 1:0 |
| ჩიკო-ლა ეკვიდადი | 1:2 |
| დეპ. კალი-ენვიგადო | 3:2 |
| მილიონარიოსი-ატ. ნასიონალი | 1:2 |
| რეალ კარტახენა-დეპ. პერეირა | 2:2 |
| დეპ. ტოლიმა-დეპ. კინდიო | 0:0 |

## ჩეხეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| უსტი-იაბლონეცი | 2:1 |
| ბუდეიოვიცე-პრშიბრამი | 3:0 |
| პლზენი-სლავია | 2:2 |
| სლოვაცკო-ბანიკი | 0:0 |
| ჰრადეცი-ბრნო | 1:0 |
| ბოჰემიანსი-ბოლესლავი | 3:1 |
| სპარტა-სიგმა | 2:0 |
| ლიბერეცი-ტეპლიცე | 6:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 25 | 18 | 5 | 2 | 61-23 | 59 |
| 2. სპარტა | 25 | 18 | 1 | 6 | 41-15 | 55 |
| 3. იაბლონეცი | 25 | 14 | 5 | 6 | 52-24 | 47 |
| 4. სიგმა | 25 | 12 | 5 | 8 | 42-23 | 41 |
| 5. ბოლესლავი | 25 | 11 | 7 | 7 | 42-32 | 40 |
| 6. ბოჰემიანსი | 25 | 11 | 6 | 8 | 30-25 | 39 |
| 7. ლიბერეცი | 25 | 10 | 6 | 9 | 38-29 | 36 |
| 8. ტეპლიცე | 25 | 10 | 5 | 10 | 35-41 | 35 |
| 9. ჰრადეცი | 25 | 9 | 7 | 9 | 22-30 | 34 |
| 10. სლავია | 25 | 6 | 11 | 8 | 29-31 | 29 |
| 11. სლოვაცკო | 25 | 7 | 6 | 12 | 23-37 | 27 |
| 12. ბუდეიოვიცე | 25 | 6 | 9 | 10 | 22-40 | 27 |
| 13. ბანიკი | 25 | 6 | 7 | 12 | 21-33 | 25 |
| 14. პრშიბრამი | 25 | 5 | 7 | 13 | 13-31 | 22 |
| 15. ბრნო | 25 | 6 | 1 | 18 | 26-48 | 19 |
| 16. უსტი | 25 | 4 | 6 | 15 | 18-53 | 18 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

ტრშინეცი-სოკოლოვი 2:2; კარვინა-ჟლინი 4:3; მოსტი-ჩასლავი 1:0; იჰლავა-სპარტა II 5:1; სლოვანი-ზნოიმო 2:0; ჰლუჩინი-დუკლა 2:1; ვლაშიმი-კლადნო 2:3; ვიქტორია-სეზიმოვო 2:0.

## ესტონეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ტრანსი-ფლორა | 0:2 |
| ვილიანდი-პაიდე | 1:0 |
| კალიუ-აიაქსი | 4:0 |
| ტამეკა-კურესაარე | 2:1 |
| ლევადია-კალევი | 4:1 |

## უნგრეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| უიპეშტი-ზალაეგერსეგი | 4:2 |
| შიოფოკი-სოლნოკი | 1:1 |
| ვაშაში-დებრეცენი | 1:5 |
| მტკ-ფერენცვაროში | 1:3 |
| ჰონვედი-პაკში | 1:0 |
| ვიდეოტონი-ლომბარდ პაპა | 4:0 |
| დიორი-ჰალადაში | 2:2 |
| კეჩკემეტი-კაპოშვარი | 4:1 |

## ისრაელი

I ტური

### საჩემპიონო

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ირონი | 3:1 |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (ნ) | 1:2 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბნეი იეჰუდა | 2:1 |

### უეფა

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:2 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (აკ) | 4:1 |

### გასავარდნი

| | |
|---|---|
| აშდოდი-ჰაპოელი (აშ) | 4:1 |
| ბეითარი-ჰაპოელი (რ-გ) | 5:1 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-ბნეი შახნინი | 1:1 |

## მოლდოვა

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ნისტრუ-დინამო | 4:0 |
| ოლიმპია-ისკრა | 2:1 |
| სფინტული-კოსტულენი | 2:0 |
| გაგაუზია-ტირასპოლი | 1:2 |
| ვიიტორული-ზიმბრუ | 1:2 |
| შერიფი-ცსკა | 2:1 |
| დაჩია-აკადემია | 2:0 |

## პოლონეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ლეჩია-ლეგია | 2:1 |
| ლეხი-ბელხატოვი | 0:0 |
| კორონა-რუხი | 0:1 |
| ვიძევი-პოლონია (ბ) | 3:1 |
| პოლონია (ვ)-არკა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 23 | 13 | 5 | 5 | 36-23 | 44 |
| 2. იაგელონია | 23 | 12 | 5 | 6 | 29-20 | 41 |
| 3. ლეჩია | 23 | 10 | 5 | 8 | 29-25 | 35 |
| 4. პოლონია (ვ) | 23 | 9 | 6 | 8 | 33-22 | 33 |
| 5. ლეხი | 23 | 9 | 6 | 8 | 27-18 | 33 |
| 6. შლიონსკი | 23 | 8 | 9 | 6 | 32-28 | 33 |
| 7. ლეგია | 23 | 10 | 2 | 11 | 29-34 | 32 |
| 8. გურნიკი | 23 | 9 | 5 | 9 | 24-34 | 32 |
| 9. ბელხატოვი | 23 | 8 | 7 | 8 | 25-25 | 31 |
| 10. რუხი | 23 | 8 | 7 | 8 | 22-22 | 31 |
| 11. კორონა | 23 | 8 | 7 | 8 | 29-33 | 31 |
| 12. ვიძევი | 23 | 7 | 9 | 7 | 32-25 | 30 |
| 13. ზაგლები | 23 | 7 | 8 | 8 | 23-29 | 29 |
| 14. პოლონია (ბ) | 23 | 5 | 8 | 10 | 22-31 | 23 |
| 15. არკა | 23 | 5 | 8 | 10 | 15-26 | 23 |
| 16. კრაკოვია | 23 | 5 | 5 | 13 | 28-40 | 20 |

## რუმინეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ასტრა-რაპიდი | 0:0 |
| ტიმიშოარა-ტარგუ | 0:0 |
| ვიქტორია-უნივერსიტატეა (კლ) | 0:2 |
| სპორტული-პანდური | 2:1 |
| კლუჟი-ვასლუი | 1:0 |
| უნივერსიტატეა (კრ)-ბრაშოვი | 1:2 |
| სტიაუა-დინამო | 0:1 |
| გლორია-ოცელული | 0:0 |
| გაზ მეთანი-უნირეა | 2:0 |

## რუსეთი

V ტური

| | |
|---|---|
| ვოლგა-ყუბანი | 0:1 |
| როსტოვი-ტერეკი | 1:0 |
| კრასნოდარი-ლოკომოტივი | 1:4 |
| ტომი-ცსკა | 1:1 |
| რუბინი-ამკარი | 1:1 |
| ზენიტი-კრილია | 3:0 |
| სპარტაკი-ნალჩიკი | 1:0 |
| დინამო-ანჟი | 2:2 |

### II დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ენისეი-მორდოვია | 2:0 |
| სიბირი-კამაზ | 1:1 |
| ნ. ნოვგოროდი-ლ. ენერგია | 4:1 |
| ურალ-ბალტიკა | 3:0 |
| გაზოვიკი-ტორპედო | 1:1 |
| ჩერნომორეცი-ფაკელი | 1:0 |
| შინიკი-ალანია | 2:2 |
| ტორპედო-სკა ენერგია | 3:1 |
| დინამო (ბ)-გაზპრომი | 0:0 |
| ჟემჩუჟინა-ხიმკი | 1:0 |

## სერბეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| რად-სპარტაკი | 1:1 |
| პარტიზანი-ცრ. ზვეზდა | 1:0 |
| ჩუკარიჩკი-იავორი | 0:1 |
| ოფკ-ვოივოდინა | 1:0 |
| სლობოდა-იაგოდინა | 2:0 |
| ინდიია-ბორაცი | 2:0 |
| ჰაიდუკი-სმედერევო | 2:0 |
| მეტალაკი-ბორჩა | 2:0 |

## სლოვაკეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| დუკლა-მორავცე | 1:1 |
| ნიტრა-სლოვანი | 0:1 |
| რუჟომბეროკი-ჟილინა | 0:0 |
| ვენიცა-კოშიცე | 1:1 |
| ტრნავა-დ. სტრედა | 3:0 |
| ტატრანი-დუბნიცა | 2:1 |

## სლოვენია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| პრიმორიე-ნაფტა | 1:4 |
| კოპერი-დომჟალე | 3:1 |
| ჰუბლიკუმი-ტრიგლავი | 2:0 |
| მარიბორი-რუდარი | 2:1 |
| ოლიმპია-გორიცა | 1:0 |

## უკრაინა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| კრივბასი-დნიპრო | 0:3 |
| მეტალურგი (ზ)-ვორსკლა | 2:0 |
| სევასტოპოლი-ილიჩივეცი | 1:0 |
| არსენალი-დინამო | 0:3 |
| შახტარი-მეტალისტი | 2:1 |
| კარპატი-ტავრია | 1:0 |
| ვოლინი-ობოლონი | 1:0 |
| ზორია-მეტალურგი (დ) | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 26 | 22 | 1 | 3 | 50-12 | 67 |
| 2. დინამო | 26 | 17 | 5 | 4 | 48-19 | 56 |
| 3. მეტალისტი | 26 | 15 | 5 | 6 | 48-24 | 50 |
| 4. დნიპრო | 26 | 13 | 8 | 5 | 41-20 | 47 |
| 5. კარპატი | 26 | 13 | 7 | 6 | 36-25 | 46 |
| 6. ვოლინი | 26 | 9 | 6 | 11 | 24-37 | 33 |
| 7. მეტალურ (დ) | 26 | 9 | 5 | 12 | 28-36 | 32 |
| 8. ტავრია | 26 | 8 | 8 | 10 | 39-40 | 32 |
| 9. ვორსკლა | 26 | 8 | 7 | 11 | 32-29 | 31 |
| 10. არსენალი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-35 | 31 |
| 11. ობოლონი | 26 | 8 | 7 | 11 | 22-30 | 31 |
| 12. ზორია | 26 | 6 | 9 | 11 | 26-36 | 27 |
| 13. სევასტოპოლი | 26 | 6 | 6 | 14 | 22-42 | 24 |
| 14. ილიჩივეცი | 26 | 5 | 8 | 13 | 37-59 | 23 |
| 15. კრივბასი | 26 | 4 | 11 | 11 | 22-40 | 23 |
| 16. მეტალურ (ზ) | 26 | 4 | 6 | 16 | 14-35 | 18 |

## იაპონია

VII ტური

| | |
|---|---|
| იამაგატა-სერეზო | 0:0 |
| შიმიძუ-ფუკუოკა | 1:0 |
| კაშიმა-იოკოჰამა | 0:3 |
| ომია-კაშივა | 0:1 |
| კოფუ-კობე | 1:1 |
| კავასაკი-ვეგალტა | 1:2 |
| ნიიგატა-ივატა | 1:1 |
| ჰიროშიმა-გამბა | 4:1 |
| ურავა-ნაგოია | 3:0 |

## მექსიკა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ნეკაქსა-პუმასი | 0:1 |
| კრუს ასული-გვადალახარა | 1:1 |
| კერეტარო-პაჩუკა | 1:1 |
| მონტერეი-პუებლა | 1:1 |
| ს. ლაგუნა-სან ლუისი | 1:3 |
| ატლასი-ხაგუარესი | 2:0 |
| მორელია-ტიგრესი | 0:3 |
| ტოლუკა-ტეკოსი | 4:4 |
| ამერიკა-ატლანტე | 1:1 |

## აშშ

VI ტური

| | |
|---|---|
| დი სი იუნაიტედი-ნიუ იორკი | 0:4 |
| კოლორადო-სიეტლი | 0:1 |
| სან ხოსე-ჩივასი | 1:2 |
| ტორონტო-კოლამბუსი | 1:1 |
| ვანკუვერი-დალასი | 1:2 |
| ნიუ ინგლენდი-კანზასი | 3:2 |
| ჩიკაგო-ჰიუსტონი | 1:1 |
| ლოს ანჯელესი-პორტლენდი | 3:0 |

## არგენტინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI ტური

| | |
|---|---|
| რივერი-გოდოი | 1:2 |
| არგ. ხუნიორსი-რასინგი | 2:1 |
| ინდეპენდიენტე-ოლ ბოისი | 2:2 |
| ურაკანი-ბოკა | 0:3 |
| ტიგრე-სან ლორენსო | 1:0 |
| ესტუდიანტესი-კოლონი | 0:2 |
| ველესი-კილმესი | 2:3 |
| ნიუელსი-ბანფილდი | 0:1 |
| არსენალი-ხიმნასია (ლ-პ) | 1:1 |
| ლანუსი-ოლიმპო | გვ. დასრულდა |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 11 | 6 | 3 | 2 | 19-11 | 21 |
| 2. გოდოი | 11 | 6 | 2 | 3 | 20-16 | 20 |
| 3. რივერი | 11 | 5 | 4 | 2 | 10-6 | 19 |
| 4. არგ. ხუნიორსი | 11 | 4 | 6 | 1 | 10-5 | 18 |
| 5. ბანფილდი | 11 | 5 | 3 | 3 | 12-11 | 18 |
| 6. ოლიმპო | 10 | 5 | 2 | 3 | 19-14 | 17 |
| 7. ესტუდიანტესი | 11 | 5 | 2 | 4 | 12-9 | 17 |
| 8. კოლონი | 11 | 5 | 2 | 4 | 14-15 | 17 |
| 9. რასინგი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-14 | 16 |
| 10. ლანუსი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-10 | 15 |
| 11. სან ლორენსო | 11 | 4 | 3 | 4 | 11-9 | 15 |
| 12. ტიგრე | 11 | 4 | 3 | 4 | 13-14 | 15 |
| 13. ინდეპენდიენ | 11 | 3 | 5 | 3 | 15-13 | 14 |
| 14. ბოკა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-14 | 14 |
| 15. ოლ ბოისი | 11 | 3 | 3 | 5 | 8-14 | 12 |
| 16. არსენალი | 11 | 2 | 5 | 4 | 13-15 | 11 |
| 17. ხიმნასია | 11 | 2 | 5 | 4 | 10-14 | 11 |
| 18. ურაკანი | 11 | 2 | 5 | 4 | 13-19 | 11 |
| 19. კილმესი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-16 | 9 |
| 20. ნიუელსი | 11 | 1 | 2 | 8 | 10-23 | 5 |

## ბრაზილია

### პაულისტა A1

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სანტოსი-პონტე პრეტა | 1:0 |
| კორინთიანსი-ოესტე | 2:1 |
| სან პაულუ-პორტუგეზა | 2:0 |
| პალმეირასი-მირასოლი | 2:1 |

## ეკვადორი

XIV ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კუენსა-მანტა | 3:2 |
| ოლმედო-ინდეპენდიენტე | 2:2 |
| ემელეკი-ელ ნასიონალი | 1:1 |
| ლიგა დე ლოხა-იმბაბურა | 0:2 |
| დეპ. კიტო-ბარსელონა | 1:0 |
| ესპოლი-ლდუ კიტო | 0:0 |

## ჩილე

XIII ტური

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-კოლო კოლო | 2:1 |
| უაჩიპატო-კობრელოა | 1:1 |
| უნ. კატოლიკა-კობრესალი | 5:2 |
| სან ფელიპე-ლა სერენა | 0:1 |
| ო'ჰიგინსი-ლა კალერა | 2:0 |
| დეპ. იკიკე-აუდაქსი | 2:0 |
| უნ. დე ჩილე-პალესტინო | 0:0 |
| ატ. ნუბლენსე-უნ. ესპანიოლა | 0:5 |
| უონდერერსი-უნ. კონსეპსიონი | 2:1 |

## პარაგვაი

XV ტური

| | |
|---|---|
| ნასიონალი-ტაკუარი | 1:0 |
| რუბიო ნუ-გუარანი | 3:0 |
| ლიბერტადი-სერო პორტენიო | 1:1 |
| 3 დე ფებრერო-ლუკენიო | 1:0 |
| ოლიმპია-სოლ დე ამერიკა | 2:0 |
| ინდეპენდიენტე-ხენერალი | 2:2 |

## პერუ

IX ტური

| | |
|---|---|
| უნივერსიტარიო-ალ. ატლეტიკო | 1:0 |
| სესარ ვალიეხო-სპ. კრისტალი | 1:0 |
| კოლეხიო-სპორტ ბოისი | 0:0 |
| ხუან აურიჩი-ალ. ლიმა | 2:0 |
| დ. სან მარტინი-მელგარი | 2:2 |
| დ. კობრესოლი-სესიანო | 0:0 |
| ლეონი-სპორტი | 2:1 |
| ინტი გასი-უნიონი | 1:0 |

## ურუგვაი

XI ტური

| | |
|---|---|
| რამპლა-პენიაროლი | 1:3 |
| რივერ პლეიტი-მირამარი | 2:1 |
| დანუბიო-ტაკუარემბო | 3:1 |
| სერო-ფენიქსი | 1:1 |
| ბელა ვისტა-მონტევიდეო | 0:1 |
| დეფენსორი-რასინგი | 3:0 |
| ლივერპული-ელ ტანკე | 1:0 |
| ნასიონალი-სენტრალი | 3:1 |

## აზერბაიჯანი

### საჩემპიონო ზონა

VI ტური

| | |
|---|---|
| ყარაბახი-ინტერი | 1:0 |
| ხაზარი-აზალ | 3:0 |
| ნეფთჩი-ბაქუ | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეფთჩი | 6 | 4 | 2 | 0 | 49-12 | 62 |
| 2. ხაზარი | 6 | 1 | 4 | 1 | 33-15 | 54 |
| 3. ყარაბახი | 6 | 3 | 2 | 1 | 34-16 | 53 |
| 4. აზალ | 6 | 3 | 0 | 3 | 31-22 | 45 |
| 5. ინტერი | 6 | 0 | 3 | 3 | 27-23 | 43 |
| 6. ბაქუ | 6 | 0 | 3 | 3 | 29-26 | 36 |

### გასავარდნი ზონა

VI ტური

| | |
|---|---|
| მუგანი-სიმურგი | 3:0 |
| ქაბალა-მოიკ | 0:0 |
| განჯა-თურანი | 1:0 |

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტური

# გლადბახის ბორუსიაა!

## დორტმუნდის ჩემპიონობა გადაიდო, დაუმმა ბაიერნს ფეხი დაუდო



გმირი მომო იდრისუ - „გლადბახმა“ „დორტმუნდი“ მისი გოლით დაამარცხა

ბუნდესლიგის 31-ე ტურის მთავარი გმირი ისევ „ბორუსია“ იყო - ოღონდ, არა დორტმუნდის, არამედ მიონხენგლადბახის. აუტსაიდერმა პირველ ადგილზე მყოფი სეხნიას დამარცხებით უდიდესი გმირობა ჩაიდინა: ჯერ ერთი, **ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა დიდი ხნის მერე პირველად დააღწიეს თავი ბოლო ადგილს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ ერთხელ დაძაბეს. თუმცა, ალბათ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ, უბრალოდ, „დორტმუნდის“ ჩემპიონობა გადადეს. მოკლედ, „ვერცხლის სინის“ ნაცვლად, BVB-მ შაბათს, მიონხენგლადბახში „ცივი შხაპი“ მიიღო. თანაც, „ლევერკუზენს“ თავისი თამაში მოგებული ჰქონდა და **იურგენ კლოპის** შეგირდებს სამი ქულაც რომ აელოთ, ჩემპიონობას მაინც ვერ გაიფორმებდნენ.

ასეა, თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ „დორტმუნდსა“ და „ლევერკუზენს“ შორის სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა, წინ კი სამი ტურია. „ბორუსიაზე“ ამ სეზონში პირველად უნდა ვთქვათ ის, რომ კლოპის ბიჭები წაგებას ნაღდად იმსახურებდნენ. BVB-მ განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში ითამაშა. გარკვეულ მომენტებში ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ დორტმუნდელ ფეხბურთელებს ეგონათ, მიონხენგლადბახიდან სამ ქულას უპრობლემოდ წაიღებდნენ და სწორედ ამიტომ დაისაჯნენ. „გლადბახმა“ კი ისე იბრძოლა, თუნდაც მარტო ამ მატჩის გამო იმსახურებს გადარჩენას.

გასაკვირი არც ისაა, რომ ბევრი დაეჭვდა, ემანდ, „ლევერკუზენმა“ „დორტმუნდს“ ზუსტად იგივე არ გაუკეთოს, რაც „დორტმუნდმა“ გაუკეთა „ლევერკუზენს“ 2002 წელსო - გეხსომებათ, მაშინ **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ გაწვრთნილი „ფარმაცევტები“ ძალიან დიდხანს ლიდერობდნენ და ჩემპიონობა ბოლო ტურში დაკარგეს. აქვე იმასაც გავახსენებთ, რომ „დორტმუნდს“ მას მერე ჩემპიონობა აღარ უზეიმია. თუმცა „ბორუსიას“ ნახევარმცველი **კევინ გროსკროიტცი** გულშემატკივრებს ამშვიდებს, ამ ერთი წაგების გამო ტრაგედიას ნუ შევქმნით, სასოწარკვეთა არ დაგვეუფლება, ადრე თუ გვიან, მაინც გავხდებით ჩემპიონებიო. „გლადბახიდან“ გამარჯვების გოლი **მომო იდრისუმ** 35-ე წუთზე გაიტანა და ეს გოლი „ბორუსიას“ მცველ **ნევენ სუბოტიჩის** სინდისზე იყო, რომელმაც ბავშვური შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში დაშვებული შეცდომისა, კლოპმა სუბოტიჩი მაინც დაიცვა, დიახ, მწარედ შეცდა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს იყო პირველი შეცდომა, რომელიც ნევენმა ამ სეზონში დაუშვაო.

მეორე ტაიმში დორტმუნდელები გაცილებით უკეთ ათამაშდნენ, მაგრამ არა ისე, როგორც ამას წინათ „ჰამბურგთან“, სადაც შეძლეს კიდეც ანგარიშის გათანაბრება. დორტმუნდელებმა შაბათს მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ბურთი ორჯერ მოარტყეს ძელს. ამრიგად, BVB-მ ხელიდან ბრწყინვალე შანსი გაუშვა, დაემყარებინა ბუნდესლიგის რეკორდი - მოეგო ზედიზედ 12 გასვლითი მატჩი.

„ლევერკუზენმა“ მოიგო (2:1 ჰოფენჰაიმთან) და „დორტმუნდთან“ ჩამორჩენა ხუთ ქულამდე კი შეამცირა, მაგრამ „ბაიერნის“ მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** შავი დღეები გადაიტანა. მიუნხენისკენ გეზაღებულ „დონ იუპს“ იმ კვირაში მალალი სიცხეები ჰქონდა, რის გამოც სამი დღე გუნდი ვერ ავარჯიშა, „ჰოფენჰაიმთან“ შეხვედრაში კი სტადიონზე მისვლა შეძლო, მაგრამ ლევერკუზენელი ქომაგებისგან სტვენისა და ლანძღვა-გინების ატანა მოუხდა. პრინციპში, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან წინა კვირას „ფარმაცევტები“ მიუნხენში განადგურდნენ და რაკი ჰაინკესი მომდევნო სეზონში სწორედ „ბაიერნს“ გაწვრთნის, ფანებმა დიდხანს უსტვინეს. თანაც, „ჰოფენჰაიმთან“ გუნდიც ისე თამაშობდა, თითქოს ფეხბურთელებიც ნასიცხარ-ნაავადმყოფრები იყვნენ. მიუხედავად ამისა, არანაკლებ უნიათო „ჰოფენჰაიმთან“ მოსაგებად ასეთი „შემართებაც“ საკმარისი აღმოჩნდა - „სოფლელები“ იგებდნენ, მაგრამ „ფარმაცევტებმა“ თამაში თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს, რაც მეტწილად **არტურო ვიდალის** დამსახურებაა, რომელმაც გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა. ასე რომ, „ლევერკუზენის“ მეკარე **რენე ადლერს** საფინალო სასტვენის შემდეგ ტყუილად არ უთქვამს, ვიდალი ამ სეზონში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეაო.

ამ მოგებით, „ლევერკუზენმა“ ჩემპიონობის თეორიული შანსი დაიტოვა, ჩემპიონთა ლიგაში თამაში კი ფაქტობრივად გაინაღდა და რაკი ამ უქმეებზე „ბაიერნი“ ისევ მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, გამარჯვების გოლის შემდეგ, „ბაი-არენაზე“ შეკრებილი ქომაგები ჰაინკესს ასეთი შინაარსის სიმღერებს უმღეროდნენ: *„ჩვენ არასდროს გადავიდოდით მიუნხენის „ბაიერნში“... ჰაინკეს, იცი, რომელ ტურნირზე მოგიწევს მომდევნო სეზონში ასპარეზობა? უეფას თასზე! თუ როგორ ჰქვია?...“*

რაც შეეხება „ბაიერნის“ ტრაგედიას: ტურის წინ, რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** თქვა, როგორც იქნა, ყველაფერი კანონზომიერია, „ჰანოვერი“ უნდა მოგვსდევდეს ჩვენ და არა პირიქითო. 31-ე ტურის შემდეგ კი ისევ პირიქითაა და ჰიონესი განსაკუთრებით იმის გამო იქნება გაწრისხებული, რომ „ბაიერნს“ უმნიშვნელოვანესი ქულები **კრისტოფ დაუმმა** დააკარგვინა. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, დაუმის „აინტრახტი“ „ბაიერნს“ 1:0-ს უგებდა, როცა რეჟისორებმა ჰიონესი ახლო ხედით გვაჩვენეს: ული აჭარხლებული იყო და ოფლში ცურავდა. არა გვგონია, რომ ეს მარტო ფრანკფურტული დარის ბრალი ყოფილიყო - ჰიონესი ევროპის ლიგაში მოხვედრის შიშმა აანერვიულა. ხოლო ის ფაქტი, რომ რეკორდმაისტერს ფეხი მაინცდამაინც ულის დაუძინებელმა მტერმა დაუმმა დაუდო, ჰიონესისთვის ნამდვილი ტრაგედიაა. შორს წასვლა და კრისტოფის 22 წლის წინანდელი კოკაინ-სკანდალის გახსენება საჭირო არცაა, ახლო წარსულში, როცა დაუმი „აინტრახტში“ დაინიშნა, ულიმ თქვა, როგორც ჩანს, ამ გუნდის შეფებს ჯადო გაუკეთეს ან საწამლავი ჩაუყარეს, თორემ კრისტოფ დაუმს როგორ დანიშნავდნენო.

„ლევერკუზენთან“ 5:1-ის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ მიუნხენელები სეზონის დარჩენილ შეხვედრებს ერთი ამოსუნთქვით ჩაატარებდნენ, მაგრამ „აინტრახტი“ „კერკეტი კაკალი“ გამოდგა და „ბაიერნი“ ისევ მეოთხეა, ჩემპიონთა ლიგის ზონაში კი კვლავ „ჰანოვერმა“ შეაბიჯა. *„ვფიქრობ, სერიოზული საფრთხის წინაშე ვართ. სეზონის დამთავრებამდე მხოლოდ სამი ტურია დარჩენილი და სამეულში არ ვართ. ახლა იმედი უნდა გვქონდეს, რომ „ჰანოვერი“ კიდევ ერთხელ წაიფორხილებს, ჩვენ კი ქულებს აღარ დავკარგავთ. ეს საშინელი განცდაა!“* - განაცხადა **თომას მიულერმა**. სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერიც** აღიარებს, რომ „ბაიერნს“ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმძიმესი თვე ელის, მაგრამ ამბობს, ასი პროცენტით მჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დავრჩებითო. „აინტრახტთან“ კი მიუნხენელებს ცოტათი გაუმართლათ კიდეც: მართალია, მსაჯმა **დრეესმა** მანამდე, ფრანკფურტელთა კარში ორი ნაღდი პენალტი არ დანიშნა, სამაგიეროდ, რომელიც დანიშნა, საეჭვო იყო. ბავარიელებმა წონასწორობა 89-ე წუთზე, სწორედ ამ პენალტით აღადგინეს და ქულით მოუხდათ დაკმაყოფილება. დაუმი გადარეული იყო, ბუნდესლიგაში შეურაცხადი და არაპროგნოზირებადი მსაჯები არ გვჭირდება, ეს არბიტრი ნამდვილი იდიოტიაო. როგორც ჩანს, კრისტოფმა ეს სიტყვები უშუალოდ მსაჯსაც უთხრა, რადგან საფინალო სასტვენამდე ორიოდე წუთით ადრე ტრიბუნაზე მიაბრძანეს. კრისტოფი ამბობს, შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია, უბრალოდ, მეოთხე მსაჯს ვკითხე, რატომ ამატებს ოთხ წუთს-მეთქი. მართალია, „აინტრახტს“ კრისტოფის ხელში ჯერ კიდევ არ მოუგია, მაგრამ დაუმს შეუძლია, იმით მაინც იამაყოს, რომ დაუძინებელ მტერ ჰიონესს ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე ფეხი დაუდო.

„კაიზერსლაუტერნმა“ (შალკესთან), „შტუტგარტმა“ (ჰამბურგთან) და „ვერდერმა“ (ზანკტ პაულისთან) ჰაერივით საჭირო გამარჯვებები იზეიმეს. „ვოლფსბურგმა“ **ფელიქს მაგათის** ხელში პირველად მოიგო (კიოლნთან) და გადარჩენისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაში კი, „ნიურნბერგმა“ „მაინცის“ დამარცხება ვერ შეძლო (0:0). შესაბამისად, მაინცელები ევროპის ლიგის ზონაში დარჩნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

**29 აპრილი.** ვერდერი-ვოლფსბურგი, კაიზერსლაუტერნი-ზანკტ პაული.

**30 აპრილი.** ბორუსია (დ)-ნიურნბერგი, ჰამბურგი-ფრაიბურგი, მაინცი-აინტრახტი, ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი, კიოლნი-ლევერკუზენი, ჰანოვერი-ბორუსია (მ), ბაიერნი-შალკე.

### ფრაიბურგი-ჰანოვერი 1:3

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - მუიჯა, კრმასი, ტოპრაკი, ბუტშერი - შუსტერი, მაკიადი (75. ვილიამსი) - ნიკუ, პუცილა (72. იეგერი) - კალიჯური (38. როზენტალი), სისე.

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - ლალა (87. ეგიმანი), შმიდებახი - შტინდლი, რაუში (71. კარლიტოსი) - შლაუდრაფი (91. ჩაპედი), აბდელაუ.

**გოლები:** 0:1 აბდელაუ (24), 0:2 შლაუდრაფი (31), 0:3 რაუში (58), 1:3 როზენტალი (79)

**გაფრთხილება:** კ. შულცი, შტინდლი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 14(7)-9(5); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 24 000

### შალკე-კაიზერსლაუტერნი 0:1

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - ჰაო, მატიპი, მეტცელდერი, ესკუდერო - პლიციკასი (46. ხურადო), დანილო ალვარი - ფარფანი (46. ბაუმიოჰანი), დრაქსლერი - რაული, ედუ (62. ქარიმი).

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი - დიკი (13. კირხი), აბელი, როდნი, იესენი - პეცოსი, მორავეკი - ტიფერტი (84. რივიჩი), ჰლუშეკი - ჰოფერი, ლაკიჩი (76. დე ვიტი).

**გოლი:** 0:1 ლაკიჩი (42)

**გაფრთხილება:** ჰლუშეკი, მორავეკი, დე ვიტი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 10-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11(2)-9(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 61 673

### ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი 2:1

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - ვიდალი, შვააბი, ჰიიპია, კადლეცი - ლ. ბენდერი, როლფესი (46. დერდიოკი) - სემი (78. ბარნეტა), ბალაკი, რენატო - კისლინგი (86. ბალიტში).

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი - ალაბა, რუდი - რობერტო ფირმინიო, სიგურდსონი, ბაბელი - მლაპა (78. იბიშევიჩი).

**გოლები:** 0:1 სიგურდსონი (28), 1:1 კადლეცი (40), 2:1 ვიდალი (51)

**გაფრთხილება:** ბეკი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 15(4)-9(3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 29 313

### შტუტგარტი-ჰამბურგი 3:0

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო (82. დიდავი) - ტრეში, კუზმანოვიჩი (76. გენტნერი) - ჰარნიკი, ჰაინალი, ოკაზაკი (66. ბოკა) - კაკაუ.

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ფ. როსტი - დიკმაიერი, კაჩარი, ვესტერმანი, აოგო - იაროლიმი - თორუნი (46. ტეშე), ელია (61. გერერო) - ზე რობერტო - პეტრიჩი, ბენ-ჰატირა (80. სონი).

**გოლები:** 1:0 კაკაუ (6), 2:0 გენტნერი (78), 3:0 კაკაუ (88)

**გაფრთხილება:** ულრაიხი, მოლინარო

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 14(6)-11(4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 39 000

### აინტრახტი-ბაიერნი 1:1

**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, როდე, რუსი, კიოლერი - შვეგლერი, კლერკი - ოხსი, ჰალილ ალთინთოფი, ფენინი (94. კაიო) - გეკასი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, ლუის გუსტავო, კონტენტო - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი (69. კროოსი) - თ. მიულერი, კლოზე, რიბერი - გომესი.

**გოლები:** 1:0 როდე (54), 1:1 გომესი (89-პენ)

**გაფრთხილება:** კიოლერი, ოხსი, იუნგი, ფენინი - შვაინშტაიგერი, გომესი, ლუის გუსტავო

**გაძევება:** დაუმი (90. აინტრახტის მწვრთნელი)

**კუთხური:** 0-9; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 8(2)-18(9); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 51 000

### ზანქტ პაული-ვერდერი 1:3

**ზანკტ პაული (4-2-3-1):** პლიკე - ბარტელსი, თორანდტი, გიუნეში, ლეხნერი - ბოლი (18. დაუბე), მ. ლემანი - ბრუნსი (74. ნაკი), ტაკი (66. ებერსი), მ. კრუსე - ასამოა.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, პასანენი, სილვესტრი - ფრინგსი - ვესლი, ბარგფრედე (67. ჰანტი) - მარინი - პისარო, ვაგნერი (89. დ. შმიდტი).

**გოლები:** 1:0 ბარტელსი (29), 1:1 თორანდტი (50-საკ. კარში), 1:2 პისარო (73), 1:3 პისარო (74)

**გაფრთხილება:** ბარტელსი, მ. ლემანი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 5(3)-14(4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 24 487

### ბორუსია (მ)-ბორუსია (დ) 1:0

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანტშკე, შტრანცლი, ბრუვერსი, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი - ჰერმანი (62. მარქსი), არანგო - როისი (85. შახტენი), იდრისუ (79. მატმური).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი. და სილვა - ბლაშჩიკოვსკი (64. ზიდანი), გიოტცე, გროსკროიტცი (85. შტიპერმანი) - ლევანდოვსკი (64. ბარიოსი).

**გოლი:** 1:0 იდრისუ (35)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 7(2)-21(8); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 54 057

### ვოლფსბურგი-კიოლნი 4:1

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - რიტერი, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - ჟოსუე - პოლაკი (66. ჰასებე), სისერო (34. დეჟაგა) - დიეგო - მანჯუკიჩი, გრაფიტე (81. მადლუნგი).

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟეროშელი, მოჰამადი, აიხნერი - ლანიგი (64. მატუშიკი), იაბო (78. სანუ) - ფრაისი, ჟაჟალო, კლემენსი (63. ჩიპი) - ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (14), 2:0 მანჯუკიჩი (39), 2:1 ფრაისი (40), 3:1 დეჟაგა (58), 4:1 დეჟაგა (88)

**გაფრთხილება:** 0:0; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 18(9)-14(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 30 000

### ნიურნბერგი-მაინცი 0:0

**ნიურნბერგი (4-1-2-2-1):** რ. შეფერი - ჩანდლერი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა (76. პლატენჰარდტი) - სიმონსი - კოენი (60. მაკი), ექიჩი - ჰეგელერი (46. გიუნდოგანი), აიგლერი - შიბერი.

**მაინცი (4-4-2):** ვეტკლო - ბუნგერტი, სვენსონი, ნოვესკი, ფათი - კალიჯური (84. ივანშიტცი), პოლანსკი, სოტო, ფუხსი (65. რისსე) - ალაგუი (79. შლიშკოვიჩი), შიურლე.

**გაფრთხილება:** გიუნდოგანი, პინოლა, აიგლერი, ვოლფი, მაკი - სოტო, კალიჯური, პოლანსკი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 11(2)-10(1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 48 548

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 31 | 21 | 6 | 4 | 62:19 | 69 |
| 2. ლევერკუზენი | 31 | 19 | [illegible] | [illegible] | 62:41 | 64 |
| 3. ჰანოვერი | 31 | 18 | 3 | 10 | 45:41 | 57 |
| 4. ბაიერნი | 31 | 16 | 8 | 7 | 67:37 | 56 |
| 5. მაინცი | 31 | 15 | 4 | 12 | 44:37 | 49 |
| 6. ნიურნბერგი | 31 | 13 | 8 | 10 | 45:38 | 47 |
| 7. ჰამბურგი | 31 | 12 | 7 | 12 | 44:48 | 43 |
| 8. ფრაიბურგი | 31 | 12 | 5 | 14 | 39:47 | 41 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 31 | 10 | 10 | 11 | 46:44 | 40 |
| 10. შალკე | 31 | 11 | 7 | 13 | 35:35 | 40 |
| 11. ვერდერი | 31 | 9 | 11 | 11 | 43:57 | 38 |
| 12. კაიზერსლ. | 31 | 10 | 7 | 14 | 41:48 | 37 |
| 13. შტუტგარტი | 31 | 10 | 6 | 15 | 55:55 | 36 |
| 14. კიოლნი | 31 | 10 | 5 | 16 | 41:61 | 35 |
| 15. აინტრახტი | 31 | 9 | 7 | 15 | 30:41 | 34 |
| 16. ვოლფსბურგი | 31 | 7 | 11 | 13 | 38:45 | 32 |
| 17. ბორუსია (მ) | 31 | 8 | 5 | 18 | 44:64 | 29 |
| 18. ზანკტ პაული | 31 | 8 | 5 | 18 | 33:56 | 29 |

**ბომბარდირები:** 23 - გომესი (ბაიერნი); 20 - სისე (ფრაიბურგი); 16 - გეკასი (აინტრახტი); 14 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი).

### II ბუნდესლიგა

XXXI ტური

**პადერბორნი-ბოხუმი** 0:0

**ოსნაბრიუკი-ფრანკფურტი** 1:1

**გოლები:** 0:1 შლიკე (5), 1:1 ტირალა (38-პენ)

**აუე-კოტბუსი** 1:2

**გოლები:** 0:1 ადლუნგი (25), 0:2 პეტერსენი (95), 1:2 პაულუსი (97)

**მიუნხენ 1860-ფიურტი** 3:0

**გოლები:** 1:0 შტალი (26), 2:0 ლაუთი (32-პენ), 3:0 ლაუთი (81)

**ობერჰაუზენი-კარლსრუე** 2:1

**გოლები:** 0:1 ხრიზანტუსი (6), 1:1 ტერანოვა (29), 2:1 ტერანოვა (65)

**აუგსბურგი-ალემანია** 1:2

**გოლები:** 0:1 რაჯაბალი-ფარდი (13), 0:2 კრატცი (24), 1:2 ს. ჰაინი (40-პენ)

**ფორტუნა-არმინია** 2:0

**გოლები:** 1:0 რიოსლერი (14), 2:0 ლამბერტცი (69)

**უნიონი-ინგოლშტადტი** 1:1

**გოლები:** 0:1 კაიუბი (61), 1:1 ბენიამინა (67)

**დუისბურგი-ჰერტა** 0:1

**გოლი:** 0:1 რამოსი (27)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 31 | 21 | 5 | 5 | 64:25 | 68 |
| 2. აუგსბურგი | 31 | 18 | 7 | 6 | 54:23 | 61 |
| 3. ბოხუმი | 31 | 17 | 5 | 9 | 40:33 | 56 |
| 4. ფიურტი | 31 | 15 | 9 | 7 | 41:25 | 54 |
| 5. აუე | 31 | 15 | 7 | 9 | 38:35 | 52 |
| 6. კოტბუსი | 31 | 15 | 6 | 10 | 59:46 | 51 |
| 7. ფორტუნა | 31 | 15 | 3 | 13 | 43:35 | 48 |
| 8. მიუნხენ 1860 | 31 | 13 | 9 | 9 | 45:31 | 46 |
| 9. დუისბურგი | 31 | 13 | 7 | 11 | 45:34 | 46 |
| 10. ალემანია | 31 | 12 | 8 | 11 | 52:56 | 44 |
| 11. უნიონი | 31 | 10 | 9 | 12 | 33:37 | 39 |
| 12. ფრანკფურტი | 31 | 11 | 5 | 15 | 41:46 | 38 |
| 13. ინგოლშტადტი | 31 | 9 | 8 | 14 | 39:44 | 35 |
| 14. პადერბორნი | 31 | 8 | 9 | 14 | 27:42 | 33 |
| 15. კარლსრუე | 31 | 7 | 8 | 16 | 40:66 | 29 |
| 16. ოსნაბრიუკი | 31 | 7 | 7 | 17 | 38:58 | 28 |
| 17. ობერჰაუზენი | 31 | 7 | 7 | 17 | 28:54 | 28 |
| 18. არმინია | 31 | 3 | 7 | 21 | 25:62 | 13 |

** მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა*

**ბომბარდირები:** 24 - პეტერსენი (კოტბუსი); 17 - აუერი (ალემანია); 16 - ლაუთი (მიუნხენ 1860).

### თურქეთი

#### სუპერლიგა. XXX ტური

**ესქიშეჰირი-ტრაბზონი** 0:0

**ქარაბიუქი-სივასი** 2:1

**გოლები:** 1:0 ემენიკე (34), 2:0 ჰიქმეთი (60), 2:1 ენერამო (64)

**ბურსა-მანისა** 2:1

**გოლები:** 1:0 ს. ილდირიმი (3), 2:0 ო. ერდოღანი (9), 2:1 გიუვენი (21)

**გალათასარაი-ქაისერი** 1:1

**გოლები:** 1:0 ზანი (2), დურაქი (20)

**გენჩლერი-კასიმფაშა** 1:1

**გოლები:** 0:1 ჩოლაქი (24), 1:1 დელიბალთა (74)

**გაზიანთეფი-ანთალია** 2:1

**გოლები:** 0:1 ოზერი (46), 1:1 თოსუნი (60), 2:1 თოსუნი (76)

**ბუკა-ფენერბაჰჩე** 3:5

**გოლები:** 1:0 აიდინი (15), 1:1 ემრე (17), 2:1 ოზგენი (38), 3:1 ოზგენი (54), 3:2 ალექსი (59-პენ), 3:3 ალექსი (62), 3:4 გუისა (71), 3:5 სანტოსი (90)

**კონია-ბეშიქთაში** 1:1

**გოლები:** 1:0 რობაკი (31), 1:1 ქვარეზმა (76)

**გაძევება:** უისალი (80. ბეშიქთაში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 30 | 22 | 4 | 4 | 71:31 | 70 |
| 2. ტრაბზონი | 30 | 21 | 7 | 2 | 57:21 | 70 |
| 3. ბურსა | 30 | 15 | 10 | 5 | 46:25 | 55 |
| 4. გაზიანთეფი | 30 | 15 | 7 | 8 | 41:29 | 52 |
| 5. ესქიშეჰირი | 30 | 11 | 11 | 8 | 34:32 | 44 |
| 6. ქაისერი | 30 | 12 | 8 | 10 | 39:38 | 44 |
| 7. ბეშიქთაში | 30 | 12 | 8 | 10 | 45:35 | 44 |
| 8. ბუიუქშეჰირი | 30 | 12 | 4 | 14 | 38:39 | 40 |
| 9. ქარაბიუქი | 30 | 11 | 7 | 12 | 44:47 | 40 |
| 10. ანკარაგიუჯუ | 30 | 10 | 9 | 11 | 49:52 | 39 |
| 11. ანთალია | 30 | 9 | 10 | 11 | 33:40 | 37 |
| 12. გალათასარაი | 30 | 11 | 4 | 15 | 33:41 | 37 |
| 13. გენჩლერი | 30 | 9 | 9 | 12 | 38:45 | 36 |
| 14. მანისა | 30 | 11 | 3 | 16 | 42:48 | 36 |
| 15. სივასი | 30 | 8 | 8 | 14 | 37:50 | 32 |
| 16. ბუკა | 30 | 6 | 6 | 18 | 28:53 | 24 |
| 17. კასიმფაშა | 30 | 5 | 7 | 18 | 28:59 | 22 |
| 18. კონია | 30 | 4 | 10 | 16 | 24:42 | 22 |

**ბომბარდირები:** 21 - ალექსი (ფენერბაჰჩე); 15 - ნიანგი (ფენერბაჰჩე), ბ. ილმაზი (ტრაბზონი).

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი

შალკე-მანჩესტერი: წინ…

# შალკე ლოგიკის წინააღმდეგ

## გელზენკირხენული მანევრი: თქვენ ზემოთა ხართ, ჩვენ ქვემოთ…

| 1/2 ფინალი. პირველი მატჩი | |
|---|---|
| შალკე (გერმანია) | მანჩესტერი (ინგლისი) |
| 26 აპრილი. გელზენკირხენი. ფელტინს არენა აუფ შალკე. 22:45 | |
| საავარაუდო შემადგენლობები | |
| **შალკე (4-2-2-2)**: ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი (ან მატიპი), მეტცელდერი, შარპეი - მატიპი (ან კლუგე), პაპადოპულოსი - ფარფანი, ხურადო (ან ბაუმიოჰანი) - რაული, ედუ. | **მანჩესტერი (4-2-2-2)**: ვან დერ სარი - რაფაელი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, გიგზი - პარკი, ვალენსია (ან ნანი) - რუნი, ერნანდესი. |
| **არბიტრი**: კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი) | |

### რანგნიკი: აუტსაიდერები ვართ! ეს სასიამოვნოა…

„ბრწყინვალე ფანტაზია გქონიათ! ამგვარი შედარება აზრადაც კი არ მომივიდოდა," - ასეთი პასუხი გასცა „შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** გუშინ ერთ-ერთ გერმანელ ჟურნალისტს კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია, „შალკეს" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა, 1969 წელს მთვარეზე ადამიანის პირველ ნაბიჯს შევადაროთ. თუმცა, „პროფესორმა რალფმა" იქვე დასძინა, სამშაბათს გასამართი მატჩი, თავისი მნიშვნელობით, ნაღდად უდიდესია ყველა იმ შეხვედრებს შორის, რაც მწვრთნელის რანგში გამომიცდიაო.

ორი აზრი არ არსებობს: „შალკემ" წელს უკვე ზღაპრულ წარმატებას მიაღწია - სამწუხაროდ, **ლევან ყენიას** გარეშე - მაგრამ „მადა ჭამაში მოდის" და გელზენკირხენელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მილანის „ინტერის" შემდეგ, ევროპის კიდევ ერთი სუპერგრანდი, „მანჩესტერ იუნაიტედიც" გაამწარონ.

რანგნიკთან ერთად, პრესკონფერენციას გელზენკირხენელთა მთავარი იმედი, **რაულიც** ესწრებოდა. *„ლოგიკა „მანჩესტერ იუნაიტედის" მხარესაა, მაგრამ ჩვენ თავს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის ამდუელს ალოგიკური დასასრული ჰქონდეს,"* - თქვა ვეტერანმა ესპანელმა გოლეადორმა. რაული ფინალზე ოცნებობს, კონკრეტულად, ისეთ ფინალზე, რომელშიც „თავის" „რეალს" დაუპირისპირდება - გუნდს, რომლის ღირსებას 18 წლის მანძილზე იცავდა. ჟურნალისტებს ოცნება რომ გაუმხილა, რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, მიხვდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „რეალის" წინააღმდეგ თამაში მასში ამბივალენტურ გრძნობებს გამოიწვევს და აზრი ასე დაასრულა: *„ჩვენ რომ ფინალში გავიდეთ, ეს დაუჯერებელი, წარმოუდგენელი წარმატება იქნება. თუ ეს შევძელით, მართლა მინდა, რომ ფინალში „რეალს" ვეთამაშოთ - მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის მძიმე იქნება. მაგრამ თუ დღეს ვინმე იმის გარანტიას მომცემს, რომ ფინალსაც მოვიგებთ, მაშინ ლონდონში მეტოქედ „ბარსელონას" ვისურვებდი."*

თუმცა, „რეალამდე" ან „ბარსელონამდე" „მანჩესტერია" და გელზენკირხენელები **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდს საუკეთესო ეპითეტებით ამკობენ. *„ეს არის გუნდი, რომელიც 20 წელია, მუდმივად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს და თითქმის ყოველთვის მეოთხედფინალში გადის ხოლმე. „იუნაიტედი" ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი სუპერგრანდია, რომელსაც ინდივიდუალურად უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. ამასთან, ფერგიუსონის სამწყსო გუნდური სულისკვეთებითაც გამოირჩევა,* - ეს „შალკეს" მცველის, **კრისტოფ მეტცელდერის** სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, - *რუნი, გიგზი და სხვები ფავორიტები არიან. სამშაბათს, მთელი საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღება გელზენკირხენისკენ იქნება მომართული. ჩვენ ეს ნამდვილად დავიმსახურეთ და ახლა, „იუნაიტედთან" ორ დუელში, ჩვენი მიზანი ამ ზღაპრული გზის გაგრძელებაა."*

„მანჩესტერის" ფავორიტობას, რა თქმა უნდა, რანგნიკიც აღიარებს, მაგრამ არც „პროფესორი" მალავს, რომ ლონდონში გასამართ ფინალზე სერიოზულად ფიქრობს. *„ჩვენ ვიცით, რომ „მანჩესტერთან" აუტსაიდერები ვართ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ასეთი როლი ძალიან მომწონს. „ინტერთანაც" აუტსაიდერები ვიყავით… ჩვენი მიზანი ისაა, რომ ასეთ სიტუაციაში მაქსიმუმი მივიღოთ. რაკი ნახევარფინალში გავედით, უფლება არ გვაქვს, რომ ფინალზე არ ვიფიქროთ. რა თქმა უნდა, გვინდა ლონდონში გამგზავრება!"* - აცხადებს რანგნიკი.

„პროფესორ რალფს" მხოლოდ ერთი სერიოზული საკადრო პრობლემა აქვს: ცენტრალური მცველის, **ბენედიქტ ჰიოვედესის** თამაში გუშინ საღამომდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. რანგნიკმა თქვა, შეძლებს თუ არა ბენედიქტი მოედანზე გასვლას, ეს უშუალოდ თამაშის დღეს გადაწყდებაო. ჰიოვედესი „შალკეს" ძირითადი შემადგენლობის წევრი, მეტცელდერის მეწყვილე და გელზენკირხენული გუნდის დაცვის ბურჯია, რის გამოც, მისი არყოფნა „ხუმარებისთვის" სერიოზული დანაკლისი იქნება. რანგნიკი დასძენს, რაც უნდა იყოს, რისკზე არ წავალთ, რადგან წინ საპასუხო მატჩია და შესაძლოა, ჰიოვედესი „ოლდ ტრეფორდზე" უფრო დაგვჭირდესო.

თუ ჰიოვედესი ვერ ითამაშებს, დაცვის ცენტრში მას სავარაუდოდ საყრდენი ნახევარმცველი **ჯოელ მატიპი** შეცვლის, ხოლო მის ადგილს კი, ნახევარდაცვის ცენტრში, სავარაუდოდ **პეერ კლუგე** დაიკავებს. დაცვაში თამაში კიდევ ერთ საყრდენს, **კირიაკოს პაპადოპულოსსაც** შეუძლია.





სერ ალექს ფერგიუსონი შალკეს სერიოზულად უყურებს

### ო'ში გამოჯანმრთელდა, ბერბატოვი ვერ ითამაშებს

რაც შეეხება „მანჩესტერს": ფერგიუსონს დღეს ბულგარელ თავდამსხმელ **დიმიტარ ბერბატოვზე** უარის თქმა მოუწევს, თუმცა ფერგი ამ უკანასკნელს ჩემპიონთა ლიგაში ისედაც იშვიათად ათამაშებს ხოლმე. ბერბატოვი „იუნაიტედისთვის" უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურა რომ არის, ეს პირველ რიგში პრემიერლიგაში ჩანს, სადაც ბულგარელი 21 გოლით სეზონის საუკეთესო ბომბარდირია. ბერბატოვი „მანჩესტერს" გელზენკირხენში ვერ გაჰყვა. მასთან ერთად, „მანჩესტერს" ვერც **დარენ ფლეტჩერი, ოუენ ჰარგრივზი** და თავდამსხმელი **ბებე** დაეხმარებიან, თუმცა მათ დიდი ხანია, ტრავმები აწუხებთ.

სამაგიეროდ, ფერგიუსონს **ჯონ ო'ში** გამოუჯანმრთელდა. ამ უკანასკნელის თამაში „ევერტონთან" მატჩის დროს მიღებული ტრავმის გამო იყო საეჭვო, მაგრამ ფეხზე დადგომა მოასწრო და თანაგუნდელებს გელზენკირხენში გაჰყვა. 29 წლის ო'ში, რომელიც „მანჩესტერის" ღირსებას 16 წლის ასაკიდან იცავს, „იუნაიტედს", რა თქმა უნდა, ფავორიტად მიიჩნევს, მაგრამ ამავდროულად, თანაგუნდელებს აფრთხილებს, „შალკე" ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არისო. *„გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულ „ინტერს" ამდენ გოლს გაუტანს, ნებისმიერისთვის საშიში მეტოქეა. „შალკე" ნახევარფინალში შემთხვევით არ გასულა. სწორედ ამიტომ, დიდი სიფრთხილე და მაქსიმალური კონცენტრაცია გვმართებს,* - ამბობს ო'ში, - *გელზენკირხენულ პუბლიკაზე ლეგენდები დადის, „ფელტინს არენაზე" წარმატების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება. მთელი ჩვენი გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ".*

დღეს ისტორიის შექმნა მანჩესტერელთა ვეტერან მეკარესაც შეუძლია. თუ „შალკე" გოლის გატანას ვერ მოახერხებს, **ედვინ ვან დერ სარი** რეკორდსმენი გახდება - ჰოლანდიელი პირველი მეკარე იქნება, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის 50 შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა.

ანალიზი

რალფ რანგნიკი მანჩესტერის წინააღმდეგ

# პროფესორის განაცხადი

## ერთი ნაბიჯი უმაღლეს საფეხურამდე

**„შალკეს" მწვრთნელ რალფ რანგნიკს ინგლისი, ინგლისელები და ინგლისური ფეხბურთი 32 წლის წინათ სიგიჟემდე შეუყვარდა და გრძნობები დღემდე არ განელებია. თუ „შალკე" „მანჩესტერთან" წარმატებას მიაღწევს, „პროფესორი" პრემიერლიგის გუნდებს მისდამი ინტერესს გაუღვივებს და იქნებ მომავალში დიდი ხნის ოცნებაც აისრულოს და შეძლოს ის, რაც დღემდე ვერც ერთმა გერმანელმა სპეციალისტმა ვერ მოახერხა.**



თუ შალკე მანჩესტერს გააგდებს, რალფ რანგნიკს მთელი საფეხბურთო სამყარო დააფასებს

32 წლის წინ, ახალგაზრდა რალფი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ინგლისში მწვრთნელის რანგში ნავიდოდა. მაშინ, რალფი კვირაში ორჯერ ჯდებოდა მატარებელში და ბრაიტონიდან ლონდონში მიემგზავრებოდა, რათა „არსენალის" ან „ტოტენჰემის" შეხვედრას დასწრებოდა. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ულამაზესი პერიოდი იყოო, იხსენებს რანგნიკი. ზუსტად 32 წელი გავიდა მას მერე, რაც 1979 წელს, რალფი შტუტგარტიდან სამხრეთ ინგლისში სტუდენტის რანგში გადაბარგდა და სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლა დაიწყო. ისწავლა ინგლისური ენაც.

მას მერე, ინგლისი რანგნიკისთვის უსაყვარლესი ქვეყანაა. შესაბამისად, „მანჩესტერ იუნაიტედთან" დუელები მისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება. „შალკეს" მწვრთნელი ამბობს, **სერ ალექს ფერგიუსონს** არ ვიცნობ და ძალიან მიხარია, რომ გავიცნობო. მისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრა იქნება, რადგან: *„ინგლისში სწავლის დროს, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სტადიონი მოვიარე, ყველა გრანდის მატჩს დავესწარი, ლონდონში კი ყოველ შაბათ-კვირას ჩავდიოდი. ერთადერთი სტადიონი, სადაც ჯერ არ ვყოფილვარ, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდია",* - ამბობს „პროფესორი რალფი".

რანგნიკი იმასაც აღიარებს, რომ ახლა სენტიმენტების დრო არ არის, რადგან „შალკეს" თავისი არსებობის ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის და რალფი არ ამბობს, თუმცა აშკარად გულისხმობს იმასაც, რომ თუ მისი გუნდი სენსაციას მოახდენს და „იუნაიტედს" გააგდებს, რანგნიკს ინგლისში ყველა გაიცნობს და დააფასებს. ცხადია, არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ ევროპაში სახელი გაუვარდება, მაგრამ რალფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ მისი პერსონით პრემიერლიგული კლუბები დაინტერესდებიან.

*„რალფ რანგნიკს ინგლისში არავინ იცნობს. ცხადია, ვილაც-ვილაცებმა იციან, რომ გერმანიაში ძალიან კარგი სახელი აქვს და რომ მას პროფესორსაც კი ეძახიან, მაგრამ ეს მხოლოდ ძალიან ცოტაზე ითქმის. ზოგადად კი, რანგნიკი ინგლისში ყველასათვის უცნობი პიროვნებაა. „მანჩესტერ იუნაიტედთან" წარმატება კი მას ინგლისში ცნობილ პიროვნებად აქცევს,"* - ამბობს გაზეთ „ლონდონ თაიმსის" საფეხბურთო ექსპერტი **ტომ დარტი**.

მართლაც: ევროპაში ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა მწვრთნელები იდეალურად მუშაობენ, თავიანთ ქვეყნებში წარმატებებსაც აღწევენ, მაგრამ საფეხბურთო ევროპისთვის ცნობილები მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან, თუ ჩემპიონთა ლიგაში შეძლებენ წარმატების მიღწევას. მაგალითად: **ექტორ კუპერი**, რომელმაც „ვალენსია" ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რის შემდეგაც მილანის „ინტერის" მთავარი მწვრთნელი გახდა; **დიდიე დეშამი**, რომელმაც 2004 წელს „მონაკო" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, 2006 წელს კი „იუვენტუსის" დამრიგებლად დანიშნეს და იგივე **ჟოზე მოურინიო**, რომელმაც „პორტუს" ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, რის შემდეგაც, ჯერ „ჩელსის" ავარჯიშებდა, მერე „ინტერს", ახლა კი „რეალის" მწვრთნელია.

დიდი ხანია, გერმანულ კლუბს ევროპაში სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია და ალბათ სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ესპანეთში, ინგლისსა თუ იტალიაში გერმანელ მწვრთნელებზე დიდი მოთხოვნა არ არის. არადა, 90-იან წლებში ასე არ იყო: **იუპ ჰაინკესი, ბერნდ კრაუსი** და **ევალდ ლინენი** ესპანეთში მოღვაწეობდნენ და კარგი სახელიც ჰქონდათ. 2002 წელს **კლაუს ტოპმიოლერმა** „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, მაგრამ სუპერგრანდებისგან შეთავაზებები არ მიუღია. რანგნიკის შემთხვევაში კი, მოვლენები, შესაძლოა, სხვანაირად განვითარდეს, რადგან ინგლისში უცხოელ მწვრთნელებს უფრო და უფრო მეტად აფასებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობი ბუნდესლიგას დაუბრუნდა



გურამ კაშიას (მარცხნივ) თავური და გოლი



ჯაბა კანკავა (მარჯვენა) ყოფილი გუნდის წინააღმდეგ



კრასნოდარმა ალექსანდრე ამისულაშვილისადმი მხარდაჭერა ასე გამოხატა

**ერთწლიანი** განშორების შემდეგ ლევან კობიაშვილი ისევ ბუნდესლიგაშია - ბერლინის „ჰერტამ" გუშინ ოფიციალურად გაიფორმა საგზური, მას შემდეგ, რაც ლიდერმა სტუმრად 1:0 მოუგო „დუისბურგს". ამ მატჩში ქართველმა ვეტერანმა 90 წუთი ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე. „ჰერტას" 68 ქულა აქვს და მესამეადგილოსან „ბოხუმს" 12 ქულით უსწრებს, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 3 ტური დარჩა. ლევანს ბუნდესლიგაში 305 მატჩი აქვს ნათამაშები და 29 გოლი გატანილი. ეს ეპოქა ისევ გაგრძელდა...

პარასკევს ქართველ ლეგიონერებს მაგალითი რატი ალექსიძემ მისცა - უნგრეთის ჩემპიონატში დუბლი შეასრულა - შაბათ-კვირას მას ხუთმა ჩვენებურმა მიბაძა, ოღონდ, გურამ კაშიამ ჰოლანდიაში, დავით დევდარიანმა დანიაში, შოთა ჯიქიამ სომხეთში, გიორგი ადამიამ აზერბაიჯანში და დავით გამეზარდაშვილმა მოლდოვაში თითო გოლი გაიტანეს.

## როცა აწყობთ - ვოლგიძე

„ვოლგიძე" - ასე უწოდებენ რუსები ირონიულად ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას", რომელსაც **ომარ თეთრაძე** წვრთნის და სადაც 6 ქართველი ლეგიონერი თამაშობს. როგორც ფეხი დაუცდება „ვოლგას", ყველას პირზე ამ გუნდის „მეტისმეტი" ქართველობა აკერია. ასე იყო ახლაც რუსულ ფორუმებზე, მით უფრო, რომ თეთრაძემ ჩემპიონატში პირველად ექვსივე ქართველი ათამაშა, გუნდმა კი შინ ფიზიკურად ძლიერ „ყუბანთან" 0:1 წააგო. თეთრაძემ კი მატჩის შემდეგ თქვა, თანაბარ თამაშში მეტოქემ ჩვენი შეცდომა უკეთ გამოიყენა და მოიგო. მატჩის მიწურულს გოლის გატანის შანსი **მათე ვანაძეს** ჰქონდა. **ხოჯავამ, მარცვალაძემ** და **გოგუამ** „ჩემპიონატისგან" 5,5 ბალი დაიმსახურეს, ვანაძემ, **სალუქვაძემ** და **გრიგალავამ** - 5.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა რამხელა, ძალაა **ალექსანდრე ამისულაშვილი** - მას შემდეგ, რაც მან თურქული „ქაისერისპორის" რიგები დატოვა, **შოთა არველაძის** გუნდის საქმეები უკან წავიდა. რაც „სპარტაკთან" სათასო მატჩში ქართველი დაშავდა, „კრასნოდარმა" იმ შეხვედრაში 2 გოლი გაუშვა, „ლოკომოტივთან" კი - 4 (მანამდე სეზონში მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდათ გაშვებული). ჩვენებურის საქმე კი ცუდადაა - „კრასნოდარის" თავკაცმა **სლავოლიუბ მუსლინმა** თქვა, რომ ამისულაშვილს ოპერაცია ყველა ვარიანტში დასჭირდება. სხვათა შორის, ფეხბურთელები მოედანზე მაისურებზე ჩვენებურის მხარდამჭერი წარწერით გავიდნენ, რომლებზეც ეწერა: „*ამი, ჩვენ შენთან ვართ*". **დავით სირაძემ** პირველად ითამაშა ამ სეზონში ნალჩიკის „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში, მას მოსკოვის „სპარტაკთან" შეხვედრაში ენდნენ. ჩვენებურის თამაში 5,5 ბალით შეაფასეს, ნალჩიკელებმა კი მოსკოველებთან ვერაფერი გააწყვეს - 0:1. **ჯანო ანანიძე** კვლავ არ არის მზად სათამაშოდ. გუშინ მოსკოვში **ნუკრი რევიშვილს** ბოლო წუთებზე გაუტანეს და „დინამომ" ამით ქულა იხსნა „ანჟისთან" მატჩში - 2:2. თუმცა ნუკრის კარი თერთმეტმეტრიანით აიღეს, მანამდე კი (78-ე წუთზე) ქართველმა 100%-იანი გოლისგან იხსნა „ანჟი".

## გურულის დაბრუნება

**მათე ლვინიანიძის** „სევასტოპოლმა" ძალზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება მოუგო **თორნიკე ოქრიაშვილის** „ილიჩივეცს" და გასავარდნ ზონაში გადაისროლა. ჩვენებურებს დიდად არ გამოუჩენიათ თავი, მათემ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო თორნიკე 58-ე წუთზე გამოცვალეს. „კარპატის" ტრავმამოშუშებული **სანდრო გურული** დაუბრუნდა, რომელმაც ბოლო 10 წუთი ითამაშა „ტავრიასთან" 1:0 დასრულებულ მატჩში, სტუმართა ფორვარდ **ვასილ გიგიაძეს** ამჯერად სათადარიგოობა აკმარეს. ამ მოგებით „კარპატი" ევროპის ლიგის საგზურის მომტან მე-5 ადგილზე დამკვიდრდა. გვაინტერესებდა, როგორ ითამაშებდა **ჯაბა კანკავა** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, მაგრამ „კრივბასის" მწვრთნელმა ის მხოლოდ 0:3-ზე გამოიყვანა „დნიპროსთან" მატჩში, როცა ყველაფერი გარკვეული იყო. თამაშის შანსი არ მისცემია **უჩა ლობჟანიძეს**. „ილიჩივეცის" არ იყოს, „კრივბასსაც" გასავარდნად აქვს საქმე. საინტერესო მატჩი ჰქონდა ქვედა ლიგის ლიდერ „ოლექსანდრიას", სადაც **დავით თარგამაძე** თამაშობს. ამ გუნდმა სტუმრად 2:0 დაამარცხა მდევარი „ჩერნომორეცი" და ახლა ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე 6 ქულით ლიდერობს. „ოლექსანდრიას" სულ ცოტა დარჩა პრემიერლიგის საგზურის გაფორმებამდე.

## სანაია ზემოთ, იაშვილი ქვემოთ?

ძალზე დასანანი მარცხი იწვნია **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგმა". არადა, ქართველის გუნდი 2:0-ს იგებდა, მაგრამ შემდეგ 2:3 დათმო. მიუხედავად ამისა, „რედინგი" 73 ქულით მეხუთეზეა, რაც საპლეიოფო ადგილია.

სერია A-ში **კახა კალაძის** „ჯენოამ" 4:2 მოუგო „ლეჩეს", ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და იტალიური მედიის დიდი ნაწილისგან საკმაოდ კარგი შეფასება - 6,5 ბალი დაიმსახურა („დატასპორტი", „კალჩომერკატო", ანსა), „მეცოჯორნომ" 7-იანიც კი გაიმეტა ქართველისთვის. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" ძალზე მნიშვნელოვანი თამაში წააგო სტუმრად „ობერჰაუზენთან" 1:2. „შპორტალმა" ქართველი კაპიტნის გარჯა 4-იანით შეაფასა. „კარლსრუეს" სულ რალაც ქულა აშორებს გასავარდნ ზონას. **ამირან სანაია** გაისად ლიგა 2-ში ითამაშებს, მისმა „ბასტიამ" ამის უფლება ჩემპიონატის დასრულებამდე ნაადრევად მოიპოვა, თუმცა ბოლო ტურებია, ქართველი არ ჩანს. დანიის ვიასატ დივიზიონში სეზონში მე-9 გოლი გაიტანა **დავით დევდარიანმა**, რომლის „ორჰუსმა" სტუმრად აბ-ს 3:1 მოუგო. ახლახან გამოჯანმრთელებული ქართველი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და 6 წუთში სოლორეიდით გაიტანა. ის, რომ „ორჰუსი" გაისად უმაღლესში ითამაშებს, ეჭვს არ იწვევს, გუნდი მეორეადგილოსან „კიოგეს" 10 ქულით უსწრებს.

ჰოლანდიურ ერედივიზიეში ზოგადად შემტევი მცველები თამაშობენ, **გურამ კაშიამაც** ადვილად აუღო ალღო ჰოლანდიურ ფეხბურთს და ამ უქმეებზე მე-3 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. ამის გარდა „უტრეხტთან" საგარეო მატჩში კაშიამ საგოლე პასიც მიითვალა, მაგრამ, რად გინდა - მისმა გუნდმა 2:4 წააგო, დაცვაში კი ჩვენებურის თამაში უკეთესის სურვილს ტოვებს. „ვიტესი" 34 ქულით მე-14 ადგილზეა.

## ინტეროლოგი ადამია

სომხეთში „ულისს" სტუმრად „მიკაზე" **შოთა ჯიქიას** გოლმა გაამარჯვებინა - 3:2, 51-ე წუთზე ქართველმა ფორვარდმა 3:0 დააწინაურა სტუმრები. „ულისი" 16 ქულით სომხეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. აზერბაიჯანში ქართველთა „ინტერი" ისევ ქართველმა დაამარცხა - 76-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი „ყარაბახის" ფორვარდმა **გიორგი ადამიამ** პენალტით გაიტანა **გიორგი ლომაიას** კარში. ადამიამ ჩემპიონატში მე-13 გოლი მიითვალა. სხვათა შორის, გიორგიმ ამ გუნდების წინა დაპირისპირებაშიც (მარტში) გაიტანა. თამაშის შემდეგ „ინტერის" თავკაცმა **კახა ცხადაძემ** თქვა, რომ 5 მცველით იმიტომ ითამაშა, რომ ფრეზეც ყაბულს იყო. **დავით გამეზარდაშვილმა** „აკადემიას" გაუტანა და „დაჩიას" პირველი ადგილი შეუნარჩუნა (2:0).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| ფეხბურთელი | ასაკი | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია. სერია A | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ლეჩე | 4:2 (მ) | 90 წთ | 22 თ, 1 გ. |
| სერია B | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ლივორნო | 0:0 (მ) | 65 წთ (შეცვალეს) | 17 თ, 2 გ |
| ინგლისი. ჩემპიონშიპი | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | რედინგი | შეფ. იუნ. | 2:3 (მ) | 90 წთ | 20 თ |
| გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 33 | ჰერტა | დუისბურგი | 1:0 (გ) | 90 წთ | 28 თ, 2 გ |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | ობერჰაუზენი | 1:2 (გ) | 90 წთ, გააფრთხ. | 27 თ, 7 გ |
| საფრანგეთი. ლიგა II | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | მეცი | 0:0 (მ) | სათადარიგო | 0 თ |
| ნასიონალი | | | | | | |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ფრეჟუსი | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 8 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ყუბანი | 0:1 (მ) | 90 წთ. | 6 თ |
| გოგიტა გოგუა | 27 | ვოლგა | ყუბანი | 0:1 (მ) | 83 წთ (შეცვალეს) | 5 თ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ყუბანი | 0:1 (მ) | 55 წთ (შეცვალეს) | 5 თ, 2 გ |
| ოთარ მარცვალაძე | 26 | ვოლგა | ყუბანი | 0:1 (მ) | 35 წთ (შეცვლაზე) | 6 თ, 1 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ყუბანი | 0:1 (მ) | 38 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ყუბანი | 0:1 (მ) | 90 წთ. | 6 თ |
| ალეკო ამისულაშვილი | 28 | კრასნოდარი | ლოკომოტივი | 1:4 (მ) | ტრავმა | 5 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | სპარტაკი | 0:1 (გ) | 90 წთ | 4 თ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | დინამო | 2:2 (გ) | 90 წთ | 4 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 22 | ანჟი | დინამო | 2:2 (გ) | დუბლები | 0 |
| ლევან გვაზავა | 30 | ტერეკი | როსტოვი | 0:1 (გ)) | 90 წთ | 4 თ |
| ჯანო ანანიძე | 18 | სპარტაკი | ნალჩიკი | 1:0 (მ) | ტრავმა | 1 თ |
| უკრაინა. პრემიერლიგა | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | დნიპრო | კრივბასი | 3:0 (გ) | სათადარიგო | 16 თ |
| სანდრო კობახიძე | 24 | არსენალი | დინამო | 0:3 (მ) | არ უთამაშია | 1 თ |
| ვასილ გიგიაძე | 33 | ტავრია | კარპატი | 0:1 (გ) | სათადარიგო | 19 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | მეტალურგი დ. | 0:2 (მ) | 90 წთ | 7 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | სევასტოპოლი | 0:1 (გ) | 58 წთ (შეცვალეს) | 6 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | დნიპრო | 0:3 (მ) | 45 წთ (შეცვლაზე) | 5 თ |
| მათსე ლვინიანიძე | 24 | სევასტოპ. | ილიჩივეცი | 1:0 (მ) | 90 წთ | 6 თ |
| სანდრო გურული | 25 | კარპატი | ტავრია | 1:0 (მ) | 10 წთ (შეცვლაზე) | 14 თ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე | | | | | | |
| გურამ კაშია | 23 | ვიტესი | უტრეხტი | 2:4 (გ) | 90 წთ, 1 გოლი, 1 პასი | 26 თ, 3 გ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| დავით კვირკველია | 30 | პანიონიოსი | ტური არ ყოფილა | | | 7 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 31 | ერგოტელისი | ტური არ ყოფილა | | | 24 თ, 1 გ |
| დანია. ვიასატდივიზიონი | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | აბ | 3:1 (გ) | 27 წთ (შეცვლაზე), 1 | 20 თ, 9 გ |
| რუმინეთი. პროლიგა | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | გაზ მეთანი | უნირეა | 2:0 (მ) | 90 წთ | 25 თ, 1 გ |
| ისრაელი. ლიგათ ჰაალი | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 24 | მაქაბი ჰ. | ნეთანია | 1:2 (მ) | 36 წთ (შეცვლაზე) | 26 თ, 11 გ |
| კვიპროსი. I დივიზიონი | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ერმისი | ტური არ ყოფილა | | | 26 თ, 4 გ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | ტური არ ყოფილა | | | 25 თ, 2 გ |
| ბელარუსი. პრემიერლიგა | | | | | | |
| ზაზა ჭელიძე | 24 | ბრესტი | ნაფტანი | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 3 თ, 1 გ |
| უჩა გოგოლაძე | 21 | ბრესტი | ნაფტანი | 1:1 (გ) | სათადარიგო | 1 |
| პოლონეთი. ეკსტრაკლასა | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | პოლონია | 3:1 (მ) | 70 წთ (შეცვალეს) | 8 თ, 2 გ |
| სერბეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | ოფკ | 0:1 (გ) | 45 წთ (შეცვალეს) | 20 თ, 7 გ |
| ბოსნია. პრემიერლიგა | | | | | | |
| ლევან კუტალია | 21 | ზრინსკი | რუდარი | 0:2 (გ) | 90 წთ | 7 თ, 2 გ |
| უნგრეთი. შოპრონილიგა | | | | | | |
| რატი ალექსიძე | 32 | ეტო | ჰალადაში | 2:2 (მ) | 82 (შეცვალეს), 2 გოლი | 20 თ, 7 გ |
| გიორგი განუგრავა | 23 | ეტო | ჰალადაში | 2:2 (მ) | სათადარიგო | 11 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ეტო | ჰალადაში | 2:2 (მ) | არ უთამაშია | 2 თ |
| თემურ შარაშენიძე | 19 | ეტო | ჰალადაში | 2:2 (მ) | არ უთამაშია | 6 თ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### საფრანგეთი. ლიგა 1. XXXII ტური



კევინ გამეიროს ლილის კარში გადამწყვეტი გოლი გააქვს

# ოცნება უფსკრულის პირას

**ხვალ:**

| | |
|---|---|
| მარსელი-ნიცა | 21:00 |
| ლიონი-მონპელიე | 22:40 |

32-ე ტური არასრულად რომ ჩატარდებოდა, ეს შაბათის ნომერში წინასიტყვაობაშიც გამცნეთ. ამის მიზეზი "მარსელისა" და "მონპელიეს" მატჩი გამოდგა, რომელიც ლიგის თასის ფინალში შედგა.

"ოსერმა" "ლანსს" უმასპინძლა. აუტსაიდერთა დაპირისპირებაში გამარჯვებული არ გამოვლენილა. აღნიშნულმა შედეგმა რასაკვირველია, არც ერთი მხარე არ დააკმაყოფილა. არადა, მასპინძლებმა მშვენივრად დაიწყეს თამაში და უკვე მე-6 წუთზე გახსნეს ანგარიში. საგოლე პასი **დუდკამ** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ჩაიწერა თავის ანგარიშზე, რომელსაც **ბოლიმ** თავური შეაგება. **ლასლო ბოლონის** შეგირდებმა საპასუხო ბურთი მხოლოდ მეორე ტაიმში გაიტანეს – **ბედიმოს** ფლანგურ გარღვევას **რუდემ** თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ლოგიკური წერტილი დაუსვა. "ოსერმა" მატჩის მიწურულსღა გამოიღო ხელი. თუმცა **ბირსასა** (საჯარიმოდან) და **სამარიტანოს** დარტყმებს **ვედრან რუნიემ** ზუსტი თამაშით უპასუხა. გამარჯვება "ლანსსაც" შეეძლო, მაგრამ **ერმაშის** საჯარიმო ხარიხას მოხვდა. ბურგუნდიელებს ელიტაში დარჩენის შანსი პრაქტიკულად აღარ შერჩათ.

მცირე მოულოდნელობა დაფიქსირდა ნანსიშიც, რადგან ლიგა 1-ის ყველაზე სუსტმა მონაწილე "არლმა" მას ქულა აართვა. თანაც ქვედა ლიგაში უკვე დაქვეითებულმა გუნდმა მინდორზე მთელი 80 წუთი გაატარა რიცხობრივ უმცირესობაში. რეალური მომენტები გაატარეს ქარს **ვაირუამ, ფერემ** და **ბრიზონმა**.

"ბორდომ" "სენტ ეტიენს" უმასპინძლა და მოუგო. აღნიშნული გამარჯვებით **ჟან ტიგანას** გუნდი ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით მე-6 ადგილზე გადაბარგდა, რაც ამ გუნდს ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლის თეორიულ, მაგრამ მაინც გარკვეულ შანსს აძლევს. ჟირონდელებს აქამდე ზედიზედ ორ საშინაო შეხვედრაში გატანილი არ ჰქონდათ და ეს მავნე ტრადიცია უშუალო კონკურენტებთან დაპირისპირებაში დაარღვიეს. პირველი გოლი მე-15 წუთზე სტუმართა გოლკიპერისა და დაცვის "ურთიერთშეთანხმებული შეცდომის" წყალობით გავიდა. **ენტონი მოდესტემ** საჯარიმოს კუთხიდან დაბალი ბურთი პირდაპირ კარში დაარტყა. **ჟერემი ჟანომ** კი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ მისი მიმართულებით მოძრავ **პლაშილს** გაარტყა ფეხებში. ჩეხ საყრდენ ნახევარმცველს რამდენიმე მეტრიდან გატანა აღარ გასჭირვებია. "ბორდოს" მალევე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ **სავიჩის** თავური არაზუსტი გამოდგა. ჟანო მოდესტეს კიდევ ერთი საოცარი ტრაექტორიის დარტყმულს გაუმკლავდა, როცა ბურთი ზუსტად ხარიხის ქვეშიდან "მოხსნა" და კუთხურზე მოიგერია. რეალურზე რეალური მომენტი გააფუჭა **რივიერმა**, მას ხომ მხოლოდ ფეხის დახვედრებაღა რჩებოდა, მაგრამ... გულშემატკივარი უკვე მსაჯის საფინალო სასტვენს ელოდა, როდესაც დიაბატემ მეკარისკენ ზურგით მდგარმა ტექნიკურად დაამუშავა ბურთი და ჟანოსთან ერთი-ერთზე დარჩა. შედეგად 2:0.

ახლა კი 32-ე ტურის უმთავრეს დაპირისპირებას შევეხოთ: **რუდი გარსიას** "ლილმა", როგორც ჩანს, ვერ მოახერხა ზეწოლის გაძლება და სწორედ ფინიშის სწორს მოუკლო თამაშს. მოლოდინისამებრ ასპარეზობა თვალსასეირო გამოდგა. სიმართლე ითქვას, ამ საღამოს "ლორიანი" მეტოქეს ყველაფერში სჯობდა. **კრისტიან გურკუფის** გუნდი უფრო აქტიურობდა, ქმნიდა მეტ ხიფათს და ერთადერთი, რაც გამარჯვებამდე დააკლდა, იღბალი იყო. იღბალი კი ამ დღეს აშკარად **მიკაელ ლანდროს** მხარეს იყო, რომელიც თანაგუნდელთაგან აშკარად საუკეთესო იყო. პირველი ტაიმის დასრულებას 3 წუთი აკლდა, როცა გოლი მასპინძელთა კარში გავიდა. **მუსა სოვმა** გრძელი გადაცემით შორეულ ძელთან ჩასაფრებული **მატიო დებიუში** მონახა. ამ უკანასკნელმა ხელსაყრელი პოზიციიდან შეძლო თავით ბურთის კარში გადაგზავნა. "ლორიანმა" მეორე ტაიმი პირველის მსგავსი სცენარით დაიწყო. მასპინძელი უტევდა და მომენტებს აფუჭებდა. თუმცა განსხვავება 69-ე წუთზე ვნახეთ. **გამეირომ მორგან ამალფიტანოს** მაღალი პასი მისცა, მან თანაგუნდელს თავით ისეთ პოზიციაში მდგომს დაუბრუნა ბურთი, კევინს გასატანად დიდი ძალისხმევა აღარ დასჭირვებია. მატჩის შემდგომ "ლილის" დამრიგებელი უკვე შეფიქრიანებული იყო: *"გაორებული შეგრძნებები მაქვს. წესით, პირველი ტაიმი უნდა წაგვეგო, მაგრამ ლანდრო ყოველ ჯერზე გვშველოდა. ბოლო 15 წუთში კი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. საერთო ჯამში უმთავრესი პრობლემა ის იყო, რომ ბურთს ცუდად ვაკონტროლებდით და ზოგადად გუნდურ თამაშში მოვიკოჭლებდით".*

| ოსერი-ლანსი | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** ბოლი 6 (1:0), რუდე 49 (1:1)

| ბორდო-სტ. ეტიენი | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** პლაშილი 15 (1:0), დიაბატე 89 (2:0)
**ბორდო:** კარასო, სავიჩი, შალმე, მარანჟი, სანე, დიარა, ფერნანდო, ბენ ჰალფალა (შევალიე 75), ვენდელი (სიანი 87), პლაშილი, მოდესტე (დიაბატე 76)
**სტ. ეტიენი:** ჟანო, ბოკანეგრა, მარშალი, მონსორო, ებონდო, პაიე, ალონსო (სახო 59), მატუიდი, პერენი (ბატლე 59), აუბამეიანგი (სანოგო 70), რივიერი

| ბრესტი-პსჟ | 2:2 |
|---|---|

**გოლები:** ბოდმერი 20 (0:1), ტურე 37 (1:1), გრუჟი 45 (2:1), ოარო 86 (2:2)
**პსჟ:** კუპე (ედელი 34), ტიენე, სახო, არმანი, ჟალე, მაკელელე, კლემანი (ბაებეკი 63), ბოდმერი (ერდინგი 78), ჟიული, ნენე, ოარო

| კაენი-ტულუზი 1:1 | |
|---|---|

**გოლები:** ამუმა 29 (1:0), სისოკო 39 (1:1)

| მონაკო-რენი | 1:0 |
|---|---|

**რენი:** დუშე, დანზე, ბოიე, მანგანი, მვილა, ბუკარი (ლერუა 72), დალმა, ჟებური, ტეტეი, კემბო-ეკოკო (მანჟეკი 88), მონტანო
**გოლი:** ველქამი 73 (1:0)

| ვალანსიენი-სოშო | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** კადირი 10 (1:0), დიუკურტიუ 12 (1:1) საკ. კარში

| ლორიანი-ლილი | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** დებიუში 42 (0:1), გამეირო 69 (1:1)
**ლორიანი:** ოდარი – ბაკა, ლ. კონე, მანგა, მორელი – რომაო, მვუემბა, კოკელენი (ჟუფრე 86), ს. დიარა (ლე ლენი 65) – ამალფიტანო, გამეირო
**ლილი:** ლანდრო – ბერია, რამი, შეჯუ, ემერსონი (გეიე 46) – მავუბა, დებიუში, კაბაი, აზარი – ჟერვინიო (დე მელო 83), სოვი (ფრო 62)

| ნანსი-არლი | 0:0 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 32 | 16 | 12 | 4 | 54:31 | 60 |
| 2. მარსელი | 31 | 16 | 10 | 5 | 46:27 | 58 |
| 3. ლიონი | 31 | 14 | 11 | 6 | 52:29 | 53 |
| 4. პსჟ | 32 | 14 | 11 | 7 | 47:33 | 53 |
| 5. რენი | 32 | 14 | 9 | 9 | 33:26 | 51 |
| 6. ბორდო | 32 | 10 | 14 | 8 | 40:35 | 44 |
| 7. ლორიანი | 32 | 11 | 11 | 10 | 39:37 | 44 |
| 8. სტ. ეტიენი | 32 | 11 | 11 | 10 | 40:39 | 44 |
| 9. სოშო | 32 | 12 | 7 | 13 | 47:[illegible] | 43 |
| 10. მონპელიე | 31 | 11 | 10 | 10 | 27:33 | 43 |
| 11. ბრესტი | 32 | 10 | 10 | 12 | 34:37 | 40 |
| 12. ვალანსიენი | 32 | 8 | 15 | 9 | 37:34 | 39 |
| 13. ტულუზი | 32 | 11 | 6 | 15 | 32:35 | 39 |
| 14. ნიცა | 31 | 9 | 12 | 10 | 25:33 | 39 |
| 15. მონაკო | 32 | 8 | 14 | 10 | 32:32 | 38 |
| 16. ოსერი | 32 | 7 | 17 | 8 | 36:37 | 38 |
| 17. ნანსი | 32 | 10 | 8 | 14 | 32:44 | 38 |
| 18. კაენი | 32 | 9 | 9 | 14 | 36:47 | 36 |
| 19. ლანსი | 32 | 6 | 12 | 14 | 30:48 | 30 |
| 20. არლი | 32 | 1 | 11 | 20 | 16:58 | 14 |

**ბომბარდირები:** 21 - მუსა სოვი (ლილი), 18 - კევინ გამეირო (ლორიანი), 16 - იუსეფ ელ-არაბი (კაენი), 14-14 გრეგორი პუჟოლი (ვალანსიენი), ლისანდრო ლოპესი (ლიონი)

**შემდეგი ტური:**

**30 აპრილი:** ლანსი-ლორიანი; ლილი-არლი; რენი-ბორდო; სოშო-ნანსი; პსჟ-ვალანსიენი.
**1 მაისი:** მარსელი-ოსერი; მონპელიე-ბრესტი; ნიცა-კაენი; ტულუზი-ლიონი; სტ. ეტიენი-მონაკო

**ლევან ბიბილაშვილი**

### საფრანგეთის ლიგის თასი — ფინალი



დიდიე დეშამის მორიგი ტიტული

# დეშამის მოსავალი

| მარსელი-მონპელიე | 1:0 |
|---|---|

**მარსელი:** მანდანდა – ფანი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო, მბია (კაბორე 9), შეირუ, გონსალესი (აბრიელი 85), ვალბუენა (ჟ. აიუ 90), ა. აიუ, ჟინიაკი
**მონპელიე:** პიონიე – ბოკალი, სტამბული, იანგამბივა, ჟენშამი, საიჰი, მარვო (კოიტა 89), პიტო (კაბზე 73), ბელჰანდა, კამარა (დერნი 83) ჟირუ
**გოლი:** 1:0 ტაივო (80)

„სტად დე ფრანსზე" გასამართ ფინალურ მატჩამდე **დიდიე დეშამის** შეგირდები ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. არამხოლოდ იმის გამო, რომ ისინი უკეთ არიან დაკომპლექტებულნი და ჩემპიონატში უფრო მაღალ-მაღალი მიზნები აქვთ. ისინი გადამწყვეტ დაპირისპირებას შესანიშნავ ფორმაში შეხვდნენ და ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დეშამის სამწვრთნელ ნიჭს. რაც შეეხება **რენე ჟირარის** კრებულს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ლიგის თასის ფინალამდე მიაღწიეს, მთელი სეზონია რჩება შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელმა ვერა და ვერ შეკრა ახალი და ძლიერი ერთიანი გუნდი. თუმცა აშკარაა, რომ „მონპელიეს" შეუძლია მომატება და ჟირარს, როგორც მწვრთნელს, ამის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია.

მატჩის რეპორტაჟი რეჟისორებმა ტრიბუნებზე შეკრებილი ცნობილი სახეებით დაიწყეს. რა თქმა უნდა, მათ შორის იყო **ლორან ბლანი**. შეხვედრა ორი უსიამოვნო ეპიზოდით დაიწყო. **პიერ-ანდრე ჟინიაკს სტამბულიმ** უხეშად მისცხო ფეხი. მარსელელი გაზონზე აღმოჩნდა, თუმცა მოგვიანებით შეძლო მატჩის გაგრძელება. აი, მე-8 წუთზე კი რაც **სტეფან მბიას** დაემართა, ნამდვილად არავის ბრალი არ იყო. ის თავად ხისტად ეთამაშა მეტოქეს და საზარდული დაიზიანა. მინდორზე **შარლ კაბორე** შემოვიდა. პირველი სახიფათო მომენტი **ლუჩო გონსალესმა** მე-17 წუთზე შექმნა. მის ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმას მეკარე აღუდგა წინ. „მონპელიემ" ამას **საიჰის** ახლოდან დარტყმულით უპასუხა.

პირველი ტაიმის შუაწელს აშკარად გამოიკვეთა „მარსელის" უპირატესობა. თუმცა „მონპელიე" დაცვაში მყარად იდგა. **ლორან პიონიეს** საჯარიმოში შეღწევა არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. თანაც ისინი ხანდახან ხისტად კი არა, ხანდახან ძალიან უხეშად თამაშობდნენ. რატომ არ ერეოდა მსაჯი **ენტონი გოტიე** რიგ შემთხვევებში, ლოგიკურად ძნელი ასახსნელია. 32-ე წუთზე „მარსელმა" კიდევ ერთი ხიფათი შექმნა, მაგრამ **ვალბუენას** ახლოდან დარტყმული ძელს მოხვდა. კარგად გაისარჯა პიონიე მე-2 ტაიმის საწყის წუთებზეც, როცა **ანდრე აიუს** თავური ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია. კვანძი მე-80-ე წუთზე გაიხსნა. **შეირუმ გარი ბოკალის** უხეში თამაშის გამო დადებული საჯარიმო დაახლოებით 40 მეტრიდან ჩაკიდა. პიონიემ ბურთი მუშტებით მოიგერია. ის პირდაპირ **ტაიე ტაივოს** მიუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მის წინ 7 ან 8 ფეხბურთელი იდგა, მან დაარტყა და გაიტანა.

აი, რა განაცხადა მატჩის შემდეგ დიდიე დეშამმა: *„შეხვედრა საკმაოდ რთული გამოდგა. მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი გამბედავი ხასიათის გამოვლენა და ამით გულშემატკივარს დაუვიწყარი საჩუქარი გავუკეთეთ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXIV ტური

# უგვოლო ვნებათაღელვა

| რეინჯერსი-სელტიკი 0:0 | |
|---|---|

| დანდი-კილმარნოკი | 4:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 სევერინი (25), 2:0 გუდვილი (38), 3:0 გუდვილი (47), 4:0 კონვეი (49), 4:1 სილვა (70), 4:2 პასკალი (87)

| ჰართსი-მოზერუელი | 3:3 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ტომსონი (26-პენ), 2:0 სკაცელი (36), 3:0 სტივენსონი (52), 3:1 სატონი (55), 3:2 ჰეიტლი (59), 3:3 სატონი (88)

| ჰიბერნიანი-სტ. მირენი | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 სოდიე (26), 1:1 დარგო (39-პენ)

| ჰემილტონი-აბერდინი | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 იმრიე (64)მ 1:1 ბლექმენი (75).

| სტ. ჯონსტონი-ინვერნესი | 0:3 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ინესი (36), 0:2 დორანი (57), 0:3 ფორანი (70)

სეზონის ბოლო „ოლდ ფირმ დერბის" აშკარად გამოკვეთილი გმირი ჰყავდა - „რეინჯერსის" მეკარე **ალან მაკგრეგორი**. სქოთთა ნაკრების კარის მცველმა „სელტიკის" ბერძენ ვარსკვლავ **გეორგიოს სამარასს** თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე პენალტი აუღო. მაკგრეგორის მთავარი გმირობა, რასაკვირველია, ეს იყო, თუმცა მეკარემ მანამდე, თამაშის მსვლელობისას, ორჯერ საოცარი რეაქცია გამოავლინა და მასპინძლები მწარე მარცხისგან იხსნა.

გლაზგოს გუნდების შეხვედრა დაძაბული რომ იქნებოდა, რად უნდა ლაპარაკი. ამას მხარეების მატჩისშემდგომი გამონათქვამებიც ადასტურებს. მაგალითად, „რეინჯერსის" თავკაცმა **უოლტერ სმიტმა** თქვა:

*„სელტიკელები მსაჯს თამაშის ბოლოს კიდევ ერთ პენალტს სთხოვდნენ. ერთი ხომ ტყუილად დაანიშნინიეს, მაგრამ ვერ გაიტანეს და არ ეყოთ. ეს გუნდი მთელი სეზონი მსაჯთან კამათობდა და ცდილობდა სახეირო რამე გამოეტყუებინა".*

„სელტიკის" 39 წლის თავკაცმა **ნილ ლენონმა** კი „რეინჯერსის" ქომაგთა გინებას მთელი თამაშის განმავლობაში გაუძლო, მაგრამ საფინალო სასტვენის შემდეგ ველარ მოითმინა და მოედნიდან გასვლისას ხელები ყურზე მიიდო — აქაოდა, თქვენი ბილწსიტყვაობა მაინც არ მესმის, რაც გინდათ ის იყვირეთო. ამას შოტლანდიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმეში პოლიციაც კი ჩაერია, გამოძიება უნდა დავიწყოთო — მეტოქე გუნდის ფანების გაღიზიანება, ცამდე მართალიც რომ იყო, არ შეიძლება, პროვოკაციაა.

„რეინჯერსის" სლოვაკი მოთამაშე **ვლადიმერ ვეისი** კი ტრიბუნაზე იჯდა და ხელში შარფი ეჭირა ასეთი წარწერით: ჩვენ ადამიანები ვართ! ვითომ, რაო, „სელტიკის" ხალხი ადამიანები არ არიან? ვეისის ეს საქციელი არც პრესას დარჩა შეუმჩნეველი და არც პოლიციას...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 34 | 26 | 3 | 5 | 72-28 | 81 |
| 2. სელტიკი | 33 | 25 | 5 | 3 | 70-18 | 80 |
| 3. ჰართსი | 34 | 18 | 8 | 8 | 50-34 | 62 |
| 4. დანდი | 34 | 15 | 10 | 9 | 48-43 | 55 |
| 5. კილმარნოკი | 34 | 13 | 8 | 13 | 49-45 | 47 |
| 6. მოზერუელი | 34 | 13 | 6 | 15 | 39-46 | 45 |
| 7. ინვერნესი | 33 | 10 | 11 | 12 | 44-40 | 41 |
| 8. ჰიბერნიანი | 34 | 10 | 7 | 17 | 37-53 | 37 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 34 | 8 | 10 | 16 | 18-42 | 34 |
| 10. აბერდინი | 34 | 9 | 5 | 20 | 35-55 | 32 |
| 11. სტ. მირენი | 34 | 7 | 8 | 19 | 32-55 | 29 |
| 12. ჰემილტონი | 34 | 3 | 11 | 20 | 21-56 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - ჰუპერი (სელტიკი), სემონი (კილმარნოკი); 14 - ჰიგდონი (სენტ მირენი), გუდვილი (დანდი) სტოკსი (სელტიკი); 13 - რუნი (ინვერნესი); 11 – ბლექმენი (აბერდინი), იელავიჩი (რეინჯერსი), სკაცელი (ჰართსი); 10 - რიორდანი (ჰიბერნიანი)

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

**სტამბოლში** დასრულდა ევროპის ჩემპიონატი, რომლის ბოლო ორმა დღემაც ახალი მედლები მოგვიტანა, მაგრამ გაორებული გრძნობა მაინც გვრჩება – იმის მიუხედავად, რომ ცალკეულმა ძიუდოისტებმა სასიამოვნოდ გაგვაკვირვეს, გული დაგვწყვიტა ოქროს მედლების გარეშე დარჩენამ. თუკი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩემპიონი არც შარშან გვყოლია, გუნდური ჩემპიონობა ახლა დავკარგეთ.



მარცხნიდან პირველი ლომერ ჟორჟოლიანი, მესამე - ირაკლი ცირეკიძე

# სტამბოლიდან ოქროს გარეშე

## მოულოდნელი ვერცხლი და იმედიანი 100

შეგახსენებთ, პირველმა ორმა დღემ ერთი მედალი მოგვიტანა – 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ბეთქილ შუკვანმა** ვერცხლი მოიპოვა. საქართველოს ნაკრებიდან მედლების ფავორიტები უფრო ბოლო დღეს გამომსვლელებში გვეგულებოდა და მათაც ჩვენი მოლოდინი მეტ-ნაკლებად გაამართლეს.

**ვარლამ ლიპარტელიანი**, რომელმაც ევროპის ბოლო ორი ჩემპიონატის ფინალი წააგო, კონტინენტის ჩემპიონობას ვერც ამჯერად შესწვდა. სტამბოლში მან ფინალამდეც ვერ გააღწია, 3 წუთსა და 40 წამში რუს **კირილ დენისოვთან** იპონით წააგო, რაც ამ ორი ფალავნის დაპირისპირების ტრადიციულ შედეგადაა ქცეული. სამწუხაროა, რომ ლიპარტელიანი დენისოვთან სტაბილურად მარცხდება, არადა, ეს უკანასკნელი სულაც არ არის ბეჭდაუდებელი – ფინალში ბერძენმა **ილიას ილიადისმა** აუღელვებლად დაიპონა. საქართველოდან წასულმა ილიადისმა (ზვიადაური) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეისთვის ამ წონაში ბადალი არ ჰყავს.

ლიპარტელიანი კი მესამე ადგილისთვის სლოვაკ **მილან რანდლს** დაუპირისპირდა. ძირითადი და დამატებითი დროის განმავლობაში ქულა ვერავინ აიღო და მსაჯებმა მეტი აქტიურობისთვის გამარჯვება ქართველს მიაკუთვნეს. სხვისთვის მესამე ადგილი ეგებ დიდი წარმატება იყოს, მაგრამ ლიპარტელიანისგან ყოველთვის მეტს ველით. სამწუხაროდ, მას ნამდვილად არ უჭიდავია ისე, რომელსაც მისგან ქომაგები ელიან. პირველ წრეში მან პოლონელ **კშიშტოფ ვეგლარცს** ორი ვაზარი აართვა, შემდეგ გერმანელი **კრისტოფ ლამბერტი** დააიპონა, მეოთხედფინალში კი შვედ **მარკუს ნიმანზე** შარშანდელი ევროპირველობის ფინალში განცდილი მარცხისთვის ჯავრი იყარა. მისი ვაზარის წინააღმდეგ ლიპარტელიანმა ვაზარი და იუკო აილო.

ამავე წონაში **ლაშა გურულმა** პირველივე ბრძოლა წმინდად წააგო უკრაინელ **ვადიმ სინიავსკისთან.**

100 კილოგრამში მოასპარეზე ორივე ქართველი კვარცხლბეკზე ავიდა. **ლომერ ჟორჟოლიანმა** ფინალამდე დამაჯერებლად მიაღწია და იმედი გაგვიჩნდა, რომ ახლა მაინც შეძლებდა გადამწყვეტი ბრძოლის მოგებას. მით უფრო, მეტოქედ არცთუ ცნობილი ბოსნიელი **ამელ მეკიჩი** ჰყავდა, მაგრამ ჟორჟოლიანმა ფინალი უსახურად ჩაატარა და ქულაც ვერ აილო, მაშინ, როცა მეკიჩმა ვაზარი და იუკო აართვა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ნამდვილ აღმოჩენად იქცა, გზიდან ტურნირის მთავარი ფავორიტი, **ჰოლანდიელი ჰენკ გროლი** ჩამოიცილა.

პირველ რაუნდში ჟორჟოლიანმა სერბ **პრედრაგ ბუდიჩს** იოკოთი სძლია, შემდეგ ჩერნოგორიელ **ნიკოლა ვულევიჩს** სუფთად მოუგო, მეოთხედფინალში ფრანგი **სირილ მარე** დააიპონა, ნახევარფინალში კი ასევე წმინდად სძლია ჩეხ **ლუკას კრპალეკს.** ჟორჟოლიანის გამოსვლა ცალსახად დადებითად უნდა შევაფასოთ. მან ხანგრძლივი ჩავარდნა დაძლია და წონას ერთ-ერთი ფავორიტის რანგში დაუბრუნდა.

იგივე უნდა ვთქვათ ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეზე**, რომელმაც 90-დან 100 კილოგრამში ანაცვლების შემდეგ ევროპირველობაზე პირველი მედალი მოიპოვა - ბრინჯაოს დაეუფლა.

პირველ წრეში ირაკლიმ იუკოთი სძლია რუს **სერგეი სამოილოვიჩს**, მეორეში წმინდად დაამარცხა დანიელი **ფრედერიკ იორგენსენი**, მესამეში კი ლატვიელ **ევგენის ბოროდავკოსთან** იპონით წააგო. სანუგეშოს პირველ წრეში ცირეკიძემ ებრაელი **არიელ ზეევის** სუფთად მოუგო, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ჟორჟოლიანისგან ძლეულ კრპალეკს იუკოთი აჯობა.

მოკლედ, 100 კილოგრამში ქართველები ყველაზე უკეთ წარმოჩდნენ და თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიას ერთმანეთს სწორედ ჟორჟოლიანი და ცირეკიძე შეეცილებიან.

მძიმე წონაში **ზვიად ხანჯალიაშვილმა** თავისთვის ჩვეული გზა გაიარა – კარგად დაიწყო და ცუდად დაამთავრა. პირველ წრეში **ჰოლანდიელ ლუკ ვერბისთან** ორი ვაზარი მიითვალა, იგივე გააკეთა ფრანგ **მატიუ ბატელსა** და უკრაინელ **სტანისლავ ბონდარენკოსთან** ბრძოლისას და ნახევარფინალში გავიდა. იქ უნგრელ **ბარნა ბორთან** ილეთი ვერ შეასრულა, მეტოქემ კი ორი იუკო აართვა. მესამე ადგილისთვის ჭიდაობისას ზვიადი პოლონელ **იანუშ ვოინაროვიჩთან** იპონზე დავარდა.

მეორე მძიმეწონოსანი **ნოდარ მეტრეველი** წილისყრამ განირა – პირველივე წრეში ბეჭდაუდებელ ფრანგ **ტედი რინერს** შეხვდა და მხოლოდ წუთი და 15 წამი გაუძლო. რინერი მორიგ ჩემპიონობამდე სულ იპონ-იპონით მივიდა.

## ჩემპიონობა უკრაინას დავუთმეთ

ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღე გუნდურ შეჯიბრებას დაეთმო, სადაც 12-მა ქვეყანამ იასპარეზა. შეგახსენებთ, ბოლო ხანს გუნდური ჩემპიონატი არა 7, არამედ 5 წონაში (60 ამოღებულია, 100 და მძიმე — გაერთნიანებული) ტარდება.

4 ნაკრები წილისყრამ პირდაპირ მეოთხედფინალში განთესა და იღბლიანთა შორის ჩვენც მოვხვდით. ჩვენი სასტარტო მეტოქე გერმანია იყო, რომელმაც პირველ წრეში მოლდოვას აჯობა. საქართველოს ნაკრებმა გერმანიისას 3:2 სძლია. **შალვა ქარდავასა** და **ნუგზარ ტატალაშვილის** გამარჯვებებით **პეტერ ზაიზენბახერის** გუნდი 2:0 დაწინაურდა, რასაც **ავთანდილ ჭრიკიშვილის** მარცხი მოჰყვა. ვარლამ ლიპარტელიანმა გაიმარჯვა და საქართველოს ნაკრებს ნახევარფინალი დაუბევა, ბოლო ბრძოლაში კი ზვიად ხანჯალიაშვილი უშანსოდ დამარცხდა.

უკრაინასთან ნახევარფინალი ქარდავას მარცხით დავიწყეთ და ტატალაშვილის გამარჯვებით გავაგრძელეთ. ამას **ლევან ნიკლაურის** წარმატება მოჰყვა და თითქოს ფინალამდე ბევრი აღარაფერი გვაშორებდა – ამისთვის საჭირო იყო, ლიპარტელიანს ვეტერანი **ვალენტინ გრეკოვისთვის** მოეგო. სამწუხაროდ, გრეკოვმა ქართველი იპონით დაამარცხა და ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი ბრძოლა იოსებ მსხალაძემ დათმო და ფინალში უკრაინა გავიდა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ესტონელებს 5:0 ვაჯობეთ. საკუთარი ბრძოლები ქარდავამ, ტატალაშვილმა, ჭრიკიშვილმა, ლიპარტელიანმა და ხანჯალიაშვილმა მოიგეს. როგორც ხედავთ, ტატალაშვილმა, რომელიც ინდივიდუალურ ჩემპიონატზე არ გაიყვანეს, გუნდურში სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა.

ევროპის ჩემპიონი უკრაინის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში საფრანგეთს 3:2 სძლია.

### კვარცხლბეკი

#### კაცები

**90 კგ.** 1. ილიას ილიადისი (საბერძნეთი), 2. კირილ დენისოვი (რუსეთი), 3. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველო), მარკუს ნიმანი (შვედეთი).

**100 კგ.** 1. ამელ მეკიჩი (ბოსნია), 2. ლომერ ჟორჟოლიანი (საქართველო), 3. ევგენის ბოროდავკო (ლატვია), ირაკლი ცირეკიძე (საქართველო).

**+100 კგ.** 1. ტედი რინერი (საფრანგეთი), 2. ბარნა ბორი (უნგრეთი), 3. მარტინ პადარი (ესტონეთი), იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი).

#### ქალები

**78 კგ.** 1. ოდრი შემო (საფრანგეთი), 2. ლუსი ლუტე (საფრანგეთი), 3. ლუიზე მალცანი (გერმანია), ანა ველენსეკი (სლოვაკეთი).

**+78 კგ.** 1. ელენა ივაშჩენკო (რუსეთი), 2. ან სოფი მონდიე (საფრანგეთი), 3. თეა დონღუზაშვილი (რუსეთი), ლუსია პოლავდერი (სლოვაკეთი).

#### გუნდური

1. უკრაინა, 2. საფრანგეთი, 3. საქართველო, გერმანია

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ჭიდაობა

# დადებითი ტენდენციები, მაგრამ ცოტა მაყურებელი

ორ დღეს არ შეწყვეტილა ხოვლელი (კასპი) მეზურნე-მედოლეების „საჭიდაოს“ ხმა ძიუდოს სპორტკომპლექსში (დიღომი), სადაც საქართველოს პირველობა გაიმართა 1992-1994 წლებში დაბადებულთა შორის ქართულ ჭიდაობაში.

მოსაწონია საქართველოს ყველა რეგიონის მონაწილეობა. ბევრი ისეთი მოჭიდავეც ვიხილეთ, რომლებმაც უკვე მოასწრეს სხვადასხვა ასაკობრივ საერთაშორისო შეჯიბრებებში მედლების მოპოვება. მცხეთელმა **ლევან ბერბერაშვილმა,** მაგალითად, სულ ახლახან პრალაში სამბისტთა ევროპის პირველობაზე გაიმარჯვა (48 კგ). ახლა ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის კი ვერცხლის მედალს დაეუფლა, ოღონდ 55 კგ-ში.

ჭაბუკებში მსოფლიოს პირველობის მომგებმა კასპელმა სამბისტმა **შმაგი შარიფაშვილმა** კი პირველობა აქაც დაისაკუთრა (75 კგ).

**ოთარ ყურაშვილი** - ქართული ჭიდაობის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: „ადრე ახალგაზრდული პირველობები იშვიათად ეწყობოდა. წლევანდელ ფინალურ შეჯიბრებას კი წინ უსწრებდა ზონალური ასპარეზობები, რომელმაც საგრძნობლად გამოაცოცხლა ტურნირი. 170 მონაწილეს შორის ფოთელებიც კი გამოჩნდნენ, რომლებიც უწინ არ გამოდიოდნენ ქართულ ჭიდაობაში. კმაყოფილი დავრჩი მსაჯობითაც“.

**ანზორ მარტყოფლიშვილი** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი: „ბოლო 2-3 შეჯიბრებას ზედიზედ ვუყურებ და ვატყობ, რომ ქართულ ჭიდაობაში დისციპლინის და ორგანიზაციის წყალობით ბევრი რამ დაიხვეწა. ამდენ მონაწილეს არც მოველოდი. ეს ალბათ კარგმა პრიზებმაც გამოიწვია. ქართულს ხომ ჩვენი სოფლის ბიჭები ჭიდაობენ ძირითადად. ფერად ტელევიზორს, რომ ჩაიტანს თავის სოფელში გამარჯვებული, მერწმუნეთ დიდი სტიმულია ახალგაზრდისთვის“...

**მალხაზ ქავთარაძე** - ქართული ჭიდაობის გულშემატკივარი: „ამ ახალგაზრდებს ვუყურებ და მიხარია, რომ ჩვენ სახელოვან ფალავნებს კარგი შემცვლელები ეზრდებათ. ერთ რამეზე კი ცოტა გული მწყდება, ასეთ შესანიშნავ შეჯიბრებას მეტი გულშემატკივარი უნდა ესწრებოდეს. ამასაც მიხედვა უნდა“.

„**ვლადიმერ იაშვილი** - ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი: „რამდენიმე დღეში მოზრდილთა ზონალურ ტურნირებს ვიწყებთ საჩხერეში, თელავში, ზუგდიდში და მცხეთაში... განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თაოსნობით კი მაისში დაიწყება და მთელ ზაფხულს გასტანს ბავშვთა სპორტული ფესტივალი, სადაც ქართულ ჭიდაობაში საქართველოს 359 სკოლის მოსწავლეები 3 წონით კატეგორიაში იასპარეზებენ.

მოლაპარაკება სრულდება რეგიონული გუნდურ პირველობის ჩატარებაზე, რომელიც ერთობ საინტერესო და ემოციური იქნება. აქ მხარის გუბერნატორების მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს“...

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. სოსო ცერცვაძე (თბილისი), 2. ლევან ბერბერაშვილი (მცხეთა), 3. მიხეილ ზოიძე (აჭარა).

**60 კგ.** 1. ლუხუმ ჩხვიმიანი, 2. გიორგი ტყემალაძე (ორივე-თბილისი), 3. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი).

**65 კგ.** 1. ტრისტან ფეიქრიშვილი (შიდა ქართლი-კასპი), 2. ბექა ჩართოლანი (მესტია), 3. თორნიკე მინდიაშვილი (შიდა ქართლი-გორი).

**79 კგ.** 1. ანდრო ბერუაშვილი (სამაჩაბლო), 2. ზურაბ ყიფშიძე (ყვარელი), 3. ნუგზარ ქურასბედიანი (ქუთაისი).

**75 კგ.** 1. შმაგი შარიფაშვილი (შიდა ქართლი-კასპი), 2. ბექა ნარმანია (ზუგდიდი), 3. ზვიად გერგედავა (თბილისი).

**80 კგ.** 1. ზურაბ ეპიტაშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი მახარაშვილი (მცხეთა), 3. გურამ წულუკიძე (ქუთაისი).

**90 კგ.** 1. რეზო წულუკიძე (აჭარა), 2. ილია ოტიაშვილი (ახმეტა), 3. უჩა გასიტაშვილი (შიდა ქართლი-გორი).

**+90 კგ.** 1. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი), 2. ბექა წყალობაშვილი (ყვარელი), 3. გიორგი კალაძე (თბილისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ფიგურული ციგურაობა

# დღეს წყვილი, მერე ელენე

**გუშინ** მოსკოვში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, რომელიც, წესით, იაპონიაში მარტის ბოლოს უნდა გამართულიყო, მაგრამ ბუნებრივმა კატაკლიზმებმა ამ ქვეყანას ტურნირის მასპინძლობის შანსი მოუსპო, რუსებმა თავი გამოიდეს და სრიალის საერთაშორისო კავშირს მოსკოვის კანდიდატურა შესთავაზეს.



ქალთა წინასწარი რაუნდი დღეს იწყება, იქ 26 მონაწილეა. ბუნებრივია, მათ შორის არ არის **ელენე გედევანიშვილი**, რომელსაც ძირითად ბადეში (ანუ მოკლე პროგრამაში) ადგილი გარანტირებული აქვს. მოკლე პროგრამა 29 აპრილს გაიმართება. ჩვენებური კინოფილმ „ჩიკაგოს“ საუნდტრეკის მუსიკაზე შეასრულებს პროგრამას. ელენესთვის ეს მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატია. ქართველის საუკეთესო შედეგი 2009 წელს დაკავებული მე-10 ადგილია, ყველაზე ცუდი შედეგი კი მას 2008 წელს ჰქონდა, როცა მე-20 იყო. ქალთა შორის ორი მთავარი ფავორიტია მსოფლიოს ჩემპიონი **მაო ასადა** (იაპონია) და ოლიმპიური ჩემპიონი **იუნა კიმი** (კორეა). არ დაგვავიწყდეს 4 კონტინენტის ტურნირის გამარჯვებული იაპონელი **მიკი ანდო.** ფავორიტთა შორის არიან ამერიკელი **ალისა შჩისნი**, იტალიელი **კაროლინა კოსტნერი** და ფინელი **კიირა კორპი.** სიურპრიზი შეიძლება შემოგვთავაზონ ამერიკელმა **რაკელ ფლეტმა**, რუსმა **ქსენია მაკაროვამ** და იაპონელმა **კანაკო მურაკამიმ.**

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატს ქართული წყვილი იწყებს **ელისონ რიდისა** და **ოთარ ჯაფარიძის** შემადგენლობით. ეს დუეტი ყინულზე ცეკვებში წინასწარ რაუნდში გამოდის და 17 მონაწილეს შორის ყველაზე ბოლოს ისრიალებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელობურთი





# ქართული სული ერთ პატარა სოფელში

## ანუ მთავარია ლელო გავარდეს!

... თენდება აღდგომის დილა. ღამენათევი სამწყსო ტაძრიდან გამოდის. ზოგი მართლა მორწმუნეა, ზოგსაც უნდა იყოს მორწმუნე, ზოგიც კიდევ სახელად არის მოსული, ზოგი ბოლომდე უძლებს ლიტანიას, ზოგიც - ვერა. სოფელი ასეთია. დილიდან კი სოფელი იცვლება, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რა ამინდია. სოფელი ივსება ემოციით და ძალით. ლელო უნდა გავარდეს. მოხუცებისთვის ეს ტკბილი მოგონებაა, ბავშვებისთვის დიდობის ოცნება, შუათანა თაობას კი სისხლი ნელ-ნელა უჩქროლდება. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვინ თამაშობს და ვინ არა. მთავარია, ლელო გავარდეს.

როგორც შუხუთელი **თამაზ იმნაიშვილი** ამბობს, - ცუცუკა მასწავლებლის შეძახილი ყოფნიდა სოფლის ვაჟკაცებს შიშის გადასალახავად, რომ შუა ლელოში შესულიყვნენ. ულამაზესი ქალბატონი ცუცუკა ფიზკულტურის მასწავლებელი იყო და არა, ბიჭო, კურდღლებს დააგლეჯინებდა თავს? შუა ლელოში შესული არც ერთ მამაკაცს ტოლს არ დაუდებდა. სხვანაირად არ იფიქროთ, ლელოში ქალი და კაცი არსებობს, იქ მხოლოდ ვაჟკაცები თამაშობენ. იქ მხოლოდ გოლიათების ბრძოლაა. 90-ს იყო მიტანებული კოსტა ორაგველიძე, ლელო წელს მე უნდა გავაგდოო იძახდა. უარს ვინ ეტყოდა. რაც სოფელს ახსოვს, კომუნისტების დროსაც კი, კოსტა იყო ლელოს შემნახავი და უბადლო მოთამაშე. კოსტამ გააგდო იმ დღეს ლელო და ნეკნიც ჩაიმტვრია. საავადმყოფოში გონზე რომ მოვიდა, პირველი ის იკითხა - ლელო საით წევიდაო. რომ უთხრეს - მეიგეო, ანი სიკვდილიც შეიძლებაო, თქვა.

სულის შეხუთვა, ძვლების ჭახაჭუხი, ოფლი და მტვერი, ყველაფერი ერთად აზელილი. მხოლოდ ერთი აზრი გამოძრავებს, წინ უნდა მიაწვე. არა, ისე ხუმრობა იქით იყოს და ხანდახან კბენაც მოდის ლელოში. სიმთვრალეც მოდის ხანდახან. აბა, სულ მთლად ფხიზელი აბდალაი უნდა იყო, კაცი იქ რომ შეხვიდე. მთელ თამაშს ერთადერთი წესი აქვს მხოლოდ, ისიც მხოლოდ წმინდა რაინდული. თუ ვინმე წაიქცა, თამაში ჩერდება. წაქცეულს არავინ ერჩის. ლელოში ნებისმიერი მოგებული მხარის ერთადერთი პრიზი სოფლის ახალგაზრდა გარდაცვლილი ადამიანის საფლავზე ატანილი ლელოს ბურთი და მისი შესანდობარია. ეს ქართული რიტუალია სისხლში და ხორცში გამჯდარი.

ლელო მხოლოდ გურიაში, კონკრეტულად კი ლანჩხუთის სოფელ შუხუთშია შემორჩენილი. მსოფლიომ მრავალი ასეული სახის ბურთაობა იცის. მექსიკელი ტოლტეკებიდან დაწყებული, აფრიკელი ბუშმენებით დამთავრებული, ყველა ბურთს თამაშობს, მაგრამ შუხუთის ლელო მაინც განსაკუთრებული მოვლენაა. სოფლის ცენტრში ვარდება ბურთი და ზემოურები და ქვემოურები ეპაექრებიან ერთმანეთს, ანუ სოფელი ორად იყოფა, მთელ ლანჩხუთთან ერთად ჩამოსული სტუმრებიც ერთვებიან - დასავლეთით მეზობელი ქალაქების წარმომადგენლები ქვემო შუხუთლებს ეხმარებიან, ზემო შუხუთლებს კი - აღმოსავლეთით მდებარე ქალაქელები. მათ შესაბამისად, საკირიესა და საჭინკიეს ლელეები უნდა გადალახონ.

... ამჯერადაც, საგანგებოდ შეკერილი 16 კილოგრამიანი ბურთი ზუსტად 17 საათზე ავარდა. საგანგებოდ, ამ დღისთვის სოფელში ლელოს ქანდაკება დაიდგა, დიზაინერმა **თათა ვარდანაშვილმა** კი მობურთალეებისთვის მაისურები შექმნა, წარწერებით „ქვემო შუხუთი“ და „ზემო შუხუთი“. წლევანდელი ლელო იმითაც იყო გამორჩეული, რომ მას მთავრობის წარმომადგენლები მრავლად დაესწრნენ. ლელოს თამაშის ხილვით კმაყოფილება არ დაუმალავთ შს და იუსტიციის მინისტრებს **ვანო მერაბიშვილსა** და **ზურაბ ადეიშვილს**, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის სამინისტროების პირველ პირებს **რამაზ ნიკოლაიშვილსა** და **გოგა ხაჩიძეს**. ეს უკანასკნელი საერთოდაც ლელოს მთავარ გულშემატკივრად და სახელისუფლო ლობად მოგვევლინა - სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ თამაშობის დღეს შუხუთში ნამდვილი ზეიმი იყო, ლელომდე ცხენოსნების საჩვენებელი სანახაობა და ანსამბლ „მგზავრების“ კონცერტი გაიმართა. შუხუთს ესტუმრა სპორტის მინისტრი **ლადო ვარძელაშვილიც**, ხაჩიძესთან ერთად ისიც მალალჩინოსნებს ლელოს დეტალებს უხსნიდა. ლელოს „გორგალოსანში“ რამდენჯერმე აღმოჩნდა გოგა ხაჩიძე, თუმცა იგი უმეტესად ლელოს ახლოდან შესცქეროდა, რასაც ვერ ვიტყვით „მგზავრების“ მომღერალ **გიგი დედალამაზაშვილზე** - იგი უფრო აქტიურად ჩაერთო თამაშში. სამაგიეროდ, კიდევ ერთმა ცნობილმა სახემ, „მყუდრომ“ ლელოს თამაში სამომავლოდ გადადო - უკეთ მოვემზადებიო.



ლელოს ქანდაკება შუხუთში

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, უპირატესობას თავიდანვე ზემოურები დაეუფლნენ და შანსი ხელიდან არ გაუშვიათ. ასეთ სიტუაციაში ვითარების რადიკალურად შეცვლა გასული საუკუნის 70-იან წლებში ხდებოდა მხოლოდ - ლელოს დიდი მოტრფიალე გახლდათ **ედუარდ შევარდნაძის** ძმა ევგრაფი. „ატეკის“ დირექტორის რანგში იგი მძღოლებს 20-20 ძლიერი მამაკაცის გამოყვანას ავალებდა. ისეც მომხდარა, წაგებული ლელოს ბედი შევარდნაძეს ბოლო წუთებში მრავალრიცხოვანი ლელობურთელების დამატებით ქვემოურების სასარგებლოდ შემოუტრიალებია. დღემდე არსებული საერთო უპირატესობაც, რომელიც ზემოურებზე ქვემოურებს აქვთ, სწორედ მის დამსახურებად თვლიან.

ამჯერად კი, როგორც ვთქვით, ზემოურებმა გაიმარჯვეს (მათვე გადაეცათ მოქანდაკე **ლევან ვარდოსანიძის** მიერ დამზადებული ლელობურთელის ქანდაკება). თუმცა, როგორც შუხუთში ამბობენ, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ლელო გავარდეს!

დასასრულ, ისევ თამაზ იმნაიშვილს მოვუსმინოთ: *„მაგარი ბიჭები და გოგოები ხართ? მე თქვენ გეკითხებით, მაგრები ხართ? მაშინ აღდგომას შუხუთში ჩამოდით და ლელო ითამაშეთ, მაშინ მიხვდებით სამშობლოს სიყვარულს თუ გრძნობთ. მომავალ აღდგომას გელით შუხუთში, ვისაც გული და ძალა გერჩით. თქვენი ოფლით გაჟღენთეთ ლელოს როკვა. და როცა გულს იჯერებთ ნამდვილი ლელოთი, ძვალ-რბილიც დაგეჟეჟებათ თამაშისას. მერე ლელოს ბურთს გაყვებით უკან ანთებული სანთლებით და სულთათანას ეტყვით მიცვალებულის საფლავს. მაშინ იგრძნობთ, თუ რას ნიშნავს ქართული სული ერთ პატარა სოფელში, რომელსაც შუხუთი ჰქვია.“*

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

ფრენბურთი

# პირველი მეტოქე ძლეულია

## მსოფლიო ბავშვთა თამაშები საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო

ანკარაში დაიწყო მსოფლიო ბავშვთა თამაშები, რომლის პროგრამაში სპორტის 13 სახეობა შედის. გრანდიოზულ გახსნას, რომელიც ანკარის სპორტის სასახლეში გაიმართა 3000 მონაწილე ესწრებოდა მსოფლიოს 90 ქვეყნიდან. მათ შორის იყო საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა ნაკრები. თამაშები თურქეთის პრემიერ-მინისტრმა **ერდოგანმა** გახსნა და თავის გამოსვლაში ილაპარაკა ამ თამაშების მნიშვნელობასა და როლზე. თამაშები ტარდება.

საქართველოს გოგონათა ნაკრების პირველი მეტოქე ალბანეთის ნაკრები იყო და ამ დაძაბულ შეხვედრაში ჩვენმა გოგონებმა იმარჯვეს 2:1 (19-25, 25-23, 15-11) მეორე მატჩს საქართველოს ფრენბურთელები მასპინძლებთან, თურქეთის ნაკრებთან გამართავენ.

*“ეს ჩვენი ნაკრების პირველი ოფიციალური თამაში იყო და, ბუნებრივია, ვნერვიულობდით. მთლიანობაში მაინც კმაყოფილი დავრჩი. იმედია, თამაშს მოვუმატებთ და საბოლოოდ კარგ შედეგს მივაღწევთ“* – განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა **ნინო მღებრიშვილმა**.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** კი ასეთი კომენტარი გააკეთა: *„დავიწყეთ მზადება 2015 წლის ევროპის ბავშთა ოლიმპიური ფესტივალისათვის და სასიხარულოა, რომ პირველივე მატჩში გავიმარჯვეთ. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია ჩვენი ნაკრების თამაშში. იმედია, დარჩენილი შეხვედრები დაგვეხმარება დონის ამაღლებაში. ფედერაციის მთავარი მიზანია, ნაკრებმა რაც შეიძლება მეტი თამაში ჩაატაროს 2011 წელს. ეს ხელს შეუწყობს გოგონებს სათამაშო გამოცდილება მიიღონ და გააუმჯობესონ შედეგები ტურნირიდან ტურნირამდე“.*

**გოგა გორგოძე**
ანკარიდან



ჩოგბურთი

# 8 ადგილი და 25 ქულა ასეულამდე

გუშინ WTA-ს და ATP-ს ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა - **ანა ტატიშვილი** კიდევ ერთი საფეხურით მიუახლოვდა ასეულს, 21 წლის ჩოგბურთელი 636 ქულით 108-ე პოზიციაზეა. ბუნებრივია, ეს ანას კარიერის ახალი მიღწევაა. ასეულამდე დაახლოებით 25 ქულა რჩება. სხვები: 192 (-3) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულა; 234 (-5) **მაკა ჩახნაშვილი** - 239; 293 (-5) **სოფიო შაფათავა** - 175; 305 (-) **თათია მიქაძე** - 162; 451 (-26) **სოფიო ქვაცაბაია** - 81; 504 (-1) **ეკა გორგოძე** - 64; 724 (-96) **მანანა შაფაქიძე** - 28. ვაჟები: 671 (-1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 25 ქულა; 827 (-2) **ლადო ჩიხლაძე** - 13.

გაგაცნობთ, თუ როგორ დაასრულეს ასპარეზობა გასულ კვირაში ქართველმა ჩოგბურთელებმა. ტატიშვილი ამერიკის ქალაქ დოტჰენში 50-ათასიანი ტურნირის პირველი ჩოგანი იყო და უსიამოვნო მოულოდნელობა იყო, როცა ჩვენებური მეოთხედფინალში ბრაზილიელ **როქსან ვაიზემბერგერთან** (317) დამარცხდა - 1:6, 6:3, 4:6. იტალიურ ჩივიტავეკიაში (25 ათასი დოლარი) მაკა ჩახნაშვილმა ნახევარფინალში ტურნირის მომავალ გამარჯვებულ **მარია-ტერესა ტორო-ფლოპთან** (276) წააგო - 3:6, 5:7. უზბეკურ კარშიში (10 ათასი დოლარი) ფინალში გავიდა სოფიო ქვაცაბაია, მან უკრაინელი **ელიზავეტა იანჩუკი** დაამარცხა - 7:6 (4), 3:6, 6:2. მაგრამ ტიტულისთვის ბრძოლა სოფიომ რუს **ეკატერინა იაშინასთან** (705) წააგო - 2:6, 3:6.

კარშიში ახლა 25-ათასიანი ტურნირი იწყება, რომლის პირველი ჩოგანი კალაშნიკოვაა. ჩვენებური პირველ წრეში რუს **ეუგენია პაშკოვას** (426) ეთამაშება. ძირითად ბადეშია ქვაცაბაიაც, რომლის მეტოქის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. ანთალიაში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად არის განთესილი ეკა გორგოძე, რომელმაც ერთი წრე უკვე გაიარა, მასპინძელი **სულთან გონენი** დაამარცხა - 6:0, 6:4 და ახლა შვედ **ანეტ მუნუზოვას** ხვდება. მინსკის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) მე-2 ნომრად სოფიო შაფათავა განთესეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

დიდი სპორტის კარიბჭესთან



# გიგა გელაშვილი

**ძიუდო**

**დაიბადა** 1995 წლის 27 ოქტომბერს, გორში

**სწავლობს:** გორის III საჯარო სკოლაში.

**სიმაღლე:** 189 სმ

**წონა:** 140 კგ

**ვარჯიშობს** 2006 წლიდან გორის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში. პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელია **ნიკო ბიბილაშვილი.**

**მიღწევები:** საქართველოს პირველობის მესამე პრიზიორი (2010, 2011 წწ), გიუმრის საერთაშორისო ტურნირის (2010 წ), ანზორ ქიბროწაშვილის (2010 წ), როინ ყორღანაშვილის (2010, 2011), დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტურნირების გამარჯვებული, ანთალიის ტუნირის (2011 წ) მეორე პრიზიორი.

**მიზანი:** ოლიმპიადაზე ასპარეზობა.

**ჰობი:** პოეზია.

**ვასილ ბალახაძე**
**დავით ასპანიძის ფოტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართველი NBA-ში

# ზაზა შრომობს

## ფაჩულია-რიჩარდსონის გაწევ-გამოწევამ ატლანტა წამოსწია

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსს" აღმოსავლეთის კონფერენციის ნახევარფინალამდე ერთი მოგება აშორებს, „ორლანდოს" - სამი. ასე რომ, ჯორჯიელები მორიგ წარმატებასთან ხელის ერთ გაწვდენაზე არიან. ეს უმთავრესად გუნდური თამაშის დამსახურებაა: **ჯონსონი** და **კროუფორდი** სამიანს სამიანზე აგდებენ, **სმიტი** და **ჰორფორდი** ახლო და საშუალო დისტანციიდან იშვიათად ცდებიან, **ჰაინრიხი** მათ პასებით ამარაგებს, **კოლინზი ჰოვარდს** მეურვეობს... ფაჩულია კი იბრძვის, „ეჭიდავება" NBA-ს საუკეთესო ცენტრ დუაით ჰოვარდს და თუ საჭიროა, თავს ურტყამს ორლანდოელ **ჯეისონ რიჩარდსონს**. ქართველი ცენტრის ასეთი მოქმედება „პეპსი არენაზე" შეკრებილ პუბლიკას დამატებით ემოციას მატებს, მოთამაშეებს - ენერგიას და შედეგიც ტაბლოზეა: 3:1 „ატლანტას" სასარგებლოდ.

■ ■ ■

ორლანდოში ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ სერიაში ანგარიში 1:1 იყო. მესამე შეხვედრაში ჯორჯიელები საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თავდაჯერებულები გავიდნენ. მათ ხომ წინა მატჩებშიც დაინახეს, „ორლანდო" უძლეველი გუნდი არ არის.

ზაზა ფაჩულია მოედანზე პირველი პერიოდის დამთავრებამდე 3:42 წუთით ადრე შევიდა. სწორედ მის მოედანზე ყოფნას დაემთხვა „ატლანტას" ყველაზე დიდი სხვაობით დაწინაურება - 47:33 (ჰაინრიხმა, კროუფორდმა სამქულიანები გამოიყენეს, ჯონსონმა - ორქულიანები).

მესამე პერიოდიდან ჰოვარდისა და **თურქოგლუს** აქტიურობით „ორლანდომ" სხვაობა შეამცირა, ხოლო მეოთხე პერიოდში თანაბარი თამაში გაჩაღდა. სირენამდე 5 წუთით ადრე „ატლანტა" 4 ქულით იგებდა, როცა დუაით ჰოვარდი „ატლანტას" საჯარიმოში ფაჩულიაზე დაჯარიმდა. ქართველმა ორივე ტყორცნა გამოიყენა და 81:75 „ჰოქსის" სასარგებლოდ. თუმცა, 5 წუთში 6 ქულის აღმოფხვრა წარმოუდგენელი სულაც არ არის, მითუმეტეს, რომ ბოლო წამებზე სიტუაცია მეტად დაიძაბა... სწორედ ემოციების მოზღვავებამ გამოიწვია ინციდენტი, რომლის შედეგად ფაჩულია და ჯეისონ რიჩარდსონი გააძევეს: დუაით ჰოვარდმა ზაზას მოტყუება სცადა, მაგრამ ქართველმა იგი წესების დარღვევით შეაჩერა. ამ მომენტში ჰოვარდმა ფაჩულიას იდაყვი მოარტყა. ამის გამო უკმაყოფილო ზაზამ არბიტრებს რამდენიმე სიტყვით მიმართა... ამასობაში ზურგსუკნიდან რიჩარდსონის სიტყვები შემოესმა, გაბრაზებული ქართველი ორლანდოელს მიუბრუნდა და თავი შუბლში ჩაარტყა. მეტოქემ ხელი მოუქნია, თუმცა მოჩხუბრები მალე გააშველეს. ამ მოვლენას ატლანტურ გაზეთში ცალკე სტატია მიეძღვნა, რომლის თარგმანსაც ამავე გვერდზე შემოგთავაზებთ. მანამდე კი დარჩენილი 2 წუთზე ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

სირენამდე 1:01 წუთით ადრე **ბრენდონ ბასმა** „ორლანდო" 84:83 დააწინაურა, თუმცა ეს იყო და ეს - ბოლო წუთზე მხოლოდ ერთი გუნდის კალათბურთელები აგდებდნენ: ჰორფორდმა ორქულიანი გამოიყენა, კროუფორდმა სამიანი და „ატლანტამ" 88:84 მოიგო.

რიჩარდსონი ფლორიდელთათვის დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. მის გარეშე დარჩენილ ორლანდოელებს ჯორჯიელებმა მეოთხე მატჩი 88:85 მოუგეს და სერიაში 3:1 დაწინაურდნენ. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, მისი საქმე **არმსტრონგმა, პაუელმა** გადაიბარეს და კოლინზთან ერთად გოლიათ ჰოვარდს ბოლომდე ებრძოლნენ.

მატჩის შემდეგ კაპიტან **ჯო ჯონსონს** ფაჩულია არ დავიწყებია:

*- მოუთმენლად ველი ზაზას მოედანზე დაბრუნებას. ის ფარქევშ ბევრს შრომობს და ძალიან გვეხმარება. კარგია, რომ მეხუთე მატჩში დაგვეხმარება.*

სერიის მეხუთე დაპირისპირება 26 აპრილს ორლანდოში გაიმართება.

**ატლანტა-ორლანდო 88:84**

**ზაზა ფაჩულია:** 26:22 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 1 დაფარება, 6 ფოლი.

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:42 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:05 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:47 | ორქულიანი: 2ქ (27:25) |
| 10:33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 08:54 | ფოლი: 1 |
| 08:04 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:51 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 04:44 | დაფარება: 1 (ნელსონს დაუფარა) |
| 01:56 | ფოლი: 2 |
| 01:55 | პაუელმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:58 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:46 | ფოლი: 3 |
| 11:33 | პასი: 1 (კროუფორდი 2ქ, 68:63) |
| 09:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 07:30 | ფოლი: 4 |
| 05:00 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 81:75) |
| 02:58 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 02:22 | ფოლი: 5 |
| 02:22 | ფოლი: 6 (გაძევება) |

**ატლანტა-ორლანდო 88:85**

ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია (დისკვალიფიკაცია).











● გამოხმაურება

# ფაჩულია: უკან არასოდეს დავიხევ!

*„**ზაზა ფაჩულია** სერიის მეოთხე მატჩს გამოტოვებს, რაც „ჰოქსისთვის" დიდი დარტყმა იქნება"*, - ასეთი წინადადებით იწყება NBA-ს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული „ატლანტა"-"ორლანდოს" მატჩის მიმოხილვა. ტექსტი მიგვითითებს, რა როლი აქვს ზაზას „ქორებში". ამერიკულ ფორუმებზე მას ზოგი გმირს უწოდებს; ზოგი გაოცებულია - როგორ შეიძლებოდა თებერვალში მისი გაყიდვა (საბუთების მოგვარება სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რომ მოესწრო, ზაზას ახლა „ჰიუსტონის" მაისურა ეცმებოდა); ზოგს კი მისი თამაშის მანერა არ მოსწონს - ბინძურად მოთამაშე კალათბურთელები არ მიყვარსო.

ყველას ინდივიდუალური გემოვნება აქვს, თუმცა ფაჩულია არ ეთანხმება მათ, ვინც ბინძურად თამაშს აბრალებს. გავეცნოთ „ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც ფაჩულია-რიჩარდსონის დაპირისპირებას ეხება.

ზაზა ფაჩულია ჰოვარდზე დაჯარიმდა. სწორედ ამ ეპიზოდში მისკენ ჯეისონ რიჩარდსონი გაემართა, ქართველი შეტრიალდა, რასაც დიდი კონფრონტაცია მოჰყვა.

*- მას შემდეგ, რაც ჰოვარდზე დავჯარიმდი, სახეში მისი იდაყვი მომხვდა. მსაჯებს მხოლოდ იმას ვეუბნებოდი, რომ იდაყვი მომხვდა, რაც წესებით დაშვებული არ არის. მოულოდნელად ჯეისონ რიჩარდსონი მომიახლოვდა, არ ვიცი რა იფიქრა, მაგრამ უხეშად მელაპარაკებოდა და ამას მოჰყვა ის, რაც შემდეგ იხილეთ,* - იხსენებს ფაჩულია.

*ქართველი აცხადებს, რომ მეტოქისკენ თავის ჩასარტყმელად არ მიბრუნებულა:*

*- მეც ვუპასუხე. გავცვალეთ ერთი სიტყვა, მეორე, მესამედ ველარ მოვითმინე... იქნებ ემოციების მოთოკვა სჯობდა, მაგრამ მძიმე ვითარება იყო: ნერვიული, დაძაბული, ხალხი ყვიროდა და შესაძლებელი იყო, წამით თავის დაკარგვა. ასეთ მომენტში ბევრი ვერ შეძლებდა თავის შეკავებას, მით უმეტეს ჩემი ხასიათის ადამიანი.*

*არ შეიძლება, არ გავიხსენოთ 2008 წლის პლეი ოფში მომხდარი ინციდენტი ფაჩულიასა და გარნეტს შორის, რომლის დროსაც ეს კალათბურთელები ერთმანეთს თავებით შეეჭიდნენ.*

*მას მერე ფაჩულიას ატლანტელთა შორის ენერგიული, მებრძოლი კალათბურთელის რეპუტაცია აქვს, მეტოქეებში კი - ძალისმიერად მთამაშე ცენტრის. რეგულარული ეტაპის ბოლოს ჰიუსტონელ **კაილი ლოურის** ტუჩზე ექვსი ნაკერი დასჭირდა ფაჩულიას მიერ მიყენებული ტრავმის შემდეგ. ნამატჩევს ლოურიმ ქართველს ბინძურად მოთამაშე უწოდა.*

*- ვცდილობ, ბინძურად არ ვითამაშო. მოედანზე საჩხუბრად კი არა, კალათბურთის სათამაშოდ გავდივარ. თუმცა ზოგჯერ ისეთ სიტუაციაში ვხვდები, როცა არაფრის დათმობა არ შეიძლება. მეც უკან არ ვიხევ. განსაკუთრებით მაშინ, როცა უპატივცემლობას ვხედავ. ასეთია ჩემი ხასიათი, - დასძენს ზაზა, რომელმაც დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადა და 26 აპრილს ითამაშებს".*

# მანუს 18 მილანთან

**იტალია**

**მანუჩარ მარკოიშვილმა** ბევრი იშრომა, რათა მეორე ადგილის მოცილე „მილანთან" „კანტუს" სტუმრად მოეგო, მაგრამ ორი ქულა დააკლდა. მილანელებმა 75:73 გაიმარჯვეს. ამის მიუხედავად, კანტუელები მეორე ადგილს კვლავ ინარჩუნებენ, „მილანთან" შედარებით ერთით მეტი მოგება აქვთ (20). რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურია დარჩენილი.

მანუჩარი კანტუელთაგან საუკეთესო იყო: 23 წუთში 18 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა. მარკოიშვილმა 5 ორქულიანი, 6 სამიანი და 4 საჯარიმო ისროლა, რომელთაგან სამ-სამი ჩააგდო.

■ ■ ■

**ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა" შინ „მონტეპასკისთან" დათმო - 72:81.

ქართველმა ფორვარდმა 20 წუთში 2 ქულა, 4 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა.

**სლოვენია**

**გიორგი შერმადინისა** და **ვლადიმერ ბოისას** „ოლიმპიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურე ზდოვჩმა** პარასკევს გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. მისი ადგილი თანაშემწე **მირო ალილოვიჩმა** დაიკავა, თუმცა სლოვენიის ჩემპიონატში წარუმატებელი დებიუტი გამოუვიდა: „ოლიმპიამ" შინ წააგო კრკა-სთან - 61:71.

შერმადინმა 9 წუთში 4 ქულა, ამდენივე მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. ბოისა 10 წუთში 3 მოხსნას გამორჩა.

**ესტონეთი**

**გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკს" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალამდე ერთი მოგებალა დარჩა. მან მეორე ნახევარფინალური მატჩიც მოუგო ტტუ-ს - 81:70.

ცინცაძემ 27 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა გაიფორმა.

**გერმანია**

„ფენიქსთან" სტუმრად დამარცხდა **ლაშა გამყრელიძის** „გისენი" (73:83). ქართველი გამთამაშებელი განაცხადში არ იყო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლეგიონერები

# ოთხიდან სამმა მოიგო



კლერმონელები მარიო ლედესმას ემშვიდობებიან. მარცხნიდან მეორე დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდიდან სამმა მოიგო, ერთმა კი დასანანი მარცხი განიცადა. მიუხედავად ამისა, საპლეიოფო ექვსეული ჯერ გარკვეული არ არის. ცნობილია მხოლოდ იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც სხვებისგან მიუწვდომელნი არიან, „ტულუზი“ და „მეტრო რასინგი“.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო მდგომარეობა აქვს **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“, რომელმაც შინ დაამარცხა დივიზიონიდან უკვე გავარდნილი „ლა როშელი“ - 34:10. „ვულკანებმა“ მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და ერთი პრემიალური ქულა მიითვალეს.

ეს მატჩი „კლერმონისთვის“ წლეულს ბოლო საშინაო შეხვედრა იყო. ტრადიციისამებრ, თამაშის დასრულების შემდეგ, ქომაგებმა იმ მოთამაშეებს, ვინც გუნდს ტოვებს, გაცილება მოუწყვეს. წამსვლელთა შორის ერთ-ერთი არგენტინის ნაკრების შერკინების კვაჭი **მარიო ლედესმა** გახლდათ, რომლის სახელთანაც მჭიდროდაა კავშირში კლერმონელთა ბოლოდროინდელი წარმატებები.

მომდევნო, ბოლო ტურში „კლერმონი“, რომელიც 72 ქულით ახლა მესამე ადგილზეა, სტუმრად ეთამაშება გათამაშების ლიდერ „ტულუზს“. პლეი ოფში ადგილის მოსაპოვებლად ჩვენებურის გუნდს ერთი პრემიალური ქულაც ჰყოფნის, თუმცა თეორიულად შესაძლებელია ესეც არ დასჭირდეს.

ზირაქაშვილი „ლა როშელთან“ მატჩში 54-ე წუთიდან ჩაერთო და არბიტრმა 71-ე წუთზე გაასინბინა.

72 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც შინ დაამარცხა ბასკური „ბიარიცი“ - 16:13. კასტრელები თამაშის დასაწყისიდანვე აქტიურად ათამაშდნენ და საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. ჩვენებურთა გუნდი 50-ე წუთისთვის 16:3 იგებდა. ბასკებმა წაგების რეალური საშიშროება იგრძნეს და ტემპს უმატეს, თუმცა საბოლოოდ, მხოლოდ ანგარიშის სამ ქულამდე შემცირება მოახერხეს.

გიორგაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 70-ე წუთიდან ჩაერთო, ფეიქრიშვილი ტრავმირებულია. „კასტრი“ ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება უმოტივაციო „პერპინიანს“ და პლეი ოფში მოსახვედრად ერთი პრემიალური ქულაც ჰყოფნის.

ბოლოსწინა ტურში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“ შინ სწორედ „პერპინიანთან“ მოიპოვა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება - 43:12. კატალონიელებმა მასპინძლებს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს - 9:16., ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ, ტულონური მანქანა მთელი სიმძლავრით ამოქმედდა და სტუმრებს სამი ლელო გაუტანა. ტულონელებმა ამ გამარჯვებით საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა, რადგან 70 ქულა დაუგროვდათ და ბოლო ტურში, სტუმრად „მონპელიესთან“ ფრეც ხელს აძლევთ.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა და პლეი ოფში გასვლა სათუო გახადა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“. წლევანდელი სეზონის აღმოჩენამ, ამჯერად, სტუმრად წააგო **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივთან“- 21:23.

ალსანიშნავია, რომ ბრიველებისთვის ამ მატჩის შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა მასპინძლებმა მაინც ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს და მონპელიელებს გამარჯვება ხელიდან თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გამოჰგლიჯეს.

„მონპელიეს“ ახლა 67 ქულა აქვს და პლეი ოფში გასასვლელად შინ „ტულონის“ პრემიალური ქულით დამარცხება მართებს.

გორგოძემ სრულად ითამაშა, ჟღენტი 64-ე წუთზე შეცვალეს, სამი წუთის შემდეგ მოედანი ხინჩაგიშვილმაც დატოვა, კაკოვინი თამაშში, მარჯვენა ბურჯის პოზიციაზე, 55-ე წუთიდან ჩაერთო, შველიძეს, ჩხაიძესა და ნარიაშვილს არ უთამაშიათ.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“, რომელმაც დივიზიონში ადგილი წინა ტურში გამარჯვებით შეინარჩუნა, სტუმრად წააგო პარიზის „მეტრო რასინგთან“ - 34:51. ალსანიშნავია, რომ აჟენელებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს მატჩის პირველ ნახევარში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. პარიზელებმა შვიდი ქულით დაწინაურება ტაიმის მიწურულსღა შეძლეს - 20:13.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა მაინც იძალეს და მიღწეული გამარჯვებით პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს, შეყლაშვილმა სრულად ითამაშა.

**I დივიზიონი**

**XXV ტური**

კასტრი-ბიარიცი 16:13, მეტრო რასინგი-აჟენი 51:34, ბაიონი-სტად ფრანსე 54:20, კლერმონი-ლა როშელი 34:10, ტულუზი-ბურგუენი 33:0, ტულონი-პერპინიანი 43:12, ბრივი-მონპელიე 23:21

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 78 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 74, 3. კლერმონი - 72, 4. კასტრი - 72, 5. ტულონი - 70, 6. ბიარიცი - 68, 7. მონპელიე - 67, 8. ბაიონი - 67, 9. პერპინიანი - 63, 10. სტად ფრანსე - 49, 11. აჟენი - 46, 12. ბრივი - 46, 13. ლა როშელი - 33, 14. ბურგუენი - 5

**XXVI ტური**

პერპინინი-კასტრი, სტად ფრანსე-მეტრო რასინგი, ბიარიცი-ბურგუენი, ლა როშელი-ბაიონი, მონპელიე-ტულონი, აჟენი-ბრივი, ტულუზი-კლერმონი

ევროპის ჩემპიონატი, U-18



# საფრანგეთიდან ბრინჯაოს მედლებით

**საქართველო-გერმანია 40:0**

**საქართველო(15-9) აფციაური (ნიკოლავა 62), გიორგაძე (ნათელაშვილი 65), მჭედლიძე, შარიქაძე, ფრუიძე, ბასილაია, ხუციშვილი (თუთბერიძე 65). (1-8) თეთრაშვილი (ასათიანი 61), ხიდეშელი (ლომთაძე 39), ახობაძე (ჯიბლაძე 61), სორდია, მარდალეიშვილი, შუბითიძე, ოლქიაშვილი (მოსეშვილი 45), სუხაშვილი.**

**ნლ: ხუციშვილი, შარიქაძე, ახობაძე, მარდალეიშვილი, ბასილაია (2). 5გ: ხუციშვილი.**

საფრანგეთში დასრულდა 18-წლამდელ მორაგბეთა შორის ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც „პატარა ბორჯღალოსნებმა“ მე-3 ადგილისთვის მატჩში გერმანელი თანატოლები მშრალი ანგარიშით - 40:0 დაამარცხეს.

ჩვენი მორაგბეების უპირატესობა მატჩის დასაწყისიდანვე გამოიკვეთა და მეტოქეს პირველ ტაიმში ოთხი უპასუხო ლელო გაუტანეს - 28:0, რითაც გამარჯვებულის ვინაობა შესვენებამდე გამოავლინეს. ლელოები მიითვალეს: **ვაჟა ხუციშვილმა, მერაბ შარიქაძემ, ვახტანგ ახობაძემ** და **ნოდარ მარდალეიშვილმა.**

მეორე ტაიმში ჩვენმა ბიჭებმა მონაგარს კიდევ ორი ლელო შემატეს. ორივე მგეზავი **გიორგი ბასილაიას** ანგარიშზეა. ექვსი ლელოდან ხუთი ვაჟა ხუციშვილმა გარდასახა.

ევროპის ჩემპიონი შოტლანდიის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში იტალიის გუნდს მოუგო - 17:12. ალსანიშნავია, რომ რუსეთის ნაკრებმა ბოლო ადგილი დაიკავა და მომავალ წელს დივიზიონის დატოვება მოუწევს. მის ნაცვლად ითამაშებს მეორე დივიზიონის გამარჯვებული ესპანეთი.

| ევროპის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **VII ადგილისთვის** | |
| რუმინეთი-რუსეთი | 11:3 |
| **V ადგილისთვის** | |
| პორტუგალია-ბელგია | 10:5 |
| **III ადგილისთვის** | |
| საქართველო-გერმანია | 40:0 |
| **ფინალი** | |
| შოტლანდია-იტალია | 17:12 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1.შოტლანდია, 2. იტალია, 3. საქართველო, 4. გერმანია, 5. პორტუგალია, 6. ბელგია, 7. რუმინეთი, 8. რუსეთი.

ზე რაგბი

# ერთი მსახიობის, კუპერის თეატრი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზე რაგბის გათამაშების მე-10 ტური ყველაზე საინტერსო გამოდგა. წლევანდელ გათამაშებაში ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია შეინიშნება, ბოლო დროის ალიარებულმა ლიდერებმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ პოზიციები დათმეს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ მე-10 ტურში ორივემ წააგო.

„ბლუ ბულზი“ სტუმრად ეთამაშა A ჯგუფის მეოთხეადგილოსან პერთის „ფორსს“ და მიუხედავად იმისა, რომ მატჩის განმავლობაში სულ წინ იყო ანგარიშში, მაინც დამარცხდა - 21:26. მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება 62-ე წუთისთვის შეძლეს - 18:18 და დასკვნით 18 წუთში მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს. ფორსელთაგან მატჩის გმირი **ჯეიმზ ოკონორი** გახდა, რომელმაც გუნდს 21 ქულა მოუტანა (შვიდი საჯარიმო).

ტურის ცენტრალური შეხვედრა A ჯგუფის ლიდერების, ბრისბენის „რედსისა“ და სიდნეის „ვორათაზის“ დაპირისპირება იყო. „წითლებმა“ ეს მატჩიც ალმავლობით ჩაატარეს და 19:15 მოიგეს. თამაში ერთი მსახიობის თეატრს დაემსგავსა, რადგან ბრისბენელებს ყველა, ცხრამეტივე ქულა მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მოუტანა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა, სამი საჯარიმო და ერთი არეკნი). ასევე ყველა, 15 ქულაა სიდნეელთა მგეზავის ქართლი ბეილის ანგარიშზე (ხუთი საჯარიმო).

B ჯგუფში ერთ-ერთმა ლიდერმა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ შინ წააგო უახლოეს მდევარ დანიდინის „ჰაილენდერზთან“ - 18:26. მასპინძლებს ტრავმის გამო ორი ლიდერი, მესამეხაზელი **რიჩი მაქკოუ** და მგეზავი **დენ კარტერი** აკლდათ.

თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა ლიდერების არყოფნა ქრაისთჩერჩელებს აშკარად ეტყობოდათ. სტუმრებს კი გარემარბის **ჯეიმზე პეტერსონის** ბრწყინვალე თამაშმა მოაგებინა, რომელმაც ორი ლელო გაიტანა.

B ჯგუფის ლიდერმა ოქლენდის „ბლუზმა“ შინ დაამარცხა „მელბურნ რებლზი“ - 40:23. მასპინძელთა რიგებში კვლავ საუკეთესო იყო **რენე რენჯერი**, რომელმაც, ისევე როგორც წინა ტურში, ორი ლელო გაიტანა. სულ კი ოქლენდელებმა ექვსი ლელო მიითვალეს.

C ჯგუფის ლიდერი კეიპთაუნის „სტორმერზი“ ისვენებდა. მეორეადგილოსანმა დურბანის „ნატალ შარქსმა“ შინ დაამარცხა ველინგთონის „ჰარიკენზი“ - 40:24.

ალსანიშნავია, რომ სტუმრებმა პირველი ტაიმი 18:13 მოიგეს, თუმცა კეიპთაუნელებმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ბოლო 20 წუთში მაინც მოახერხეს. მათ ხუთი ლელო გაიტანეს, რომელთაგან ორი გარემარბმა **ლუაზი მვოვომ** მიითვალა.



ბურთით ქუადე კუპერი

**X ტური**

რედსი-ვორათაზი 19:15, ფორსი-ბლუ ბულზი 26:21

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 39 ქულა, 2. ვორათაზი - 28, 3. ბრამბიზი - 21, 4. ფორსი - 20, 5. მელბურნ რებლზი - 19.

**B ჯგუფი**

ბლუზი-მელბურნ რებლზი 40:23, კრუსეიდერზი-ჰაილენდერზი 18:26

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუზი - 39 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 35, 3. ჰაილენდერზი - 34, 4. ჩიფსი - 21, 5. ჰარიკენზი - 18.

**C ჯგუფი**

ნატალ შარქსი-ჰარიკენზი 40:24, ლაიონზი-ჩიფსი 30:34

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 37 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 34, 3. ბლუ ბულზი - 22, 4. ჩიტაზი - 15, 5. ლაიონზი - 10.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge


ბოსტონმა ნიქსთან გაისეირნა

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ბოსტონი პირველი გავიდა

გასულ უქმეებზე „ბოსტონ სელტიქსი" გახდა პირველი გუნდი, რომელმაც სხვებზე ადრე მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება. იგივეს გაკეთება შეეძლოთ „ჩიკაგოსა" და „მაიამის", მაგრამ მათ ერთი მატჩით გაახანგრძლივეს თავიანთი სერიები.

**აღმოსავლეთი**

**ნიუ იორკი–ბოსტონი 96:113**

**20:27, 24:25, 19:34, 33:27**

ნ-ი: უილიამსი (17), ენტონი (15+11 მოხსნა+6 პასი), დუგლასი (15), ჯეფრიზი (12), მეისონი (10), უოკერი (7), სტაუდმაიერი (7), ტურიაფი (5), კარტერი (4), ფილდსი (2).

ბ: პირსი (38), ალენი (32), რონდო (15+ 20 პასი+11 მოხსნა), გარნეტი (9+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრინი (9), ჯ. ო'ნილი (6), დევისი (4).

**ნიუ იორკი–ბოსტონი 89:101**

**23:29, 15:26, 34:27, 17:19**

ნ-ი: ენტონი (32+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (19+12 მოხსნა), კარტერი (11), დუგლასი (6), მეისონი (6), უილიამსი (6), უოკერი (5), ტურიაფი (3), ფილდსი (1).

ბ: გარნეტი (26+10 მოხსნა), რონდო (21+12 პასი+5 მოხსნა), ალენი (14+5 პასი), დევისი (14+5 მოხსნა), პირსი (13+3 ჩაჭრა), გრინი (5+7 მოხსნა), კრსტიჩი (4), ჯ. ო'ნილი (2+6 მოხსნა), უესტი (2).

**სერია: 0-4**

როგორც გახსოვთ, პირველი ორი საშინაო შეხვედრის მოგება „ბოსტონს" ძალიან გაუჭირდა - ორივეჯერ ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა, როცა ერთადერთი ზუსტი ტყორცნით ნებისმიერ გუნდს შეეძლო გამარჯვების მოპოვება. შესაბამისად, „მედისონ სკვერ გარდენში" დაძაბული ბრძოლის გაგრძელებას ელოდნენ, მაგრამ ნიუიორკულ პუბლიკას იმედგაცრუება ელოდა.

მესამე შეხვედრაში „ბოსტონმა" თავიდანვე მიხედა საქმეს. 9:0, 18:5 - ასეთი იყო სტუმრების საწყისი გაქცევა, რასაც მეორე მეოთხედში „ნიქსის" დროებითი გამოცოცხლება მოჰყვა, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოსთვის მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო - „სელტიქსის" უპირატესობა 23 ქულას შეადგენდა.

„ნიუ იორკი" ორ საშინაო შეხვედრას დიდი პრობლემებით შეხვდა: **ბილაპსმა** ორივე მატჩი გამოტოვა, **სტაუდმაიერს** ზურგის არეში ტკივილები აწუხებდა, ამას კი ისიც დაემატა, რომ მესამე მატჩში **კარმელო ენტონი** ვერ აგდებდა (16-დან მხოლოდ ოთხი ზუსტი ტყორცნა). „ბოსტონის" ბრწყინვალე ოთხეულმა კი ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა: **რონდომ** 20 (!) პასით (ორით მეტი გადაცემა, ვიდრე მეტოქის ყველა კალათბურთელმა) სამმაგი დუბლი შეასრულა, **რეი ალენმა** დაამტკიცა, რომ ისტორიაში ყველაზე კარგად ისვრის სამქულიანებს - 11-დან 8 ზუსტი შორეული ტყორცნა, **პირსმა** კი თამაშიდან 19-ჯერ ისროლა და 14 ზუსტად. **გარნეტიც** შესანიშნავად გამოიყურებოდა. ამ კვარტეტმა ერთად 94 ქულა დააგროვა - „ნიუ იორკზე" ორით ნაკლები.

მეოთხე მატჩში „ბოსტონმა" კიდევ უფრო ადრე მოიპოვა კომფორტული უპირატესობა - დიდ შესვენებამდე 2 წუთითა და 15 წამით ადრე რონდოს საჯარიმოების შემდეგ სხვაობა 18 ქულას შეადგენდა. „ნიუ იორკმა" მესამე მეოთხედში გაიბრძოლა, როცა „ბოსტონმა" 438 წამის განმავლობაში თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდო, რითაც მეტოქე ძალიან ახლოს მიუშვა, მაგრამ იქვე რონდომ, ალენმა და პირსმა ზედიზედ ცხრა ქულა ჩააგდეს, რითაც გამარჯვებულის საკითხი მოხსნეს დღის წესრიგიდან.

„ბოსტონმა" ბოლო 30 წლის განმავლობაში მხოლოდ მესამედ მოიგო სერია „მშრალი" ანგარიშით. საინტერესო ისაა, რომ წინა ორ შემთხვევაში (1980-81, 1985-86) „სელტიქსი" ტიტულს ეუფლებოდა. რაც შეეხება „ნიუ იორკს", ამ გუნდს პლეი ოფში 10 წელია არ მოუგია და ვერც ამჯერად შეწყვიტა ეს უსიამოვნო სერია.

**ინდიანა–ჩიკაგო 89:84**

**23:19, 26:14, 18:23, 22:28**

ი: გრეინჯერი (24+10 მოხსნა), ჰიბერტი (16+10 მოხსნა), პრაისი (10), ჯორჯი (9+5 მოხსნა), დანლივი (7), კოლისონი (6), მაკრობერტსი (6), ჯონსი (5), ჰენსბრო (4), ფოსტერი (2).

ჩ: ნოა (21+14 მოხსნა), დენგი (16), ბუზერი (15+13 მოხსნა), როუზი (15+10 პასი), კორვერი (9), ტომასი (4), ბრიუერი (2), უოტსონი (2).

**სერია: 1-3**

ხანდახან თვით **დერიკ როუზსაც** არ გამოსდის თამაში. შეიძლება ვინმეს ეს უაზრო შეფასებად მოეჩვენოს, რადგან ამ მატჩში „ჩიკაგოს" ლიდერმა 15 ქულითა და 10 შედეგიანი პასით ორმაგი დუბლი შეასრულა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ როუზმა თამაშიდან 22-ჯერ ესროლა და მხოლოდ 27-პროცენტიანი რეალიზაცია ჰქონდა. ამ წაგებით „ჩიკაგოს" ბევრი არაფერი დააკლდება - 1:3-დან „ინდიანა" ვერ შეძლებს სერიის გადარჩენას.

როუზის პრობლემები პირველივე მეოთხედში დაიწყო, როცა უწყინარ სიტუაციაში მარცხენა ფეხი გადაუბრუნდა და ექიმებისკენ გაემართა. როცა გამთამაშებელი მოედანზე დაბრუნდა, „ინდიანას" უკვე მოწყობილი ჰქონდა 15:1 გაქცევა, ყველაზე დიდი სხვაობა კი 18 ქულას შეადგენდა (ყველაზე დიდი ორივე გუნდისთვის მთლიანად სერიაში). ასეთი ჩამორჩენის მიუხედავად, „ჩიკაგომ" კინაღამ მოიგო ეს მატჩი, უბრალოდ იღბალი არ ეყო სერიის „მშრალი" ანგარიშით დასასრულებლად. საფინალო სირენამდე 38.9 წამით ადრე როუზმა ბურთი ჩაჭრა და თავად გაიქცა სწრაფ შეტევაში - 81:84. ამის შემდეგ გუნდებმა სამ-სამი ქულა გაცვალეს და ბოლო შეტევის უფლება სტუმრებს ჰქონდათ, რომლებსაც სამქულიანი სჭირდებოდათ თამაშის ოვერტაიმში გადასაყვანად. მაგრამ „ჩიკაგომ" სასროლად **დენგის**, **კორვერის** ან როუზის გაყვანა ვერ მოახერხა. სროლამ **ბუზერს** მოუწია. რა გასაკვირია, რომ მძიმე ფორვარდმა ვერ ჩააგდო - ეს მისი პირველი ცდა იყო 2007 (!) წლის შემდეგ.

**ფილადელფია–მაიამი 86:82**

**28:16, 18:31, 18:19, 22:16**

ფ: ტერნერი (17+6 მოხსნა), უილიამსი (17), იგუოდალა (16), ბრენდი (15+11 მოხსნა), ჰოლიდეი (10+5 პასი), მიქსი (5), ჰოიესი (4+8 მოხსნა), იანგი (2).

მ: ჯეიმსი (31+7 მოხსნა+6 პასი), უეიდი (22+8 მოხსნა+5 დაფარება+4 პასი+3 ჩაჭრა), ბოში (12), ჩელმერსი (9+4 ჩაჭრა), ჯონსი (5+6 მოხსნა), ენტონი (2+7 მოხსნა), ილგაუსკასი (1).

**სერია: 1-3**

„ჩიკაგოს" მსგავსად ვერც „მაიამიმ" მიბაძა „ბოსტონს" და ვერ მოიგო თავისი სერია „მშრალი" ანგარიშით. „ფილადელფიამ" კარის გაჯახუნება გადაწყვიტა და გამოუვიდა კიდეც. მასპინძელთა სერიოზული განწყობა დებიუტშივე გამოჩნდა, როცა მეტოქის შვიდი შეცდომის ხარჯზე და **ჰოლიდეის**, **ბრენდისა** და **იგუოდალას** მონდომებით 20:6 გაიქცნენ.

ასეთი სხვაობა ძალაში იყო მეორე მეოთხედის შუა ნაწილამდე, რის შემდეგაც **უეიდმა** და **ჯეიმსმა** ზუსტად ხუთ წუთში 16-ქულიანი კატასტროფული ჩამორჩენა 4-ქულიან უპირატესობად აქციეს. ცხადი იყო, რომ „მაიამი" მხოლოდ საკუთარი შეცდომებით თუ წააგებდა ამ შეხვედრას.

მეორე ტაიმში ფლორიდელები დიდად არ იტვირთავდნენ თავს და მორიგ შტურმს მატჩის ბოლოსთვის ინახავდნენ. ასეთი სპურტი მართლაც შედგა და საფინალო სირენამდე წუთითა და 35 წამით ადრე „ჰიტი" 6 ქულით დაწინაურდა. თითქოს „ფილადელფიასთვის" სეზონი ამ მატჩის შემდეგ უნდა დასრულებულიყო.

მაგრამ „სიქსერზმა" არ მოისურვა ნაადრევად შვებულებაში გასვლა. **ტერნერმა** და **ჰოლიდეიმ** ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდეს, უეიდმა ააცილა და უილიამსის შორეული ტყორცნის შემდეგ რვა წამით ადრე „ფილადელფია" წინ გავიდა. ოვერტაიმის მისაღწევად „მაიამის" ორქულიანი სჭირდებოდა, მაგრამ ლებრონის ნასროლს ბრენდმა თითი გაჰკრა და თავისიანებს პირველად მოაგებინა.

**ატლანტა–ორლანდო 88:84**

**25:25, 26:17, 15:20, 22:22**

ა: კროუფორდი (23), ჯონსონი (21+5 პასი), სმიტი (15+10 მოხსნა), ჰორფორდი (13+7 მოხსნა), ჰაინრიხი (8), ფაჩულია (4+5 მოხსნა), კოლინზი (2), უილიამსი (2).

ო: ჰოვარდი (21+15 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (14+9 მოხსნა), ნელსონი (13+10 პასი), ბასი (10), თურქოგლუ (9), კ. რიჩარდსონი (9), რედიკი (8).

**ატლანტა–ორლანდო 88:85**

**25:17, 21:20, 20:24, 22:24**

ა: კროუფორდი (25+6 პასი), ჯონსონი (20+9 მოხსნა), ჰორფორდი (14+12 მოხსნა), ჰაინრიხი (14), სმიტი (9+10 მოხსნა+5 პასი), კოლინზი (2), უილიამსი (2), პაუელი (2).

ო: ჰოვარდი (29+17 მოხსნა), არენასი (20), ბასი (11), კ. რიჩარდსონი (7), ნელსონი (6+6 პასი), თურქოგლუ (6+6 მოხსნა), ანდერსონი (4), რედიკი (2).

**სერია: 3-1**

# გენიალური პოლი, ფანტასტიკური როი

დასავლეთში თითქმის ყველა სერიაში დიდი ბრძოლა მიდის, გამონაკლისი მხოლოდ „ოკლაჰომასა" და „დენვერის" წყვილია, სადაც „თანდერს" „მშრალი" ანგარიშით მოგების შანსი აქვს.

**დასავლეთი**

**ნიუ ორლეანი–ლეიკერსი 86:100**

**23:30, 19:21, 26:24, 18:25**

ნ-ო: ლენდრი (23), პოლი (22+8 პასი), ოკაფორი (15+8 მოხსნა), არიზა (12+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), სმიტი (6), ბელინელი (5), ჯეკი (2), მბენგა (1).

ლ: ბრაიანტი (30+6 მოხსნა), პ. გასოლი (17+10 მოხსნა), ბინუმი (14+11 მოხსნა), ოდომი (13+9 მოხსნა), ფიშერი (10+5 პასი), არტესტი (9), ბლეიკი (3), ბრაუნი (2), ბარნსი (2).

**ნიუ ორლეანი–ლეიკერსი 93:88**

**22:25, 27:20, 20:22, 24:21**

ნ-ო: პოლი (27+15 პასი+13 მოხსნა), არიზა (19+6 მოხსნა), ლენდრი (16+7 მოხსნა), ბელინელი (7), გრეი (7), ოკაფორი (6+6 მოხსნა), ჯეკი (5), გრინი (4), მბენგა (2).

ლ: ბრაიანტი (17+8 პასი+6 მოხსნა), პ. გასოლი (16), არტესტი (16), ბინუმი (11+9 მოხსნა), ფიშერი (10), ოდომი (6), ბლეიკი (6), ბრაუნი (6).

**სერია: 2-2**

ამ გუნდებმა ნიუ ორლეანშიც გაცვალეს გამარჯვებები და ლოს ანჯელესში თანაბარი ანგარიშით ბრუნდებიან. მესამე შეხვედრაში ჩრდილიდან გამოვიდნენ **ბრაიანტი** და **პაუ გასოლი**. სწორედ მათ გადაწყვიტეს ამ მატჩის ბედი თავიანთი გუნდის სასარგებლოდ. ბოლო მეოთხედში მასპინძლებს ჰქონდათ გადარჩენის შანსი, როცა ხუთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ გასოლის შვიდი ქულისა და **ბლეიკის** სამქულიანით ანგარიში 85:71 გახდა. ამით შეხვედრას საბოლოოდ დაეკარგა ინტრიგა.

საერთოდ, ამ სერიაში ასეთი ტენდენციაა: თუ „ლეიკერსი" ახერხებს „ჰორნეტსის" ლიდერის **კრის პოლის** შეჩერებას, მაშინ იოლად იგებს შეხვედრას, სხვა შემთხვევაში განწირული ჩანს. ასე მოხდა მეოთხე შეხვედრაში. პოლმა გენიალური თამაში აჩვენა და პლეი ოფში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. საფინალო სირენამდე 9.3 წამით ადრე **ჯარეტ ჯეკმა** პოლის პასით გამოიჩინა თავი - 90:86. „ლეიკერსმა" საპასუხო შეტევისთვის წამზე ნაკლები დახარჯა - **ფიშერის** გრძელი პასის შემდეგ გასოლმა ჩატენა. შემდეგ „ლეიკერსი" ჯეკზე დაჯარიმდა და ამ უკანასკნელმა ორი თავისუფალი ჩააგდო, რითაც მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

**მემფისი–სან ანტონიო 91:88**

**29:20, 23:22, 19:24, 20:22**

მ: რენდოლფი (25+5 მოხსნა), მ. გასოლი (17+9 მოხსნა), კონლი (14+8 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაიო (10), არტური (9+6 მოხსნა), ბატიე (9), იანგი (5), ალენი (2).

ს-ა: ჯინობილი (23+5 პასი), პარკერი (16+5 პასი), დანკანი (13+11 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), ჰილი (11), მაკდაისი (8+10 მოხსნა), ბონერი (5), ჯეფერსონი (4), ნილი (4), ბლეირი (4).

**სერია: 2-1**

თუ გახსოვთ, რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს, „მემფისის" დამრიგებელმა **ლაიონელ ჰოლინზმა** ისე გათვალა ყველაფერი, რომ პლეი ოფის პირველ წრეში „სან ანტონიოს" შეხვედროდა. ამის გამო „დათვების" დამრიგებელმა ირონიული კრიტიკა დაიმსახურა. მაგრამ ახლა კრიტიკა აღფრთოვანებით შეიცვალა, რადგან „მემფისის" თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მასპინძლები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, თუმცა მათი უპირატესობა ათ ქულას არ გასცდენია. სიტუაცია მეოთხე მეოთხედის სტარტზე გამწვავდა, როცა სტუმრებმა 10:0 გაქცევა მოაწყვეს და ანგარიში 75:75 გახდა. მასპინძლებს ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ.

ქულა ქულაში მიმდინარე თამაშის ბედი **ზაკ რენდოლფმა** გადაწყვიტა. საფინალო სირენამდე 42 წამით ადრე („მემფისი" ორი ქულით იყო წინ), მძიმე ფორვარდმა სამქულიანის ხაზთან მიიღო ბურთი - თავისუფალი პარტნიორი ვერ მონახა, შეტევისთვის კი მხოლოდ ოთხი წამი რჩებოდა - ზაკმა გარისკა და საერთოდ პლეი ოფში თავისი პირველი სამქულიანი ჩააგდო!

„სპურსმა" ასეთ სიტუაციაშიც მონახა გადარჩენის შანსი, მაგრამ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა - სტუმრებმა 7 წამით ადრე რენდოლფის აცილების შემდეგ (88:91-ზე) ფარქვეშ მოხსნეს ბურთი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ტაიმ-აუტი მოეთხოვათ, შეტევაში გაიქცნენ და **ჯინობილიმ** სროლაც კი ვერ მოასწრო.

**დენვერი–ოკლაჰომა 94:97**

**31:26, 18:30, 24:15, 21:26**

დ: სმიტი (15+6 მოხსნა), ნენე (15+10 მოხსნა), მარტინი (15+7 მოხსნა), აფლალო (13), ანდერსენი (13), ლოუსონი (8), გალინარი (6), ფელტონი (6), ჩენდლერი (4).

ო: დურანტი (26+6 პასი), უესტბრუკი (23+9 მოხსნა+8 პასი), იბაკა (22+16 მოხსნა+4 დაფარება), ჰარდენი (10), კოლისონი (5), სეფოლოშა (4), კუკი (3), მოჰამედი (2+5 მოხსნა), პერკინსი (2).

**სერია: 0-3**

ამ სერიაში ყველაზე დიდ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთიდან პირველი მეოთხედფინალისტი სწორედ ამ წყვილიდან გახდება ცნობილი.

რა თქმა უნდა, „დენვერი" ბოლომდე იბრძვის და ახლოსაც იყო მესამე მატჩში გამარჯვებასთან. ამ შეხვედრას ფანტასტიკური ფინალი გამოუვიდა. არადა, 49 წამით ადრე „ოკლაჰომა" 10 ქულით იყო წინ და თითქოს ინტრიგა აღარ არსებობდა. მაგრამ მასპინძლებმა 34 წამში 10 ქულა ჩააგდეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს - 94:95! მატჩის გმირი **იბაკა** გახდა, ვინც **დურანტის** პასის შემდეგ ჩატენა და სწორედ ეს აღმოჩნდა გამარჯვების მომტანი ორქულიანი. საპასუხო შეტევაში **სმიტმა** სამქულიანი ისროლა, მაგრამ ააცილა და „ოკლაჰომამ" მესამე შეხვედრაშიც გაიმარჯვა.

**პორტლენდი–დალასი 84:82**

**11:16, 24:21, 14:30, 35:15**

პ: როი (24+5 პასი), ოლდრიჯი (18+6 მოხსნა), მილერი (14), მეტიუზი (11), ულასი (10+11 მოხსნა), ბატუმი (5), ფერნანდესი (2).

დ: ნოვიცკი (20), ტერი (13), მერიონი (12+11 მოხსნა), კიდი (9+5 მოხსნა), სტივენსონი (8), სტოიაკოვიჩი (8), ჩენდლერი (6+7 მოხსნა), ბარეა (4), ჰეივუდი (2).

**სერია: 2-2**

მიმდინარე პლეი ოფში ბევრი საინტერესო მომენტი ვიხილეთ, მაგრამ ის, რაც პორტლენდელმა **ბრენდონ როიმ** სერიის მეოთხე მატჩში გააკეთა, სხვა ვარსკვლავების ნებისმიერ გმირობას ჩრდილავს. „პორტლენდმა" მოიგო შეხვედრა, რომელსაც ბოლო შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე 23 ქულით აგებდა.


პოლი გენიალურად თამაშობს

როიმ ბოლო მეოთხედში 18 ქულა დააგროვა. ბოლო სამი წუთი პორტლენდელმა გულშემატკივრებმა ბრენდონის შოუს ფეხზე ამდგარი უყურეს. მისი ფანტასტიკური სამქულიანის შემდეგ საფინალო სირენამდე წუთითა და 6 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა (მანამდე იყო გაქცევა, რომელშიც მთავარი როლი ასევე როიმ ითამაშა). შემდეგ შეტევაში **ტერიმ** ააცილა და კვლავ როიმ წინ გაიყვანა „პორტლენდი". საპასუხო შეტევაში **კიდმა** სამქულიანი ისროლა და ფარამდეც ვერ მიაღწია, მასპინძლებმა ბოლომდე გაითამაშეს ბურთი და როიმ შორიდან გაისროლა - ამჯერად არაზუსტად. სამი წამი დასჭირდა კიდს იმისთვის, რომ ტერიმდე მიეტანა ბურთი. ამ უკანასკნელის სამქულიანი შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო, რაც დიდი უსამართლობა იქნებოდა. დალასელმა ააცილა და სერიაში ანგარიში გათანაბრდა.

„ბლეიზერსი" მესამე გუნდი გახდა NBA-ის ისტორიაში, რომელმაც მოიგო პლეი ოფის მატჩი მაშინ, როცა მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 18 ქულით იყო ჩამორჩენილი. მომხდართან დაკავშირებით ყველაზე კარგი კომენტარი „პორტლენდის" ფორვარდ **ჯერალდ უოლასს** ჰქონდა: *„როცა მკითხავენ, რას ვაკეთებდი ამ ისტორიული მატჩის მეოთხე მეოთხედში, ვუპასუხებ: „კუთხეში ვიდექი, პირი მქონდა ღია და „ბრენდონ როის შოუს" ვუცქერდი"*.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ტურნირების წინ



მიუნხენშიც მანქანა თამაშდება

# ჯოკოვიჩი იწყებს

ამ კვირას წამყვან ჩოგბურთელებს დასვენების საშუალება ეძლევათ - მასტერსები და პრემიერ კატეგორიის ტურნირები არ იმართება. მიუხედავად ამისა, გუშინდელი დღიდან არაერთი ვარსკვლავი ჩაება ბრძოლაში. მაგალითად, გრუნტის სეზონს იწყებს წლის ლიდერი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

### ATP

### BMW Open

მიუნხენი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 500 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა***: მიხაილ იუჟნი, სტანისლას ვავრინკა, მარინ ჩილიჩი, მარკოს ბაღდატისი, ფლორიან მაიერი, სერგეი სტახოვსკი, ნიკოლაი დავიდენკო, ფილიპ კოლშრაიბერი...

პირველად ეს ტურნირი შორეულ 1900 წელს გაიმართა, ასე რომ, შეჯიბრებას უკვე 111 წელი შეუსრულდა - იუბილე არ არის, მაგრამ რიცხვი ლამაზია.

შარშან აქ **მიხაილ იუჟნიმ** გაიმარჯვა - რუსმა მესამე ცდიდან მოიგო მიუნხენის ტურნირის ფინალი. ამჯერად იუჟნი პირველად ნომრად იქნება განთესილი და შეეცდება ტიტულის დაცვას. მაგრამ, ნესით, უნდა გაუჭირდეს ამის გაკეთება, რადგან ბოლო დროს იუჟნი ძალიან ცუდ ფორმაში იმყოფება.

ამის ფონზე ერთ-ერთ ფავორიტად ადგილობრივი **ფლორიან მაიერი** სახელდება. თუ წინა კვირას შტუტგარტში გერმანელმა **იულია გორჯესმა** შეძლო სენსაციის მოხდენა, რატომ არ შეიძლება იგივე მაიერმა გააკეთოს? მით უმეტეს, რომ 1974 წლიდან მოყოლებული აქ ოთხ გერმანელს გაუმარჯვია, მათ შორის ბოლო **ფილიპ კოლშრაიბერი** იყო 2009 წელს.

### Serbia Open

ბელგრადი (სერბეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 373 200 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა***: ნოვაკ ჯოკოვიჩი, ვიქტორ ტროიცკი, გილერმო გარსია-ლოპესი, ალბერტ მონტანიესი, ჯონ ისნერი...

პირველად ეს ტურნირი 2009 წელს ჩატარდა და ყველაფერი ისე კარგად იყო ორგანიზებული, რომ ATP-ის ხელმძღვანელობამ თამამად დატოვა შეჯიბრება კალენდარში.

მოქმედი ჩემპიონი ამერიკელი **სემ კუერი** გახლავთ, მაგრამ წელს, რა თქმა უნდა, ნოვაკ ჯოკოვიჩი მიიჩნევა მთავარ ფავორიტად. სერბი ორი ამერიკული მასტერსის (ინდიან უელსი, მაიამი) მოგების შემდეგ უბრუნდება კორტს და წელს პირველად თამაშობს გრუნტზე. შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი წელს ჯერაც დაუმარცხებელია - მისი მოგებათა სერია 2011 წელს 24 მოგებულ მატჩს უდრის, რამაც მას ხუთი ტიტული მოუტანა.

გამარჯვების ერთ-ერთ პრეტენდენტად უნდა მოვიხსენიოთ სერბეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი - **ვიქტორ ტროიცკი**.

### Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა***: რობინ სიოდერლინგი, ფერნანდო ვერდასკო, ჟო-ვილფრიდ ცონგა, ჟილ სიმონი, მილოშ რაონიჩი, ტომაშ ბელუჩი...

ეშტორილის ტურნირი ATP-ის პროგრამაში მხოლოდ 1990 წელს მოხვდა, მაგრამ სახელოვანი ისტორია აქვს. ამაში დავრწმუნდებით, თუ მის წინა ჩემპიონებს გავიხსენებთ - **ტომას მუსტერი, კარლოს მოია, ხუან-კარლოს ფერერო** და **როჯერ ფედერერი**...

წელს აქ ტურის წამყვანი მოთამაშეები ნაკლებად არიან წარმოდგენილი, თუმცა ამას თავისი უპირატესობაც აქვს - რთულია უდავო ფავორიტის მოძებნა. სანახაობრივი მხარე ამით მხოლოდ მოიგებს.

ბოლო დროს შვედი **რობინ სიოდერლინგი** ცუდად გამოიყურება, ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო** - უფრო უარესად და მხოლოდ ფრანგები - **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და **ჟილ სიმონი** იყვნენ სტაბილურები, ისიც ნაწილობრივ. ვინ დარჩება ამ ჯგუფიდან გამარჯვებული, ძალიან რთული მისახვედრია.

### WTA

### Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: ალისა კლებიანოვა, კლარა ზაკოპალოვა, ანასტასია სევასტოვა, ბეტანი მატეკი...

მამაკაცთა ტურნირის პარალელურად, ეშტორილში ქალებიც ითამაშებენ. ასე ხდება 1998 წლის შემდეგ. ევროპაში კიდევ ორ ქალაქში ტარდება პარალელური ტურნირები - რომსა და პარიზში.

შარშანდელი ჩემპიონი ყაზახი **ანასტასია სევასტოვაა**, რომელიც ტიტულის დაცვას აპირებს. მთავარ ფავორიტად კი რუსი **ალისა კლეიბანოვა** მიიჩნევა, თუმცა ასეთი დაბალი დონის ტურნირზე მოულოდნელობები ხშირად ხდება.

### Barcelona Ladies Open

ბარსელონა (ესპანეით). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: მარიონ ბარტოლი, ალექსანდრა დულგერუ, ცვეტანა პირონკოვა, ეკატერინა მაკაროვა, სარა ერანი, რობერტა ვინჩი...

ამჯერად ბარსელონას კორტები ქალ ჩოგბურთელებს დაეთმობათ. ერთი წლის წინ აქ **ფრანჩესკა სკიავონემ** გაიმარჯვა, რის შემდეგ როლან გაროსზე გააკვირვა ყველა, როცა კარიერაში პირველად მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი. იტალიელი ამჯერად პორტუგალიაში არ ჩასულა და იქნებ, ეშტორილში ახალმა ტრიუმფატორმა „გაისროლოს" როლან გაროსზე. თუმცა ამ ტრიუმფატორის პროგნოზირება რთული საქმეა, რადგან შემადგენლობა თანაბარია. ერთადერთი **მარიონ ბარტოლის** გამოყოფა შეიძლება.

# პორშე გერმანიაში დარჩა

გასული კვირის ორი უმსხვილესი ტურნირის ფინალში მამაკაცთა და ქალთა რეიტინგის პირველმა ნომრებმა მიიღეს მონაწილეობა. გერმანიის ქალაქ შტუტგარტში დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** ადგილობრივ ჩოგბურთელს **იულია გორჯესს** ხვდებოდა. თუ ვოზნიაცკის ტიტულების სიას გადავავლებთ თვალს, დანიელი ჰარდის სპეციალისტად მიიჩნევა, გრუნტზე კი არც ერთი გამარჯვება არ აქვს. ლაპარაკია ევროპულ გრუნტზე, თორემ ამერიკულ მწვანე გრუნტზე მან ცოტა ხნის წინ ჩარლსტონის ტურნირი მოიგო.

შტუტგარტში დანიელმა დაგვანახვა, რომ მაინც ძლიერია ტრადიციულ თიხნარზე. ამ სეზონში ის მეხუთედ გავიდა WTA-ის ტურნირის ფინალში. ამჯერად პირველი ნომრის მეტოქე იულია გორჯესი იყო, რომლის პერსპექტივებზე უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ და სწორედ შტუტგარტში შედგა მისი პროგრესი. რა თქმა უნდა, გერმანელს ძალიან გაუმართლა მეორე წრეში, როცა პირველი სეტი წააგო **ვიქტორია აზარენკასთან**, მაგრამ ბელარუსმა თამაში ველარ გააგრძელა. სამაგიეროდ, ნახევარფინალში **სამანტა სტოსურის** დამარცხება მთლიანად გორჯესის დამსახურებაა - მან ამ მატჩში შესანიშნავი შემტევი ჩოგბურთი აჩვენა.

ასეთივე სტილი აირჩია იულიამ ფინალში - მას მეტოქეზე სამჯერ მეტი ვინერსი დაუგროვდა და მართალია, უნებლიე შეცდომებიც მრავლად ჰქონდა, მაგრამ ხშირად ახვედრებდა მიზანში. პირველი სეტი არ ჰგავდა ქალთა ჩოგბურთს - მეტოქეები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს - მთელი სეტის განმავლობაში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ვოზნიაცკის ჰქონდა და ეს შანსი ვერ გამოიყენა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც იულია პრაქტიკულად არ ცდებოდა - 7:3.

გერმანელი მეორე სეტში თავიდანვე დაწინაურდა, რამაც დანიელის აშკარა ჩავარდნა გამოიწვია. გორჯესმა კომფორტული უპირატესობა მიიღო და სტარტზე მოპოვებული ბრეიკი სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. მართალია, ვოზნიაცკიმ რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ მატჩი ისე დაასრულა, რომ ერთხელაც ვერ მოიგო მეტოქის მოწოდება. მეორე პარტიის ანგარიშია - 6:3. გორჯესმა კარიერაში მეორე და „პრემიერ" კატეგორიის პირველი ტურნირი მოიგო.

ამ გამარჯვებისთვის გორჯესმა 110 ათასი ევრო და ბოლო მოდელის „პორშე" დაიმსახურა. იულიას ერთ-ერთმა პირველმა **ანკე ჰუბერმა** მიულოცა. ის გახლავთ ბოლო გერმანელი ქალი, ვინც ეს ტურნირი მოიგო. ეს 1991 წელს მოხდა.



გორჯესი სახლში პორშეთი წავიდა

### WTA

### Porsche Tennis Grand Prix

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**იულია გორჯესი (გერ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 5) 6:4, 3:6, 7:5; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 7:5, 6:3.

**ფინალი**

**იულია გორჯესი (გერ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 7:6(3), 6:3.

### Grand Prix De SAR

ფესი (მაროკო). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**სიმონა ჰალეპი (რუმ, 7)**-გრეტა არნი (უნგ, 4) 6:2, 6:1; **დინარა საფინა (რუს)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 6:4, 2:6, 6:4; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-მელანი იუდინი (აშშ) 7:5, 5:7, 6:0; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ნადია ლალამი (მარ) 6:0, 6:1.

**1/2 ფინალი**

**სიმონა ჰალეპი (რუმ, 7)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 7:5, 6:4; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-დინარა საფინა (რუს) უარი.

**ფინალი**

**ალბერტა ბრიანტი (იტა)**-სიმონა ჰალეპი (რუმ, 7) 6:4, 6:3.

# მეორე სერიაც ნადალმა მოიგო

**ვოზნიაცკისგან** განსხვავებით, კაცების რეიტინგის ლიდერმა მორიგი ტიტულის მოპოვების შანსი ხელიდან არ გაუშვა. **რაფაელ ნადალისა** და **დავიდ ფერერის** დაპირისპირება თანდათან გრუნტის კლასიკად გადაიქცა. წელს გრუნტის სეზონში ჯერჯერობით ორი დიდი ტურნირი გაიმართა და ორივეს ფინალში ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას დავიდი და რაფა მონაკოს მასტერსის გადამწყვეტ მატჩში არკვევდნენ ურთიერთობას და ორ სეტში ნადალმა გაიმარჯვა.

ისევე როგორც ერთი კვირის წინ მონტე კარლოში, აქაც ორივე ჩოგბურთელმა დამაჯერებლად გააღწია ფინალში. რაფაელ ნადალს ეტყობა, რომ თანდათან უმატებს თამაშს და სავარაუდოდ, მისი ფორმის პიკი როლან გაროსს დაემთხვევა. შეგახსენებთ, რომ ნადალმა ზედიზედ მეშვიდედ მოიგო მონტე კარლოს ტიტული და ასეთივე შედეგის მიღწევა შეეძლო ბარსელონაში, მაგრამ შარშან გამოტოვა ეს ტურნირი. სხვათა შორის, კატალონიის დედაქალაქში მოპოვებული ხუთი გამარჯვებიდან რაფამ ორ შემთხვევაში ფინალში სწორედ ფერერი დაამარცხა.

*„რაფა რობოტი არ არის და ისიც შეიძლება დამარცხდეს. რა თქმა უნდა, ის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეა გრუნტზე და მის დასამარცხებლად საუკეთესო, უშეცდომო ჩოგბურთის ჩვენება დამჭირდება. ახალი მატჩი წინას არასოდეს ჰგავს, ასე რომ, ყველაფერი კორტზე გაირკვევა"*, - განაცხადა ფერერმა მატჩის წინ.

მეოთხედფინალში დავიდმა ოდნავ იტკინა ფეხი **იურგენ მელცერთან** მატჩში, მაგრამ უკვე შემდეგ დღეს **ნიკოლას ალმაგროსთან** მატჩში შესანიშნავად გადაადგილდებოდა კორტზე. წესით, ჩოგბურთელებს დაღლილობაც უნდა დასტყობოდათ, რადგან ეს ფინალი მათთვის ბოლო ორ კვირაში რიგით მეათე მატჩი იყო.

სტარტზე ოდნავი შეფერხების შემდეგ ნადალმა შესანიშნავი ტემპი აიღო. მას უფრო კარგად გამოსდიოდა მიღებაზე თამაში. წინა კვირის ფინალისგან განსხვავებით, ფერერი იშვიათად ამარცხებდა მეტოქეს უკანა ხაზზე. ასე რომ, პირველმა სეტმა თითქმის უბრძოლველად ჩაიარა - 6:2 ნადალის სასარგებლოდ.

მეორე პარტიაშიც რაფაელმა წაიყვანა ანგარიში, მაგრამ დევიდმა ნაადრევად დანებება არ ისურვა. ის იბრძოდა და თანდათან მოიპოვა ინიციატივა. ნადალმა უკანა ხაზზე პასიური თამაში დაიწყო, რითაც კარგად ისარგებლა მისმა თანამემამულემ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფერერმა რამდენიმე „დაფარული" მატჩბოლი მიიღო, მაგრამ საჭირო მომენტში მიზანს აღწევდა პირველი ჩოგანის რისკიანი დარტყმები. ნადალმა თავიდან აიცილა ზედმეტი გართულება და ორ სეტში გაიმარჯვა - 6:2, 6:4.

ნადალმა ბარსელონაში ტიტული დაიბრუნა და აქ კარიერაში მეექვსედ გაიმარჯვა, დავიდმა კი მესამედ წააგო ფინალი. ATP-ის არაოფიციალურ საჩემპიონო რბოლაში ფერერი საპატიო მესამე ადგილს იკავებს - ის მხოლოდ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და ნადალს ჩამორჩება. ამ კვირას ეს ჩოგბურთელები ისვენებენ, შემდეგ კი რომისა და მადრიდის მასტერსებზე გამოსვლა უწევთ.

### ATP

### Open Sabadell Atlantico

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 1 550 000 ევრო

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-გაელ მონფილსი (საფ, 7) 6:2, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 6) 6:3, 6:3; **ივან დოდიგი (ხორ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:4, 2:6, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 8)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:3, 6:3.

**1/2 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 8) 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:3, 6:2.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:2, 6:4.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ბარსელონას პრიზი მძიმეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი


ჩიკაგომ მეშვიდე მატჩი გაინაღდა

# ჩიკაგოელთა სასწაული

„დეტროიტის“ შემდეგ კიდევ ორმა გუნდმა - „ვაშინგტონმა“ და „ნეშვილმა“ გაიფორმეს შემდეგ ეტაპზე თამაში. არნახულად საინტერესოდ მიმდინარეობს რეგულარულის ჩემპიონის „ვანკუვერისა“ და სტენლის თასის მფლობელის „ჩიკაგოს“ სერია. იქ ყველაფერს მეშვიდე მატჩი გადაწყვეტს.

### აღმოსავლეთი

| ფილადელფია-ბაფალო | 3:4 (ო) |
|---|---|

**0:3, 2:0, 1:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 ენისი-1 (რ.ნიდერმაიერი-3, ლეოპოლდი-1), 0:2 ვანეკი-3 (კალეტა-2, გოსტადი-2), 0:3 გრანიანი-1 (მიერსი-1, პომინვილი-3), 1:3 ვან რიმსდიკი-2 (მეზაროში-3, ჟირუ-3), 2:3 მეზაროში-1 (ო'დონელი-1, ჟირუ-4), 3:3 ბრიერი-3 (მ.რიჩარდსი-2, ვერსტიგი-3), 3:4 ენისი-2 (მ.უებერი-1, მონტადორი-1).

| ბაფალო-ფილადელფია | 4:5 (ო) |
|---|---|

**3:1, 1:2, 0:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 რ.ნიდერმაიერი-1 (ენისი-2, მიერსი-2), 2:0 ვანეკი-4 (მიერსი-3, გრანიანი-5), 2:1 ბრიერი-4 (ჰარტნელი-3, ლეინო-1), 3:1 ვანეკი-5 (მიერსი-4, გრანიანი-6), 3:2 ვან რიმსდიკი-3 (ჟირუ-5), 3:3 ბრიერი-5 (მეზაროში-4, ჟირუ-6), 4:3 გერბი-2 (კ. ბატლერი-1, რ. მილერი-1), 4:4 ჰარტნელი-1 (მ.რიჩარდსი-3, ჟერდიოვი-1), 4:5 ლეინო-2 (მ.რიჩარდსი-4, ვერსტიგი-4).

**სერია: 3-3**

უამრავი პრობლემის მიუხედავად, „ფილადელფიამ“ მეშვიდე მატჩამდე მიიყვანა ეს სერია და ბოლო თამაშში საკუთარ მოედანზე ეცდება „ბაფალოს“ წინააღმდეგობის დაძლევას. „ფილადელფიას“ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა საიმედო მეკარე - ყოველ მატჩს ამ გუნდში ახალი გოლკიპერი იწყებს და მას შეხვედრის მსვლელობისას ცვლიან. გარდა ამისა, „მფრინავები“ პრაქტიკულად ვერ იყენებენ რიცხობრივ უპირატესობას - მათ 26-დან ორჯერ გაითამაშეს ზედმეტი მოთამაშე. და კიდევ, მესამე მატჩში მათ აკლდათ **კრის პრონგერი** და **ჯეფ კარტერი**.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ბაფალოს“ შეეძლო შინ დაესრულებინა ეს სერია, მაგრამ არ გამოუვიდა. მასპინძლებს მესამე პერიოდში 4:3-ზე რომ გამოეყენებინათ უამრავი მომენტიდან თუნდაც ერთი, გუნდი უკვე მეოთხედფინალში იქნებოდა, ასე კი თამაში ოვერტაიმში გადავიდა და იქ „ფილადელფიამ“ კარგად ისარგებლა „ბაფალოს“ მცველების ერთადერთი შეცდომით.

სხვათა შორის, მეექვსე მატჩში ოთხნახევარი წუთი ითამაშა პრონგერმა, რომელიც მარჯვენა ხელზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ დაუბრუნდა ყინულს. როგორც ჩანს, „ფილადელფიას“ მწვრთნელები ამ მცველს მეშვიდე მატჩისთვის ამზადებდნენ.

| პიტსბურგი-ტამპა ბეი | 2:8 |
|---|---|

**0:2, 0:3, 2:3**

**გოლები:** 0:1 საიმონ განიე-1 (პურსელი-2, ლეკავალიე-3), 0:2 სტემკოსი-1 (დაუნი-2, ა. ჰოლი-1), 0:3 ლეკავალიე-2 (სტემკოსი-2, სენტ ლუისი-3), 0:4 საიმონ განიე-2 (მური-1, ლუნდინი-1), 0:5 სტემკოსი-2 (ბროუერი-4, სენტ ლუისი-4), 0:6 კუბინა-1 (პურსელი-3, მ-ა. ბერჟერონი-1), 0:7 კუბინა-2 (პურსელი-4, დაუნი-3), 1:7 რუპი-1 (კოვალიოვი-1, ტელბოტი-1), 2:7 კონერი-1 (ტელბოტი-2, ლეტანგი-4), 2:8 მური-1 (ბერგენჰაიმი-1, ტომპსონი-1).

**სერია: 3-2**

„ტამპა ბეის“ ფორვარდმა **სტივენ სტემკოსმა** გაიხსენა, რომ სეზონის პირველ ნაწილში ყველანაირი ბომბარდირული პრიზების მთავარი პრეტენდენტი იყო. სწორედ ამ მატჩში გახსნა მან პლეი ოფში თავისი გოლების ანგარიში და გარდა ამისა, **ვენსან ლეკავალიეს** გაატანინა.

პლეი ოფში მე-100 ქულა დააგროვა „პიტსბურგის“ რუსმა ვეტერანმა **ალექსეი კოვალიოვმა**, თუმცა მისი იუბილე დიდი ანგარიშით მარცხმა გააუფერულა.

| ვაშინგტონი-რეინჯერსი | 3:1 |
|---|---|

**1:0, 1:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 მაიკ გრინი-1 (ოვეჩკინი-3, ლეიჩი-3), 2:0 ოვეჩკინი-3 (ჰენანი-1, ლეიჩი-4), 3:0 სიომინი-3 (მ. იოჰანსონი-2, შტურმი-1), 3:1 ვოლსკი-1 (მაკეიბი-2, ეივერი-1).

**სერია: 4-1**

როცა „ვაშინგტონი“ „რეინჯერსთან“ სერიაში 3:1 დაწინაურდა, არავინ ჩქარობდა წინასწარ ამ გუნდისთვის წარმატების მილოცვას, რადგან „მონრეალთან“ შარშანდელი ფიასკო ახსოვდათ. მაგრამ დედაქალაქელებმა წარსულის გაკვეთილი გაითვალისწინეს და ამჯერად უპრობლემოდ გაალწიეს შემდეგ წრეში.

„რეინჯერსის“ შეტევა ძალიან უფერულად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ, კვლავ იმძლავრა „ვაშინგტონის“ ლიდერმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა**, რომელმაც გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა და სერია 6 ქულით (3+3) დაასრულა.

| ბოსტონი-მონრეალი | 2:1 (2ო) |
|---|---|

**0:0, 0:0, 1:1, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 მარშანი-1 (პ. ბერჟერონი-4, ტ. კაბერლე-2), 1:1 ჰალპერნი-1 (ელერი-2, დარში-1), 2:1 ჰორტონი-2 (ლუჩიჩი-1, ფერენსი-1).

**სერია: 3-2**

მეორე ოვერტაიმის მეექვსე წუთზე „მონრეალის“ ფორვარდები - **ტრევის მოენი** და **ბრაიან ჯონტა** ერთი მცველის წინააღმდეგ გავიდნენ, მაგრამ მეკარე **ტიმ ტომასმა** ფანტასტიკური ნახტომებით გადაარჩინა თავისი გუნდი, ცოტა ხანში კი კანადელთა მცველებმა მეკარის წინ მარტო დატოვეს **ჰორტონი** და მანაც „ბოსტონს“ გამარჯვება მოუტანა. „დათვებმა“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგეს და კარგი განწყობით დაბრუნდნენ მონრეალში, სადაც სერიის მეექვე მატჩი გაიმართება.

მატჩის გმირი **ტიმ ტომასი** გახდა, რომელმაც 44 დარტყმა მოიგერია, თანაც აქედან რამდენიმე ისეთი მომენტი იყო, როცა „ბოსტონის“ მეკარეს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა.

### დასავლეთი

| ანაჰაიმი-ნეშვილი | 3:4 (ო) |
|---|---|

**0:1, 1:0, 2:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 კლეინი-1 (ტუტუ-1, სპალინგი-1), 1:1 ჯეისონ ბლეიკი-1 (ს. კოივუ-4, სბისა-1), 2:1 რაიანი-3, 2:2 ჯ. უორდი-3 (ლეგვანდი-2), 3:2 ჯეისონ ბლეიკი-2 (სელიანე-1, ს. კოივუ-5), 3:3 შ. უებერი-3 (ფრანსონი-4, მ. ფიშერი-3), 3:4 სმიტსონი-1 (ტუტუ-2, სპალინგი-2).

| ნეშვილი-ანაჰაიმი | 4:2 |
|---|---|

**1:1, 1:1, 2:0**

**გოლები:** 0:1 სელიანე-6 (ს. კოივუ-6), 1:1 სპალინგი-1 (ტუტუ-3), 2:1 სალივანი-2 (დუმონი-1, ჯოფრიონი-2), 2:2 ჯ. ბლეიკი-3 (რაიანი-1, ვიშნოვსკი-3), 3:2 სპალინგი-2 (ტუტუ-4, რინე-1), 4:2 ლეგვანდი-2 (ჯ. უორდი-2).

**სერია: 4-2**

მეხუთე მატჩში „ანაჰაიმს“ 39 წამი არ ეყო გამარჯვების შესანარჩუნებლად და საბოლოოდ ოვერტაიმში წააგო, მეექვსე შეხვედრაში კი მესამე მეოთხედში ველარ გაძლო, ორი შაიბა გაუშვა და წააგო სერია.

ბოლო ორ მატჩში ძალიან არაპროდუქტიულები იყვნენ „ანაჰაიმის“ ლიდერები - **კორი პერი** და **რაიან გეტცლაფი**, რომლებმაც ერთი ქულაც ვერ მოუტანეს თავიანთ გუნდს. ცალკე აღნიშვნის ღირსია „იხვების“ სუპერვეტერანი **ტეემუ სელიანე**, რომელმაც ექვს მატჩში ექვსი გოლი გაუტანა „ნეშვილს“. რეგულარულის გათვალისწინებით, 40 წლის ფინელის მონაგარი 79 მატჩში 87 ქულაა (37+50)!

„ნეშვილმა“ კი არსებობის ისტორიაში პირველად მოიგო პლეი ოფის სერია.

| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1:3 |
|---|---|

**0:3, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 სიმონდსი-1 (კლიფორდი-2, სკუდერი-2), 0:2 კლიფორდი-3 (სიმონდსი-2, რიჩარდსონი-3), 0:3 პენერი-1 (უესტგარტი-2), 1:3 მარლო-2 (ვალინი-3, ჯ. ტორნტონი-2).

**სერია: 3-2**

„სან ხოსეს“ დიდი სურვილი ჰქონდა საკუთარ მოედანზე მეხუთე მატჩში დაესრულებინა ეს სერია, მაგრამ არ გამოუვიდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის „ლოს ანჯელესის“ მეკარე **ჯონათან კუიკს**, რომელმაც 60 წუთში 51 დარტყმა მოიგერია. ეს „კინგზის“ ახალი რეკორდია პლეი ოფის მატჩებში. „ზვიგენებს“ კი იმანაც შეუშალა ხელი, რომ საწყის 9 წუთში სამი შაიბა გაუშვეს და თამაშის შემოტრიალება ვერ მოახერხეს.

| ჩიკაგო-ვანკუვერი | 4:3 (ო) |
|---|---|

**1:2, 1:0, 1:1, 1:0**

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-5 (ჰ. სედინი-5, ბაროუზი-2), 1:1 ბიკელი-2 (ბოლანდი-4), 1:2 ბაროუზი-1, 2:2 ბოლანდი-2 (პ. კეინი-5), 2:3 ბიეკსა-1 (რეიმონდი-2, ბაროუზი-3), 3:3 ფროლიკი-2, 4:3 ბ. სმიტი-3 (ჰიალმარსონი-2, მარიან ჰოსა-3).

**სერია: 3-3**

სტენლის თასის მფლობელი სასწაულებს ახდენს. „ჩიკაგომ“ 0:3-დან შეძლო სერიაში ანგარიშის გათანაბრება და მართალია, ბოლო მატჩს სტუმრად ჩაატარებს, მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა აშკარად მის მხარეს იქნება. მეექვსე მატჩში მასპინძლები სამჯერ აგებდნენ და სამჯერ გაათანაბრეს ანგარიში, რის შემდეგაც შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა და იქ **ლუონგოს** მიერ ცუდად მოგერიებულ შაიბას **ბენ სმიტმა** დაამატა.

ოვერტაიმის ერთ-ერთი გმირი „ჩიკაგოს“ მეკარე **კორი კროუფორდი** გახდა, რომელმაც 12 დარტყმა მოიგერია. საერთოდ, ამ გოლკიპერს ბევრი სამუშაო ჰქონდა, რადგან კანადელებმა ჯამში 85 დარტყმა შეასრულეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### კალათბურთი

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ალიკანტე-გრან კანარია | 66:75 |
| ხუვენტუდი-ბარსელონა | 65:69 |
| ბილბაო-ფუენლაბრადა | 75:84 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ბეშიქთაში | 81:73 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ბელგრადი

| | |
|---|---|
| კამკე-კავჩიჩი | 6:7, 1:6 |
| ზვერევი-სელა | 7:6, 3:6, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-ნიშიკორი | 2:6, 6:2, 7:6 |

#### ATP. ესტორილი

| | |
|---|---|
| მაშადო-ჰანესკუ | 3:6, 3:6 |
| ანდერსონი-დე ბაკერი | 5:7, 6:3, 6:2 |
| შარდი-მანარინო | 6:4, 6:3 |

#### ATP. მიუნხენი

| | |
|---|---|
| იუჟნი-ბახინგერი | 7:5, 6:2 |
| სტახოვსკი-ისტომინი | 5:1 უარი |
| კენდრიკ-[illegible] | 4:6, 4:6 |
| ბაღდატისი-ბენეტო | 7:6, 6:3 |

#### WTA. ბარსელონა

| | |
|---|---|
| სოლერი-ვინჩი | 2:6, 3:6 |
| დულგერუ-კუკოვა | 6:1, 5:0 უარი |
| შვედოვა-ჩანგი | 6:3, 2:6, 6:2 |
| კრეიბასი-ამანმურადოვა | 6:3, 6:3 |
| ბარტოლი-რიბარიკოვა | 4:6, 1:6 |
| როდინა-კამერინი | 4:6, 5:7 |
| პარა სანტონხა-კაბესა | 3:6, 5:7 |

#### WTA. ესტორილი

| | |
|---|---|
| დე ლატრე-ლარსონი | 3:6 1:6 |
| მატეკი-ნიკულესკუ | 4:6, 7:5, 6:3 |
| კლეიბანოვა-გოვორცოვა | 6:2, 6:2 |
| როდიონოვა-კუდრიავცევა | 6:1, 6:7, 4:6 |
| ოპრანდი-ჟენგი | 6:4, 6:2 |
| პერვაკი-იოჰანსონი | 4:6, 3:6 |
| ვესნინა-ლუზი | 6:1, 6:1 |
| ჟანგი-დელაკუა | 2:6, 1:6 |

ცხელი ხაზი

### 26 აპრილი. სამშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-ტვენტე.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სოსიედადი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-პსჟ.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-მილანი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰანოვერი.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ტიგრე.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-ოკლაჰომა. IV მატჩი.
**14:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. სტად ფრანსე-კლერმონი.
**16:05** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიკოლას ალმაგრო-დავიდ ფერერი. ბარსელონა. ესპანეთი.
**18:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-ივან დოდიგი. ბარსელონა. ესპანეთი.
**20:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ინდიანა-ჩიკაგო. IV მატჩი.
**22:30** კონტაქტური კარატე. საქართველოს ჩემპიონატი.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-ოკლაჰომა. IV მატჩი.

#### I არხი

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. შალკე-მანჩესტერ იუნაიტედი. საპასუხო მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. შალკე-მანჩესტერ იუნაიტედი. პირველი მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიუნხენი. გერმანია (LIVE).

#### HTB-პლუსი (კალათბურთი)

**03:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ორლანდო-ატლანტა. V მატჩი (LIVE).

#### EUROSPORT

**13:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:30** ველოსპორტი. თურქეთის ტური. III ეტაპი (LIVE).
**17:30** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**13:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სკანდინაველთა არჩევანი

ორი სკანდინავიური გუნდის - შვედეთისა და ფინეთის ნაკრებების მწვრთნელებმა დაასახელეს შემადგენლობა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 29 აპრილს სლოვაკეთში დაიწყება.

შვედების რიგებში ჰოკეის ეროვნული ლიგის 9 მოთამაშეს ვხედავთ. ამ გუნდის განაცხადში არ არის სტენლის თასის გათამაშებიდან გამოვარდნილი „რეინჯერსის“ მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტი** - მას ჯერ არ დაუდასტურებია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში.

ფინეთის ნაკრებში NHL-დან წარმომადგენლობა უფრო მოკრძალებულია - მხოლოდ ხუთი ჰოკეისტი. აქედან ორი მცველია და სამი ფორვარდი.

შვედეთი C ჯგუფში ამერიკის, ნორვეგიისა და ავსტრიის ნაკრებებს შეხვდება. პირველ მატჩს „ტრე კრუნური“ 30 აპრილს ჩაატარებს ნორვეგიის წინააღმდეგ. ფინელები ამავე დღეს შეხვდებიან დანიას. ჯგუფში „სუომის“ კიდევ ორი მეტოქეა - ჩეხეთი და ლატვია.

### შვედეთი

**მეკარეები:** ვიქტორ ფასტი (აიკ), ანდერს ნილსონი (ლულეო), ერიკ ერსბერგი (სალავატ იულიაევი, კჰლ);

**მცველები:** ნიკლას გროსმანი (დალასი, NHL), ოლივერ ეკმან-ლარსონი (ფინიქსი, NHL), დავიდ პეტრასეკი, დანიელ ფერნჰოლმი (ორივე - დინამო მინსკი, კჰლ), დავიდ რუნდბლადი, ტიმ ერიქსონი (ორივე - შელეფტეო), კარლ გუნარსონი (ტორონტო, NHL), სტაფან კრონვალი (იურგორდენი);

**თავდამსხმელები:** მატიას ტედენბი (ნიუ ჯერსი, NHL), მარტინ ტორნბერგი (ჰვ 71), ლუის ერიქსონი, ტომ ვენდელი (ორივე - დალასი, NHL), მატიას სიოგრენი, რიკარდ ვალინი (ორივე - ფერიესტადი), პატრიკ ბერგლუნდი (სენტ ლუისი, NHL), ნიკლას პერსონი (ნეფტეხიმიკი, კჰლ), რობერტ ნილსონი (სალავატ იულიაევი, კჰლ), იაკობ სილფვერბერგი (ბრიუნესი), ჯიმი ერიქსონი (შელეფტეო), მიკაელ ბეკლუნდი (კალგარი, NHL), მაგნუს პააიარვი (ედმონტონი, NHL).

### ფინეთი

**მეკარეები:** პეტრი ვეჰამნენი (აკ ბარსი, კჰლ), ნიკო ჰოვინენი (ლაჰტი), ტეემუ ლასილა (ჰპკ);

**მცველები:** ლასე კუკონენი, იანე ნისკალა (ორივე - მეტალურგი მ, კჰლ), ტოპი იაკოლა (ლულეო, შვედეთი), სამი ლეპისტო (კოლამბუსი, NHL), პასი პუისტოლა (ჰვ 71, შვედეთი), ანსი სალმელა (ნიუ ჯერსი, NHL), იურკი ვიალივაარა (იუვიასკიულა), ოსი ვაანიანენი (იოკერიტი);

**თავდამსხმელები:** იარკო იმონენი, ნიკო კაპანენი, იანე პესონენი (ყველა - აკ ბარსი, კჰლ), იუჰამატი აალტონენი (მეტალურგი მ, კჰლ), მიკაელ გრანლუნდი, ვილე პელტონენი (ორივე - ჰიფკ), იანე ლაჰტი, პეტერი ნოკელაინენი (ორივე - იოკერიტი), ლეო კომაროვი (დინამო მ, კჰლ), იანი ლაიუნენი (სენტ ლუისი, NHL), მიკო კოივუ (მინესოტა, NHL), ანტი პილსტრიომი (იუვიასკიულა), მიკა პიუერიალია (ფრიოლუნდა, შვედეთი), ტუომო რუუტუ (კაროლინა, NHL).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტოსპორტი



ადამ მალიში

# მალიში დაკარს უმიზნებს

ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, პოლონელმა **ადამ მალიშმა** ამ სეზონის შემდეგ გადაწყვიტა კარიერის დასრულება, მაგრამ სახელოვანი ათლეტი არ აპირებს დიდი სპორტის მიტოვებას. მალიში 2012 წლის იანვარში ლეგენდარულ რალი-რეიდში - „დაკარში" აპირებს მონაწილეობის მიღებას.

*„ამაში უცნაური არაფერია - უკვე დიდი ხანია დაინტერესებული ვარ საავტომობილო სპორტით და „დაკარი" ჩემი ერთ-ერთი საყვარელი რბოლაა,* - ამბობს 33 წლის პოლონელი. - *დიდი ხნის განმავლობაში ტრამპლინიდან ხტომით ვიყავი დაკავებული, რასაც დიდი ენერგია მიჰქონდა, ამიტომაც ჩემი საავტომობილო ოცნებები რეალიზებული არ იყო. მხოლოდ რალის ტელევიზიით ცქერას ვახერხებდი".*

მალიშმა უკვე დაიწყო ვარჯიში - პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ სამხედრო პოლიგონზე ეუფლება სარბოლო ოსტატობას.

ადამ მალიში - პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენია. მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი ოქროს (2001, 2002, 2003, 2007) გარდა, მის ანგარიშზეა ოლიმპიადებზე ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. გარდა ამისა, პოლონელს მსოფლიოს თასის ეტაპებზე 39 პირადი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

● ამბები

**კალათბურთი**

## ევროლიგის ნომინანტები

ევროლიგის ხელმძღვანელობამ დაასახელა კალათბურთელები, რომლებიც წლევანდელი სეზონის მიხედვით პირველი და მეორე სიმბოლური ნაკრების შემადგენლობებს დააკომპლექტებენ. ნომინანტები გამოკითხვის შედეგად გამოავლინეს გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა.

წლის საუკეთესო ათი კალათბურთელის სია ასე გამოიყურება: **გამთამაშებლები** - დიმიტრის დიამანტიდისი („პანათინაიკოსი"), ჯერემი პარგო („მაკაბი"); **შემტევი მცველები** და **მსუბუქი ფორვარდები** - ხუან კარლოს ნავარო („ბარსელონა"), სერზიო ლიული („რეალი"), ვასილის სპანულისი („ოლიმპიაკოსი"), ფერნანდო სან ემეტერიო („კახა ლაბორალი"); **მძიმე ფორვარდები** და **ცენტრები** - დუშკო სავანოვიჩი („ვალენსია"), სოფოკლის შორცანდისი („მაკაბი"), კშიშტოფ ლავრინოვიჩი („მონტეპასკი"), მაიკ ბატისტი („პანათინაიკოსი").

პირველი და მეორე სიმბოლური ნაკრების წევრები და 2010-11 წლების სეზონის MVP ევროლიგის ტრადიციულ გალასალამოზე გამოცხადდება, რომელსაც 7 მაისს ბარსელონა უმასპინძლებს.

**ჩოგბურთი**

## ევერტმა ნააგო

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **კრის ევერტმა** ვერ შეძლო ამერიკის ღია პირველობის მიქსტში გამოსასვლელი უაილდ ქარდის მოპოვება. როგორც უკვე ვწერდით, ევერტი შესარჩევ ტურნირში ცნობილ რადიონამყვან **მაიკლ გრინბერგთან** ერთად გამოდიოდა, მაგრამ მეორე წრეში ნააგო **ბეა ბიელიკისა** და **დარინ კოენის** წყვილთან - 1:6, 4:6.

*„მაიკი ყოველთვის ოცნებობდა ამერიკის ღია პირველობაზე და მოხარული ვარ, რომ ვცადე ოცნების ასრულებაში დავხმარებოდი"*, - განაცხადა 56 წლის ევერტმა.

*„უნდა გაგიმხილოთ, რომ კრისი ყოველთვის ჩემი პირველი სიყვარული იყო. მასთან ერთად აქ ყოველ წელს სიამოვნებით ვითამაშებდი. კარგი დრო გავატარეთ"*, - კმაყოფილებით აღნიშნა გრინბერგმა.

ნადალი მომავალ თაობაზე ზრუნავს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი**, რომელიც ATP-ის მოთამაშეთა საბჭოში შედის, თავის კოლეგებს ჰპირდება, რომ დღევანდელი სარეიტინგო სისტემის შესაცვლელად იბრძოლებს. ესპანელი კვლავინდებურად მიიჩნევს, რომ ჩოგბურთელებმა ყოველ კვირას არ უნდა ითამაშონ, როგორც ამას დღეს აკეთებენ.

*„არ ვიცი, შევძლებთ თუ არა ამ ცვლილებების გატანას, მაგრამ მომავალი თაობის ჩოგბურთელებისთვის ამაზე მუშაობას გავაგრძელებ. თუ ეს მოხდა, მათ სრულფასოვანი ჯანსაღი ცხოვრება და გრძელი სტაბილური კარიერა ექნებათ"*, - ამბობს ნადალი Tennistalk-თვის მიცემულ ინტერვიუში.

**ზამთრის სახეობები**

## ნორვეგიელი ლაურეატები

ამერიკის, აზიისა და ევროპის 240 ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად გამოავლინეს 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო მოთხილამურეები და ბიატლონისტები. სულ სიაში სათხილამურო სპორტის 18 და ბიატლონის 14 წარმომადგენელი შევიდა. სპორტის ამ სახეობებში ქალებსა და მამაკაცებს შორის საუკეთესოებად დაასახელეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი თხილამურებით სირბილში, ნორვეგიელი **მარიტ ბიორგენი** და მისი თანამემამულე **ტარეი ბოე**, ვინც წელს პლანეტის პირველობაზე ოქროს სამი მედალი მოიგო. ბიორგენმა 553 ქულა დააგროვა, ტოემ - 563. მას 110 ქულით ჩამორჩა შარშანდელი გამარჯვებული, გერმანელი ბიატლონისტი ქალი **მაგდალენა ნოიერი**.

გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა ტრამპლინიდან მხტომელმა **ტომას მორგენშტერნმა** (420 ქულა), შემდეგი იყო ნორვეგიელი მოთხილამურე **პეტერ ნორტუგი**.

● ფორმულა 1

# ბერნი გვემშვიდობება?

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ყველას მიანიშნა, რომ მზად არის თანამდებობიდან წასასვლელად, თუ **რუპერტ მერდოკის** მედია-ჯგუფი მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინანსურ კონტროლს, - წერს ლონდონური გაზეთი „სანდი თაიმსი".

სულ ცოტა ხნის წინ 80 წლის ექლსტოუნი გამორიცხავდა ფორმულა 1-დან წასვლას, მაგრამ დღეს ის სხვანაირად ლაპარაკობს: *„საკმარისად მოხუცი ვარ და შეიძლება პენსიაში გავიდე. უნდა დავრწმუნდე იმაში, რომ ფორმულა 1-ის ახალი მეპატრონეები , ის ადამიანები არიან, რომლებთანაც ვისურვებდი მუშაობას და რომლებსაც ჩემთან ურთიერთობის სურვილი ექნებათ".*

სააგენტო „როიტერი" სანდო წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერს, რომ მერდოკის კომპანიამ News Corporation-მა წინასწარი მოლაპარაკებები გამართა მექსიკელ მილიარდერ **კარლოს სლიმთან** და სპორტული მანქანების მწარმოებელ უცნობ კომპანიასთან კონსორციუმის შესაძლო ჩამოყალიბების შესახებ. სწორედ ამ სამეულმა უნდა მოიპოვოს კონტროლი ფორმულა 1-ის სერიაზე.

ადრე ბრიტანულ პრესაში ისიც დაიწერა, რომ ფორმულა 1-ის ამჟამინდელი მფლობელი - საინვესტიციო ფონდი CVC Capital Partners სტრატეგიული გეგმის გადახედვით არის დაკავებული და არ გამორიცხავს ფორმულა 1-ის აქციათა გასხვისებას.

News Corporation ამ გარიგების ერთ-ერთი პოტენციური პარტნიორია, მაგრამ მისი განხორციელება მერდოკის ჯგუფს გაუჭირდება, რადგან ბევრი მხარის ეკონომიკური ინტერესებია გასათვალისწინებელი.



ბერნი ექლსტოუნი

# ჰემილტონს არ უშვებენ



ლუის ჰემილტონი

„მაკლარენის" ხელმძღვანელმა **მარტინ უიტმარშა** სცადა ბოლო მოეღო ბოლოდროინდელი ჭორებისთვის, რომელიც ამ გუნდის ლიდერის **ლუის ჰემილტონის** „რედ ბულში" სავარაუდო გადასვლას ეხება.

ბრიტანელ პილოტს უკვე დიდი ხანია ავსტრიულ საჯინიბოში გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ. თავად ჰემილტონი აცხადებს, რომ მომავალში მართლაც სურს „რედ ბულში" ძალების მოსინჯვა, მაგრამ ამ ეტაპზე „მაკლარენის" ბოლიდით გამოსვლას ამჯობინებს. თავის მხრივ, „რედ ბულის" ბოსმა **კრისტიან ჰორნემა** განაცხადა, რომ „დიდი ცირკის" ყველა პილოტს სურს გამარჯვებულ გუნდში გამოსვლა.

*„ჰემილტონს უნდა „მაკლარენში" გამოსვლის გაგრძელება და ის არ აპირებს „რედ ბულში" გადასვლას,* - ამბობს ESPN-თან კომენტარში უიტმარში, - *დარწმუნებული ვარ, ლუისი თავის გუნდში კიდევ არაერთ სეზონს გაატარებს".*

# პიტსტოპი მერსედესისაა

ჩინეთის გრან-პრიზე **ნიკო როსბერგის** დამაჯერებელმა გამოსვლამ ახალი ძალები შემატა „მერსედეს გრან-პრის" მთლიან ტექნიკურ შტაბს. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპზე MGP W02-ის ბოლიდი მართლაც ერთ-ერთი უსწრაფესი იყო.

როსბერგმა მეხუთე ადგილზე ზემოთ ასვლა იმ მიზეზით ვერ შეძლო, რომ მისი მანქანის ავზში არ აღმოჩნდა საკმარისი რაოდენობის საწვავი, რათა გერმანელს მთელი დისტანცია აგრესიულ სტილში გაევლო. რომ არა გათვლებში დაშვებული შეცდომა, „მერსედესის" პილოტს, მინიმუმ, პოდიუმზე ასვლის შანსი ჰქონდა.

**როს ბრაუნის** გუნდმა კიდევ ერთი მიმართულებით მიაღწია წარმატებას: „მერსედესი" ყველაზე სწრაფად ასრულებს პიტსტოპებს. სამი გრან-პრის შედეგების მიხედვით გერმანული საჯინიბო ბოქსებში საშუალოდ 22.3 წამს ხარჯავს (პიტლეინზე შესვლა, პიტსტოპი, პიტლეინიდან გამოსვლა), რაც საუკეთესო მაჩვენებელია ფორმულა 1-ის გუნდებს შორის.

ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ „მერსედესმა" შეიმუშავა ბორბლის ორიგინალური სამაგრი, რომელიც საშუალებას აძლევს მექანიკოსებს ოპერატიულად მოემსახურონ პილოტებს. იმის გათვალისწინებით, რომ წელს პიტსტოპების რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა, ეს „მერსედესს" დამატებით სოლიდურ უპირატესობას მისცემს.

თუმცა მთავარი კონკურენტები „მერსედესს" ბევრით არ ჩამორჩებიან: „მაკლარენი" საშუალოდ მხოლოდ 0.08 წამით ნაკლებს ხარჯავს ბოქსებში, „რედ ბული" - 0.3 წამით ნაკლებს. სწორედ ეს სამეული უდგას სათავეში ყველაზე სწრაფი პიტსტოპების რეიტინგს.

საინტერესოა, რომ შემდეგ ამ ჩამონათვალში მოდიან „ზაუბერი", „ფორს ინდია" და „ლოტუს-რენო", ხოლო „ფერარი" მხოლოდ მეშვიდე ადგილს იკავებს. სიაში ბოლოზე არიან ახალგაზრდა საჯინიბოები: „ლოტუსი", „ვირჯინი" და HRT. ეს უკანასკნელი 3.3 წამით ჩამორჩება „მერსედესს".



მერსედესის პიტსტოპი

● კრივი

# ჰეის ალის მწვრთნელი დაარიგებს



ანჯელო დანდი

კრივის ცნობილი სპეციალისტი **ანჯელო დანდი** მაიამიში ჩავიდა, სადაც საწვრთნელ შეკრებას გადის სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონი **დევიდ ჰეი**. ბრიტანელ მოკრივეს მიაჩნია, რომ ანჯელო საჭირო რჩევებს მისცემს **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ბრძოლის წინ, რომელიც ჰამბურგში 2 ივლისს გაიმართება.

*„გუშინ მესტუმრა ვარჯიშზე და ძალიან შინაარსიანი საუბარი გვქონდა. ის თავისი საქმის პროფესიონალია, ამიტომაც ანჯელოს დახმარების დიდი იმედი მაქვს.*

*დანდიმ უკვე მომცა რამდენიმე რჩევა მომავალი ბრძოლის ტაქტიკასთან დაკავშირებით. კლიჩკოს წინააღმდეგ ტაქტიკური სქემა უკვე შემუშავებული მქონდა, მაგრამ ანჯელო ამ გეგმას უფრო ოპტიმალურს გახდის",* - ამბობს ბრიტანელი ჩოგბურთელი.

აღსანიშნავია, რომ ანჯელო დანდი თავის დროზე ლეგენდარული **მუჰამედ ალის** მწვრთნელი იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**